წიგნის გამომცემლობა „შ კ ო ლ ა“

საქართველო და რუსეთი

XVIII — XIX საუკუნის მოკლე ისტორიული მიმოხილვა

დ. ოყრეშიძის

ქ უ თ ა ი ს ი
ქართველთა შორის წ.-კით. გამავრც. საზოგადოების სტამბა.
1918

I

წინასიტყვა

შემსევი ერის სულიერმა განწყობილებამ დიდიხანია შექმნა ერთი სახელმძღვანელო მცნება, რომელიც ამბობს: „დაანაწილე და იუფლეო!”

ამ მცნებას საუკეთესო გასავალი აქვს იქ, სადაც დაცემულია და განიავებული სული ერთობის, თავის ვინაობის შეგნებისა და საარსებო პირობათა გათვალისწინებისა. შეგნებასა და თვითცნობიერებას მოკლებული ერი გაბატონებულთათვის ტახტია, რომელზედაც ასე განცხრომით ფარფაშობენ ძლიერნი და უზენაესნი ამა ქვეყნისანი.

მაგრამ შემსევთა და გაბატონებულთა მწარე სულისკვეთებაც სწორეთ ისაა, რომ ისინი მკვიდრ მასპინძლათ ვერასოდეს ვერ გრძნობენ თავს. მათი, ძალმომრეობაზე დამყარებული, ბატონობა ისტორიის ხანგრძლივობასთან შედარებით მსწრაფლწარმავალია; ის აბობოქრებული სტიქიონია, დროებით კალაპოტიდან გადმოხეთქილი, რომელიც თავის ქერქშივე უნდა მოთავსდეს.

უნდობლობა, ერთგვარი ძრწოლა და ყოველი ნაბიჯის ეჭვის თვალით განჭვრეტა ის საშინელი აჩრდილია, რომელიც გაბატონებულებს ყოველთვის და ყველგან თან სდევს.

შემსევი ერი თავის გულის სიღრმეში ისევ-და-ისევ შემსევათ გრძნობს თავს — და რომ დაპყრობილი ხალხის სადავეები უფრო დიდხანს ეჭიროს ხელში, ცთილობს გააქარწყლოს ყოველივე ის, რაც ამ ხალხის აღორძინებისა და თვითშეგნებისთვისაა საჭირო. შკოლა და სამართალი, რწმენისა და ჩვეულების შებღალვა, ეროვნულ უფლებათა გათელვა და უკუგდება, წარსულთა ჟამთა მოგონების ამოფხვრის ცდა და მრავალი სხვა — აი ის გზები, რომლითაც დამპყრობი და შემსევი ერი შედის სხვის სამშობლოში და იქ „ახალ ცხოვრებასა“ ქმნის. ყოველი დაპყრობილი ერის ისტორია დღიდან დამორჩილებისა თითქო თავიდან იწყება და ერთის ხელის მოსმით ნადგურდება წარსულის ნერგი, რომელზედაც უკეთეს პირობებში ახალი ცხოვრების ტოტები უნდა დამყნობილიყო და ეროვნულათ მთლიანი კულტურა ასე გაგრძობილიყო.

დაკნინებული ეროვნული ცხოვრება და გამაერთიანებელი იდეის უქონლობა სხვათა ბატონობის ხანგრძლივობის მომასწავებელია.

სასიცოცხლო ენერგიის მქონე ერი კი გარეშეთა გადამგვარებელ ზედგავლენას მაგრე-რიგათ არ ემორჩილება. იგი ახალ ცოდნასა და

II

ცხოვრების ახალ პირობებს თავის საკუთარ ცხოვრებას უფარდებს, გზადაგზა ამსხვრევს და თავიდან იცილებს ყოველგვარ დამაბრკოლებელ მიზეზს და ქმნის ახალი ცხოვრების აზრს, რომელიც ბოლოს გამარჯვებული რჩება ეროვნული კულტურისა და ქონებრივი დოვლათის წარსამატებლათ.

შემსევის როლი საქართველოს არაოდეს არ უკისრია, თვით უდიდესი ძლიერების — თამარის დროსაც კი! მართალია, ამ დროს ქართველებმა სპარსეთისკენ ერთგვარი „გასეირნება“ მოახდინეს, მაგრამ ამას უფრო მოგერიებითი ხასიათი ჰქონდა, ვიდრე შესევისა. — სხვისი მშობელი კერა ქართველებისთვის ყოველთვის ისეთივე პატივსაცემი იყო, როგორც თავისი და ჩვენი წინაპრებიც ხშირათ სხვების, უფრო დევნილების, მოსარჩლეთაც კი გამოდიოდენ, როცა მათ საამისოთ გარემოებაც ხელს უწყობდა.

მაგრამ ერთობა და აქედან გამომდინარე ძლიერება ჩვენში ყოველთვის უფრო ძნელი შესაქმნელი იყო და ის ხანგრძლივსა და მედგარ მუშაობას მოითხოვდა, — თუმცა ფეოდალობის ხანაში ეს ასე იყო ყველგან და საქართველო ხომ გამონაკლისს ვერ შეადგენდა. ერთობის უქონლობას კი საქართველო ხშირათ დაღუპვის კარამდი მიყავდა და ჩვენი ილაჯგაწყვეტილი წინაპრები უფალსღა შესთხოვდენ: „ქართლისა მშვიდობისა, საზღვართა განმაგრებისა, მეფეთა და მთავართა დაწყნარებისა და მტერთა გარემიქცევისათვის უფლისა მიმართ ვილოცოთო“. ეგაა, რომ სწორეთ გარეშე საფრთხე და აქედან წარმოშობილი გაერთიანების იდეა თუ ჩააფიქრებდა ჩვენს თავგასულ წრეებს, თორემ საგანგებოთ შეთხზული კვერექსები ნაკლებათ მოქმედობდა.

არაბთა ბატონობამ, რომელიც ჩვენში მე-VII საუკუნიდან დაწყებული მე-X საუკუნის დამლევამდი გაგრძელდა საქართველოს ერთობა გამოსჭედა. არაბები ჩვენი ქვეყნის დანაწილებასა და დაუძლერებაზე უფრო ფიქრობდენ და იღვწოდენ, მაგრამ სწორეთ ასეთმა

მოღვაწეობამ ქართველ მამულიშვილთა შორის ერთობის იდეა უფრო განამტკიცა და ბაგრატ III სკიპტრის ქვეშ მთელი საქართველო შეაერთა. ამას შემდეგ ერთობის აზრი და შეგნება თანდათან იზრდება, ვითარდება, მას ვერ კლავს ვერც თურქ-სელჯუკთა შემოსევა და სხვა უბედურებანი, და თავის უმაღლეს საფეხურს დავით აღმაშენებელის მეფობის დროს მიაღწევს. დიდი დავითი ჩვენს ისტორიაში პირველი და უძლიერესი თვითმპყრობელია, რომელმაც განამტკიცა ერთმთავრობა, ალაგმა თავგასული ერისთვები და დამღუპველ თვითნებობას

III

ბოლო მოუღო. დავითის მემკვიდრეებმა დიდი მეფის პროგრამა სავსებით ვერ დაიცვეს, დათმობის გზას დაადგენ და ქვეყნის დამღუპველმა თვითნებობამაც ნელ-ნელ თავი იჩინა. დიდის თამარის დროს ზოგიერთმა გვარიშვილებმა ერთგვარი აჯანყებაც კი მოახდინეს და დიდე ბულ მეფე-ქალს ზოგი რამ დაათმობინეს. ამ გარემოებამ მეფის უფლება საგრძნობლად შეარყია და თამარის გადაცვალების შემდეგ შესაფერი ნაყოფიც გამოიღო. შერყეული ერთობა თითქო ნიადაგს უმზადებდა გარეშე ძალას — და დიდის შრომითა და ღვაწლით შექმნილ სიმტკიცეს მონგოლებმა მომაკვდინებელი ლახვარი ჰკრეს. იარა ისეთი ღრმა აღმოჩნდა, რომ მისმა სიმწვავემ მე-XIV საუკუნემდი გასტანა. ამ საუკუნეში კი გამოჩნდა კაცი, რომელიც დავით აღმაშენებელის ან თამარის პირდაპირი მემკვიდრე რომ ყოფილიყო, საქართველოს სიმტკიცე კიდევ უფრო საწაღმართოდ წარემართებოდა. ეს კაცი იყო გიორგი V ბრწყინვალეთ წოდებული. ამ მეფის დროს ერთხელ კიდევ გაძლიერდა და ამაღლდა საქართველო, ერთხელ კიდევ მიიმალენ ჩვენი ქვეყნის მტრები... მაგრამ მე-XV საუკუნემ სულ წელში გაგვწყვიტა! ჯერ იყო და — ალექსანდრე I-მა 1442 წ. საოცარის თავგანწირულებით გაძლიერებული საქართველო სამათ გაჰყო და შვილებს დაურიგა, თითქო ეს კერძო ოჯახი ყოფილიყოს და არა მთელი სახელმწიფო! ამით მან დააკანონა ის ძალმომრეობა, რომელსაც ჩვენი ქვეყნის გარეშე და შინაური მტრები სჩადიოდენ; მირონი სცხო და აკურთხა ქვეყნის დაშლა-დანაწილება; მან თავისი არა მეფური მოქმედებით დაადასტურა ის, რასაც ასეთის თავგამოდებით ებრძოდენ ბაგრატი, დავითი, თამარი გიორგი და მათთან ერთად ქვეყნის მოკეთენი.

მაგრამ ბედმა საქრთველოს. ეს არ აკმარა 1453 წ. ოსმალთ მეუსრულდათ დიდიხნის წადილი და მაჰმად II კოსტანტინოპოლი აიღო.

დღიდან ქრისტიანობის მიღებისა ჩვენსა და საბერძნეთს შორის კეთილგანწყობილება თანდათან ფეხს იკიდებდა. ამ განმტკიცებას ხელს უწყობდა აგრეთვე ორივე საქრისტიანოს სამეფო სახლეულობათა შორის მოყვრული დამოკიდებულობა. საქართველო საბერძნეთს იმ თავითვე დაუახლოვდა და მის კულტურას ხარბათაც დაეწაფა. ქართველებმა გადმოიღეს ღვთისმეტყველება, ფილოსოფია. ხუროთმოძღვრება, სამხატვრო ხელოვნება, ყოველსავე ამას ეროვნული ელფერი მისცეს და შეისისხლხორცეს, ვით საკუთარი გენიის შექმნილი.

აზიის ბარბაროსთა წიმაადმდეგ საქართველოს საბერ ძნეთი მიაჩნდა ჭირსა და ლხინში გამოსადეგ მეგობრათ. მაგრამ ამ

IV

ზემოხსენებულ წელს ოსმალებმა სრულიად დასცეს სიბერძნეთი და ამიერიდან მისი იდგილი ახლად მოვლენილმა სახელმწიფომ დაიჭირა. ეს ახალი მეზობელი ევროპასა და საქართველოს შუა გაუვალ კედლათ აიმართა და ჩვენი ქვეყანაც ორი საშინელი ძალის-აღმოსავლეთით სპარსეთისა და დასავლეთით ოსმალეთს შუა მოემწყვდა. ჩვენნ წინაპრები კოსტანტინოპოლის დამხობას ისევე იგლოვდენ, როგორც თავის საკუთარს უბედურებას, და ოხვრითა და კვნესით ამბობდენ: „ცოდვათა ჩვენთაგამო მოიწია რისხვა და ოსმალთ აიღეს სამეუფო იგი ქალაქიო!...“

გამარჯვებულმა ოსმალეთმა საქართველოს საზღვრებშიაც მალე ამოჰყო თავი და უმისოთაც დაუძლურებულს ქვეყანას ჭირზე ჭირი დაურთო.

მოსისხლე მეზობლების გადამკიდე სასართველომ მე-XV საუკუნეშივე გაიხედა ჩრდილოეთისკენ და იქაურს ერთმორწმუნე ერს სასოებით მიაპყრო თვალები. ამ გარემოებამ კიდევ უფრო ააბრაგა სპარსეთი და ოსმალეთი: როგორ თუ საქართველო რუსეთთან კავშირს პირობსო — და იერიში იერიშზე მოქონდათ. მე-XVII საუკუნეში შაჰ-აბასმა კინაღამ მთელი აღმოსავლეთ-საქართველო მოსპო. ოსმალეთი

სამხრეთ-საქართველოს აღარ დასჯერდა და დასავლეთ საქართველოსაც თავისი ბატონობა გამოაცხადა.

ტანჯულ ქართველ ერს იმდენი ძალა კიდევ შერჩა, რომ მე-XVII საუკუნის საშინელ ქარტეხილს გადაურჩა, ხოლო შემდეგ საუკუნეში გარეშე მტრებთან ბრძოლას გარდა დიდი შინაური კულტურული მუშაობაც კი გააჩაღა. ეს ბრძოლა და მუშაობა იმდენად გასაოცარი იყო, რომ სხვა, მსგავს პირობებში მყოფი ერი ამაზე იქნებ ვერც კი ოცნებებდა.

მე-XVIII საუკუნე ჩვენს ცხოვრებაში მეტად მრავალმნიშვნელოვანი ხანაა. აქ სურათი სურათზე იცვლება, ისე რომ გარეშე მაყურებელი საგნის გამორკვევასაც ვეღარ ასწრებს. აქ ყოველივე აჩქარებული ნაბიჯით მოძრაობს, საითკენღაც მიილტვის და სწრაფ გადაწყვეტას თხოულობს. ეს დრო ჩვენი ერის არსებაში დაბუდებულის დიადი ლითი ენერგიის მაჩვენებელია.

ქართლ-კახეთი ერეკლე II-ისა და იმერეთი სოლომონ I-ის მეთაურობით სპარსეთსა და ოსმალეთსა კრიჭაში უდგანან და საოცარის თავგანწირულობით იგერებენ მათ. მძვინვარე ზვირთთა შორის მოქცეული საქართველო ხან ერთი საზღვრისკენ ეკვეთება მტერს, ხან მეორის-

კენ, ამარცხებს მას და სდევნის თავის ქვეყნის არე-მარედან. ბრძოლის ველიდან დაბრუნებული ზრუნავს შინაურ კეთილდღეობაზე, განათლებაზე, ევროპასთან ურთიერთობის დამყარებაზე; ხან ოცნებით იწვევს დიდი დავითის და თამარის დროს და იღვწის ერთობის დამყარებისათვის.

მაგრამ რამდენიც არ იშრომა, რამდენი საკეთილო რამ არ დაიწყო ქართველმა ერმა, მე-XVIII საუკუნის მემკვიდრემ ყოველსავე ამას სულ სხვაგვარი დაბოლოება მისცა... დანაწილებული საქართველოს თავდაღმართზე დაქანებული თავისუფლება ვეღარაფერმა ვეღარ შეაჩერა!..

ამ მცირე მიმოხილვის მიზანია სხვათა შორის მკითხველს დაანახოს, თუ როგორის შერჩევის და უმაგალითო ცფიერების შედეგი იყო ეს დაბოლოება, როგორი საფეხურები განვლო საქართველო-რუსეთის დამოკიდებულებამ და როგორ მიიყვანეს ჩვენი სამშობლო იმ მდგომარეობამდი, რომელშიაც იგი ჩავარდა რომანოვთა გვარეულობის ხელში. თვითმპყრობელი ბიუროკრატიული რუსეთის ვერაგობამ ჩვენს ქვეყანას თავისუფლება დაუკარგა, მაგრამ ისე ოსტატურათ კი, რომ ამ თავისუფალი ცხოვრების დასასრულის მოთხოვნა ისევ საქართველოს მესვეურთაგან გამოდიოდა! რაც ჩვენ ვერ გვიყო ორმა, სპარსეთმა და ოსმალეთმა, ის სულ სხვა გზით და სხვა საშვალებით შეასრულა მესამემ, ჩვენში ძველათ „მესამე რომათ“ წოდებულმა.

და თუმცა სრული თავისუფლებიდან სრულ მის დაკარგვამდის კიდევ დიდი მანძილია, მაგრამ ეს მანძილი მართლმადიდებლობის ეტლზე მჯდომმა თვითმპყრობელმა რუსეთმა არხეინათ გაიარა და ერთმორწმუნეობის ცელით უხვათ მოსთიბა და მოიმკო იქ, სადაც არც არა უხნავს და არც არა უთესია რა!...

„მესამე რომი”

კავკასიონის მთებს გადაღმა, თვალუწვდენელ ვაკე-სივრცეზე, ჩრდილოეთის ცივ ოკეანესა და ბალტიის ზღვიდან დაწყებული ურალამდი ნელ-ნელა იზრდებოდა და ვითარდებოდა უზარმაზარი სახელმწიფო. მოსკოვი გახდა გული ამ სახელმწიფოსი და იმის გარშემო თანდათან იკრიბებოდა აწინდელი რუსეთი. როგორც მთაზე აგორებული თოვლის გუნდა თანდათან იზრდება და ბოლოს, საშინელ ზვავათ ქცეული, წალეკვას უქადის ყოველსავე, რაც კი წინ დახვდება, — სწორეთ ასეთივე იყო მოსკოვის ზრდაც.

მოსკოვის სამეფოს წმინდა რუსულ სამთავროებს თანდათან ემატებოდა ისეთი ერთეულები, როგორც ყაზანი, უკრაინა, ყირიმი და სხვ. მე-XVI საუკუნეში მეფის იოანე მრისხანის დროს ყაჩაღმა ერმაკ ტიმოფეევმა რუსეთის ტახტს შესძინა აზიის ფრიად ვრცელი და მდიდარი ნაწილი — ციმბირი. შემდეგ საუკუნოებში რუსეთსვე შეეძინა ფინლანდია, ბალტიის მხარე, პოლონეთი. ევროპის თვალწინ გაიზარდა ვეება სახელმწიფო, რომელმაც დაიპყრო მსოფლიოს მეექვსედი.

განათლებული ევროპა თავის ჩრდილოელ მეზობელს ერთხანად ყურადღების ღირსათაც არა სთვლიდა. მე XVII საუკუნის დამლევამდი რუსეთი თითქმის სრულიად მოწყვეტილი იყო ევროპას და თავისი საკუთარი ცხოვრებით განდეგილივით იდგა. განათლებულ ერთა მეზობლობა მისთვის დიდხანს სრულიად გამოუსადეგარი იყო. მაშინ როდესაც ევროპა თანამედროვე ცხოვრების საძირკველსა სკვნი-

და: აჩაღებდა ვაჭრობა-მრეწველობას, აუმჯობესებდა ტეხნიკას, ქმნიდა ორთქლმავალს; მანქანებსა და ქარხნებს, იმორჩილებდა ზღვასა და ხმელეთს, ებრძოდა სარწმუნოებრივ ფანატიზმს და თავისუფალ აზროვნებას გზას უკაფავდა, — რუსეთი უმეცრების მორევში იხჩობოდა.

მოსკოვში დიდის უნდობლობით და ალმაცერათ უყურებდენ იმათ, ვისაც შემთხვევით ევროპა მოევლო და ან იქაური რამ ესწავლა ესენი მწვალებლებათ მიაჩნდათ და მზათ იყვნენ მათთვის კოცონი აენთოთ. მოსკოველთა მცნება იყო: „ივლტოდე ელლინთა ცოდნისა, ვარსკვლავთ-მრიცხველთა და ფილოსოფოსთაგან; იკითხე წიგნნი სჯულისა, ეგების ცოდვილი სული იხსნა წარწყმედისაგანაო”.

რუსეთს ბევრი მწარე დღე უნახავს შინაურ ღელვა-შფოთისაგან, საკუთარ მეფე-მთავართა თუ ე.წ. ცრუუფლისწულთაგან, რომელთაგან დროისა და გარემოების მიხედვით ხან ერთი წამოჰყოფდა თავს და რუსეთის ტახტზე ავიდოდა, ხან მეორე. აწინდელი რუსეთის თითქმის ყველა გუბერნია ცალკე სამეფოს ანუ სამთავროს წარმოადგენდა. ამათ შორის შფოთი და მიხდომ-მოხდომა დაულეველი იყო, ვიდრე მოსკოვმა არ გაიმარჯვა და საბოლოოთ არ შემოიკრიბა ისინი. მაგრამ ყველაზე მწარე დღე რუსეთს მონგოლებმა მიაყენეს. დიდი თამარის მემკვიდრის ლაშა-გიორგის მეფობაში საქართველოს ეკვეთა მონგოლთა ტალღა, შუა აზიიდან მომდინარე. ამავე დროს მონგოლთა დიდი ნაწილი ჩინგისყაენის წინამძღოლობით შეესია რუსეთს, აიღო აშტარხანი,

ყირიმი, ყაზანი, მოსკოვი, კიევი და სხვ. მე-XIII

საუკუნე როგორც საქართველოსათვის, აგრეთვე რუ-
სეთისთვისაც ფრიად უბედური იყო. მონგოლნი გა-
ბატონდენ და რუსეთის თვალუწვდენელ სივრცეს
ორას წელიწადზე მეტ ხანს ფლობდენ. რუსეთმა
მხოლოდ მე-XV საუკუნის დამლევს შესძლო მათი
მონობისაგან გათავისუფლება.

საკუთარ მეფეთაგან რუსეთს ყველაზედ უფრო
ივანე მრისხანეს (მე-XVI საუკ) სუსხიანი ხელი ახ-
სოვს. ამ მეფემ მართალია ალაგმა თავგასული ბოი-
არები, მაგრამ საშუალება ამისათვის მეტისმეტად მკაც-
რი და დაუზოგველი შექმნა. ე.წ. "ოპრიჩნიკები",
რომელთაც ნიშნად მეფის ერთგულობისა ზედ ძაღ-
ლის თავები და ცოცხები ეკიდათ, მთელს რუსეთ-
ში დაძრწოდენ და ყველას შიშის ზარსა გვრიდენ.
მათი გამოჩენა რომელსამე დაბაში ან ქალაქში უკვე
თავისთავად ღვთის რისხვას მოასწავებდა. მეფის
ბრძანებით ამ საშინელმა ბრბომ ბევრი, ფრიად ბევ-
რი ადამიანი იმსხვერპლა და მათ შორის სათნოებით
განთქმული მიტროპოლიტი მოსკოვისა ფილიპე, რო-
მელიც ავაზაკივით მოაშთვეს.

მე-X საუკუნის დამლევამდი რუსეთში ისევ
კერპთთაყვანისმცემლობა იყო. უმთავრესი კერპი კი-
ევში ესვენა და იმას თაყვანებდენ. ამ საუკუნის და-
მლევს კი დიდმა მთავარმა ლადიმერმა ქრისტიანობა
მიიღო და თავის ერსაც ნათელსცა მდინ. დნეპრში,
მსგავსად ქართველთა, რომელთაც მე-IV საუკუნეში
ნათელ იღეს მტკვარში — მცხეთასთან. კიევში დაარსდა
პირველი რუსული მონასტერი და აქიდან ქრისტია-
ნობა მთელს რუსეთს მოეფინა. მართალია, სახელ-

მწიფოებრივ სარწმუნოებად რუსეთში მართლმადი-
დებლობა გამოცხადდა, მაგრამ შიგა და შიგ მას ბევ-
რი მწვალებლობითი და არა მართლმადიდებლური
რამ შეეპარა. კიევის მონასტრის ბერები ერთ დროს
ნაცარშერეულ მარილს ყიდდენ, რამაც ხალხის აჯან-
ყებაც კი გამოიწვია. („ბორბა" 1914 წ. №1).

1613 წ. მოსკოვის საერო კრებამ მეფეთ ამო-
ირჩია მიხეილ რომანოვი. ამ საგვარეულოს შესანიშ-
ნავმა წარმომადგენელმა პეტრე I-მა მე-XVIII საუკ.
რუსეთი ევროპიული განათლების გზაზე დააყენა.

საქართველოში რუსეთის შესახებ ძლიერ ცო-
ტა რამ იცოდენ. მე-XII საუკუნემდი ქართველები
რუსებს თითქმის ვერ იცნობდენ. ამ საუკუნეში კი

ჩვენი მატიანის სიტყვით წარჩინებულთა კრებამ დაადგინა — თამარისათვის საქმროთ რუსეთის მთავრის, ანდრია ბოგოლუბსკის შვილი, გიორგი მოეყვანათ. თამარი უარზე იდგა და სრულიადაც არა სურდა ის მეუღლეთ, მაგრამ „დიდებულნი შეავიწროებდენ სულსა მისსა და ესოდენსა მძიმესა საქმესა მსუბუქათ შეეხებოდენ“. („ქართლ. ცხ.“). თამარი კრების დადგენილებას დაემორჩილა, მაგრამ გიორგიმ დაიწყო მთვრალობა და მალე ისე გაირყვნა, რომ ჩვენი მატიანე აღშფოთებით აღნიშნავს: „იწყო საძაგელთა და უშვერთა საქმეთა ქმნად, რომელთა ნამეტან არს აწერად, — კაცნი უბრალოდ გვემნა და ასოთა ამოკვეთითა სტანჯნაო“.

თამარმა გიორგი მალე მოიშორა თავიდან და საქართველოდან განდევნა.

ამას შემდეგ საქართველოში რუსეთის შესახებ ბევრი აღარა ისმოდა რა. მხოლოდ მე-XV საუკუ-

ნეში საბერძნეთის დამხობას რუსეთის მნიშვნელობის გაზვიადებაც თან მოჰყვა. საქართველომ, ამ პატარა საქრისტიანო ქვეყანამ, ბიზანტიას შემდეგ რუსეთი აღმოაჩინა, უწოდა მას „მსამე რომი“ და სასოებით მიაპყრო თვალები. ამას შემდეგ ჩვენი მეფეები ცდილობდენ რუსეთთან კავშირი დაეჭირათ და განემტკიცებიათ.

1492 წ. კახეთის მეფემ ალექსანდრემ პირველად გაგზავნა რუსეთს ელჩები და ივანე მრისხანეს მფარველობა სთხოვა. თეიმურაზ I საქართველოში რუსის ჯარის შემოსვლას ხომ სულ ილაჯგაწყვეტილი თხოულობდა, რითაც ასე საშინლათ გადაიმტერა შაჰაბაზ დიდი სპარსეთისა.

1650 წელს რუსეთის ელჩები იმერეთის მეფეს ალექსანდრეს ეწვიენ. ამათ აქ ინახულეს რაჭა, გელათი, ქუთაისის ყოვლად წმინდის ტაძარში (ბაგრატის ტაძარი) წირვაც მოისმინეს. ამიერიდან საქართველომ რუსეთთან მიმოსვლის ქსელი გააბა, „მესამე რომი“ — მართლმადიდებელი მოსკოვი — აღმოჩენილ იქმნა. ქართველი მეფეები მაჰმადიანთა კვეთებისაგან თავის გაბზარული ტახტის მყუდრო ნავსადგურს სწორეთ აქ ეძებდენ.

ამ ძებნაში მათ გადალახეს კავკასიონი და დიდი რუსეთის წინაშე ქედმოხრილი წარსდგენ. არჩილ მეფე, ვახტანგ VI და სხვ. რუსეთს გადასახლდენ და იქ თავი შეაფარეს. განახლებული რუსეთის წინაშე ახალი ასპარეზი გადაიშალა. რუსეთი ოცნებით სჭვრეტდა იმ მომავალს, რომელიც ამ ახალგაზდა იმპერიას საქართველოში დამკვიდრებით მო-

ელოდა და საქმეს შორიდან შეუდგა.

— 6 —

ვახტანგ VI და პეტრე I

რელიგიასა და ეროვნებას ჩვენი წინაპრები ერთი მეორეში ვერ არჩევდენ. ეგონათ, რომ ყოველი ქრისტიანი, თუ კი ის მართლმადიდებელიც იყო, საქართველოსთვისაც ისე იზრუნებდა, როგორც მკვიდრი ქართველი. ყველაფერს სარწმუნოებრივი თვალსაზრისით ზომავდენ და გარეშე საქრისტიანო სახელმწიფოებთან ურთიერთობის დროს ამითვე ხელმძღვანელობდენ. ეს იყო ძველი და უკვე დრომოჭმული შეხედულობა, რომელიც ვერც განათლებულმა ვახტანგმა მოიშორა თავიდან. რუსეთს ხომ უაღრეს მართმადიდებელად მოჰქონდა თავი და წვრილ საქრისტიანო ერთა მფარველათაც!

მაგრამ პეტრე დიდის მიერ განახლებულმა რუსეთმა ევროპის საერთაშორისო ურთიერთობაში უკვე ჩაიხედა და ხსენებული ძველი შეხედულობისაგან გათავისუფლება მოასწრო. ის დაადგა ახალს გზას და სარწმუნოებრივი გრძნობებით გულის აჩუყება პოლიტიკაში უკუაგდო, თუმცა საფარად კიდევ დიდხანს ჰქონდა ის გულუბრყვილოთა მოსატყუებლად... ამ საფარმა რუსეთს აზიაში დიდი და დაუფასებელი სამსახური გაუწია.

აღორძინებისა და განახლების გზაზე დამდგარი რუსეთი თავის ყოფილ საზღვრებში ვეღარ თავსდებოდა. თუ ერთის მხრით ის ევროპისკენ იყურებოდა, მეორე მხრით აღმოსავლეთისკენ ეჭირა თვალი და სპარსეთ ინდოეთის საზღაპრო სიმდიდრე მოსვენებას არ აძლევდა. მიზნის მისაღწევათ საჭირო იყო კასპიის ზღვის ნაპირებზე დამკვიდრება. საქართველო ის ქვეყანა იყო, რომლის დაუხმარებლათ ამ აზრის

— 7 —

განხორციელება შეუძლებელი იყო, ან შორეული დროისთვის მაინც უნდა გადადებულიყო. პეტრე I-ს დაებადა აზრი — ერთის მხრით სპარსეთისთვის მიზეზი რამ აეტეხა და საომრათ გამოეწვია, მეორე მხრით — დაყვავებითა და დაპირებით ეს ნარი სწორეთ საქართველოს ხელით მოეგლიჯა — ამ დროს სპარსეთი ავღანებთან ბრძოლაში იყო ჩაბმული. შესაძლო იყო, რომ კასპიის ნაპირებზე პეტრეს სანუკვარი ადგილები იმათ ჩაეგდოთ ხელში. ოსმალეთის სულთანსაც მადა გაეხსნა, რაკი სპარსეთი გაჭირვებულ მდგომარეობაში დაინახა. პეტრემ საბა-

ბი იშოვნა, დაასწრო და 1722 წ. სპარსეთს ომი გამოუცხადა. ამავე დროს აშტარხანის გუბერნატორს, ვოლინსკის, მიანდო ვახტანგთან მოლაპარაკების გამართვა და მისი მიმხრობა წყალობათა დაპირებით. ეს ვოლინსკი სანამ გუბერნატორათ დაინიშნებოდა, პეტრემ სპარსეთს გაგზავნა და იქაური ვითარებისა და სამხედრო ძლიერების გამოკვლევა დაავალა. ამ ჟამად საქმე ისე მოეწყო, რომ ვახტანგის დახმარება რუსეთისთვისაც და სპარს-ოსმალეთისთვისაც საჭირო შეიქნა. შაჰი ვახტანგს დახმარებასა სთხოვდა; მაგრამ ამავე დროს ვახტანგს პეტრეს მოწოდებაც მოუვიდა, სადაც მას მფარველობასა და სხვა მრავალ სიკეთეს პირდებოდა. ვახტანგი ამ მოწოდებამ ააფრთოვანა. მის წინ გადაიშალა დიადი სურათი სპართა დამოკიდებულობისგან გათავისუფლებისა და ძლიერის ერთმორწმუნე მფარველის და მოკავშირის შეძენისა. ეს გარემოება მასა და მის სამეფოს ხომ სამუდამოთ უზრუნველჰყოფდა მაჰმადიანთა მძლავრობისაგან! ეს იმდენათ დიდი საქმე იყო, რომ ამისთვის ოღონდაც რომ ღირდა

სპარსეთთან და ოსმალეთთან კავშირის გაწყვეტა. — და აი, იმ თათბირზე, რომელიც ვახტანგმა გამართა იმის გამო, თუ ვისი მხარე დაეჭირა ქართველ მეფეს, სასწორის ჯამს რუსეთის სასარგებლოთ ქრისტიანობის აბრაც დაერთო და ისარიც ჩრდილოეთისკენ დაეშვა. ამ ამბავმა შაჰის სასახლეში მძიმე შთაბეჭდილება მოახდინა.

ვახტანგმა აფრთოვანებული შინაარსის წერილი გაუგზავნა პეტრეს: „ვმადლობ და ვადიდებ ღმერთს, რომელიც შენს ჯარებს ჩვენს მოძულეს შეამუსვრინებსო.“

რუსეთის დახმარების იმედით მეფე საომარ თავდარიგს შეუდგა, 40,000 მეომარი შეკრიბა და სპარსთა წინააღმდეგ ამხედრდა. მაგრამ პეტრე, დარუბანდის კარებთან მდგომი, მოულოდნელათ უკანვე გაბრუნდა და მძვინვარე მტრის პირისპირ ვახტანგი საშინელ მდგომარეობაში მიატოვა. იმპერატორის ბრწყინვალე დაპირებათაგან ისღა გამოვიდა, რომ უმწეოდ დარჩენილის ვახტანგის სამეფოს კახთა მეფე-კოსტანტინე, მამადყულიხანად წოდებული, შაჰის ბრძანებით თავს დაესხა და ლეკთა ჯარის შემწეობით ქართლი ააოხრა. ამას ზედ დაერთო ოსმალთა შემოსევა და სრულიად ქართლ-კახეთის დაპყრობაც.

სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილი მეფე იმერეთს განივლტო. ამასობაში რუსეთსა და ოსმალეთს შორის 1724 წ. დადებულის პირობის ძალით საქართველოზე ოსმალთა უმაღლესი მფლობელობა იქმნა

აღიარებული, სამაგიეროთ პეტრემ კასპიის ნაპირებზე მდებარე სანუკვარი ადგილები უომრათ ხელში ჩაიგდო.

„ჩვენ იმედი გვქონდა; რომ ის გვიხსნიდა ვეფხთა ბრჭყალებისაგან, ახლა კი აფთართა ხელში ჩავცვივდითო, ნაღვლიანად სწერდა მეფე თავის ერთ-ერთ წერილში.

იმედგაცრუებული ვახტანგი მალე რუსეთს გაემგზავრა და თან 1200 კაცი იახლო. პეტრეს ქალაქში მეფე ზარბაზნების სროლითა და დიდის ზეიმით მიიღეს, თუმცა ის უფრო მადლიერი იქნებოდა, რომ მის პატივსადებათ დახარჯული წამალი საქართველოს მტრების წინააღმდეგ მიმართულიყო.

ვახტანგის ამალა ჩრდილოეთში ჩინებული მასალა გამოდგა საქართველოს სუსტი მხარეების შესასწავლათ და ამით ჯეროვანათაც ისარგებლეს.

ნადირშაჰი და საქართველო.

სამშობლოდან გადახვეწილი მეფე ვახტანგი ოსმალთა გაძლიერებასა და მათ მიერ ქართლის აოხრებას გულის ტკივილით თვალს ადევნებდა. ჭეშმარიტად, რომ ქართლ-კახეთი აფთართა ხელში ჩავარდა. წამებულ გვირგვინოსანს ის უფრო უწყლულებდა გულს, რომ ამ უბედურობას შორიდან სჭვრეტდა და ქვეყანას ვერას შველოდა.

ოსმალებმა ქართლი ასწერეს და ხალხს მძიმე ხარკი დაადვეს; ქვეყანა საშინელ გასაჭირში ჩავარდა. კათალიკოზ დომენტის შრომამ ამაოთ ჩაუარა, სტამბოლს რომ გაემგზავრა და ხონთქარს ქართლი შეავედრა; მისი მუდარა არა თუ არავინ ისმინა, ახალციხის ფაშის დაბეზღებით ის კიდევაც პატიმარჰყვეს!

ამ ხანებში, 1727 წწ. ახალციხის ფაშალიყის მმართველი ისაყ-ფაშა ისე გაძლიერდა, რომ მეფურის მორჭმით თფილისში დაჯდა და ქვეყანას აქედან

განაგებდა. მისმა რაზმებმა მალე კახეთიც დაიპყრეს, ქიზიყში გამაგრდენ და ამრიგად ოსმალებმა მთელი აღმოსავლ. საქართველო იყმეს. 1740 წ. ისაყ-ფაშამ იმერეთშიაც ამოჰყო თავი, აიღო ქუთაისი, შებილწა სიწმინდენი და ნაცვლად იმერთა მეფის-ალექსანდრესი, რომელიც ქართლს განივლტო, მეფედ დასვა მისი ძმა გიორგი.

საქართველო რომ ოსმალოთა კლანჭებში გმინავ-

და, მოულოდნელად თავი წამოჰყო ძველმა ირანმა, მოიკრიბა ძალა და თავის გუშინდელ მტრებს ღვთისრისხვად მოევლინა. სპარსეთში გამოჩნდა კაცი, რომლის ძლიერმა მარჯვენამ ეს დაცემული და დასუსტებული ქვეყანა კვლავ აამაღლა და, თუმცა დროებით უმაღლესი ძლიერების საფეხურზე დააყენა. ავღანნი და ოსმალნი, რომელნიც გუშინ სპარსთა სამკვიდროს შუაზე იყოფდენ, საჩქაროთ თავის ქერქშივე ჩადგენ. დიდმა რუსეთმაც ამაოთ სისხლის ღვრის თავიდან ასაცილებლათ საჭიროდ დაინახა ჩამორთმეული ადგილები სპარსეთისთვის უკანვე დაებრუნებია.

ეს კაცი იყო ნადირყული ხანი, შემდეგში ნადირშაჰად წოდებული.

სპარსეთის გაძლიერებით ქართველებმა ძლიერ საზრიანათ და ოსტატურათ ისარგებლეს. ნადირშაჰს საქართველოდან ოსმალთა განდევნა და თვითონ გაბატონება სწადდა, ქართველებს კიდევ-ოსმალთა ბატონობისგან გათავისუფლება. თეიმურაზ კახბატონი და ძე მასი ერეკლე ამ აზრით გამსჭვალულნი, სპარსთა და ქართველ ჯარებით ოსმალებსა და მათ მომხრე ლეკებს რაზმებს რაზმებზე უმარცხებდენ და ქვეყანას სწმენდდენ. ამით ისინი ნადირშაჰს დიდ სა-

მსახურს უწევდენ და მის გულსაც იგებდენ. ამიტომ ნადირშაჰმა ქართლის მეფობა თეიმურაზს დაუმტკიცა, ხოლო კახეთისა — ერეკლეს. 1744 წ. დასრულდა კანონიერი მეთაურის უყოლობა, რომელსაც ქართლ-კახეთი ვახტანგის გადასახლებიდან განიცთიდა. მამა-შვილის ხელში ქართლ-კახეთი გაერთიანდა, დიდი ხნის მისწრაფება და კანონიერი სურვილი განხორციელდა, ერი იშვებდა-და ამ სიხარულს ზედ დაერთო თეიმურაზის მეფედ კურთხევა დიდის ზეიმითა და გამოჩვენებით I ოკტომბ. 1745 წ. ეს კურთხევა მით უფრო საზეიმო იყო, რომ ქართველებს ქრისტიანულის წესით ცხებული მეფე 1632 წლიდან აღარ ჰყოლიათ.

ერეკლე II

სამხედრო საქმეებში ერეკლე დიდის შაჰნადირის მოწაფე იყო. ის ჯერ კიდევ 17 წლის ჭაბუკი იყო, როდესაც სახელოვან შაჰს ახლდა და ინდოეთის დაპყრობაში მონაწილეობას იღებდა. ერეკლეს დიდი სარდლის ნიჭი და იშვიათი ვაჟკაცობა ადრევე ემჩნეოდა. მრავალ გზის აწიოკებისა და განადგურების შემდეგ ქართლ-კახეთი სწორეთ გენიოს სარდალსა და პატრონს საჭიროებდა და, აი, ის კიდევაც მოევლინა

„ნუგეშად ივერსა აოხრებულსა“.

თეიმურაზიცა და ერეკლეც შაჰზე დამოკიდებულნი იყვნენ და სხვა რიგათ მათი მდგომარკობა ჯერ-ჯერობით წარმოუდგენელიც იყო. შაჰის სურვილებს ქართლ-კახეთის მეფენი ნება-უნებლიეთ ანგარიშს უწევდენ. ამით ისინი თავიანთ მდგომარეობას და სამეფოს მშვიდობიანობას განამტკიცებდენ და, მა-

შასადამე, ჯერხანად შაჰთან ასეთი ურთიერთობის დაჭერა საჭიროც იყო, მაგრამ გარემოება მალე შეიცვალა. უცბათ ამაღლებული სპარსეთი უცბათვე დაეშვა, ქვეყანაში არეულობამ იჩინა თავი, ტახტის მაძიებელი ბევრი აღმოჩნდა და შინაურ შფოთსაც ასპარეზი გაეხსნა. ხან აზატხანმა წამოჰყო თავი და ხან ვინ... მხოლოდ ქერიმხანის ამაღლებამ მოუპოვა სპარსეთს მშვიდობა და შედარებითი ძლიერება. სპარსეთის არეული მდგომარეობით თეიმურაზმა და ერეკლემ საზრიანათ ისარგებლეს, ასე რომ ბოლოს და ბოლოს საქართველოში სპარსთა ზეხელმწიფობის მხოლოდ ხსენება-ღა დარჩა; კეთილგანწყობილებას კი ჩვენი მეფეები შაჰებთან არ არღვევდენ და ქერიმხანი და ერეკლე ჩინებული მეგობრებიც იყვნენ.

რას შვრებოდა ამ დროს რუსეთი?

შაჰნადირის დროს სპარსეთის გაძლიერებას მეზობლები შურის თვალით უყურებედენ, შიშმა და ძრწოლამ მოიცვა ისინი და ფარული მოქმედებისათვის აამოძრავა. ის გარემოება, რომ ქართლ-კახეთის მეფეები დიდ შაჰს ხელს უწყობდენ, ერთმორწმუნე რუსეთს მაინც და მაინც არაფრად ესიამოვნებოდა. პეტრე დიდის მიერ კასპიის ნაპირებზე დაკავებული ადგილები რუსეთმა სპარსეთს დაუბრუნა. სპარსეთის ძლიერების გასატეხად საჭირო შეიქნა თუნდაც მისი მოკავშირის-გაძლიერებულის ქართლ-კახეთის შესუსტება.

ვახტანგ VI-ს საქართველოში კარგა ბლომათ მომხრეები ჰყავდა. ვახტანგის შვილი პაატა, რომელიც რუსეთის სამხედრო სასწავლებელში სწავლობდა და შემდეგ ევროპაშიაც იმოგზაურა 1751 წ.

თფილისში გაჩნდა. იგი განეზრახა იმერეთში გაზვიადებულს თავადს ლევან აბაშიძეს და შემწეობა სთხოვა ქართლის ტახტის დასაბრუნებლად. მეორე შვილი ვახტანგისა, ბაქარი, რუსეთისაგან გამხნევებული და წაქეზებული, ერთხანს აშტარხანში იდგა და ქართლის ტახტის მოლოდინში იყო. ასეთსავე მოლოდინში იყო

და შესაფერ ცდას არ აკლებდა შვილი ბაქარისა-ალექ-
სანდრე, რომლის უკანაც ვიღაცას ფარული ხელი მო-
ქმედობდა. ტახტის მაძიებლებს ერეკლემ ხნედ შეებრ-
ძოლა და სამუდამოთ თავიდან მოიშორა ისინი.
ქართლ-კახეთის გაძლიერების მტერთა მისწრაფება
გაცუდდა, ქვეყნის მაშფოთებელნი, როგორნიც იყვ-
ნენ ამილახვრები და სხვანი, დათრგუნვილ იქმნენ,
გარეშე ხარბი თვალიც დროებით მიილულა და აღ-
მოსავლ. საქართველო წელში გაიმართა, უფრო კი
თეიმურაზის გადაცვალებიდან — 1762 წ. როდესაც
ერეკლემ დაიჭირა სრულიად ქართლ-კახეთის სამეფო
ტახტი.

გარეშე და შინაურ მტერთა დათრგუნვა და მა-
თის ხელისაგან ქართლ-კახეთის გაწმენდა პირველი
საზრუნავი იყო სახელოვანის მამა-შვილისა. ამ მხრით
განსაკუთრებით ერეკლემ იმ ზომათ ისახელა თავი,
რომ მთელი ევროპა გააკვირა, მაგრამ არა ნაკლებ
სახელოვანი და ნაყოფიერი იყო ერეკლეს საშინაო
მოღვაწეობა. დიდი კულტურული მოძრაობა, რო-
მელიც ვახტანგ VI-ის დროს მძლავრათ დატრიალ-
და საქართველოში და რომელმაც წარმოშვა საბა ორ-
ბელიანი, ანტონ I კათალიკოზი, სახელოვანი მეც-
ნიერი ბატონიშვილი ვახუშტი, არა ნაკლებ სახე-
ლოვანი მგოსანი დავით გურამიშვილი და მრ. სხვანი,

მართალია არ შეწყვეტილა, მაგრამ ვახტანგის რუ-
სეთს გადასახლების დღიდან საგრძნობლათ შეფერხდა.
1724 წ. თფილისში დაიხურა ქართული სტამბა, რო-
მელიც ვახტანგმა დააარსა 1709 წ. ეს სტამბა მთე-
ლი 22 წლის განმავლობაში გაუქმებული იყო. ხო-
ლო 1746 წ. ერეკლემ კვლავ მოიწვია სტამბის მუ-
შაკნი და გაჩაღდა წიგნების ბეჭდა. ამ დროს და-
ბეჭდილი საეკლესიო წიგნები საქართველოს ეკლე-
სიებში დღესაც ჭრელად მოიპოება. აწიოკებული
ხალხის დასაბინავებლად მეფემ გამოსცა ბრძანება,
რომლის ძალითაც ყოველი, საქართველოდან გახი-
ზნული თუ ტყვედ მყოფი, ქართველი სამშობლოში და-
ბრუნებისთანავე თავისუფლდებოდა და აზატობა ეძ-
ლეოდა. ამრიგად საქართველოს მრავალი გადახვეწი-
ლი შვილი დაუბრუნდა და ქვეყანა ხალხით აივსო.
განმტკიცებისა და ძალთა მორჭმისათვის მეფემ თოფ-
ხანა გახსნა და ზარბაზნები ჩამოასხმევინა. 1772 წლი-
დან კი მანვე შექმნა მუდმივი ლაშქარი, ე. წ. „მო-
რიგე“: ყოველი მოქალაქე ვალდებული გახდა წე-
ლიწადში თითო თვე სამხედრო სამსახურში გაეტა-
რებია. ამ გზით ქართლ-კახეთში 5000 მეომარი იკ-
რიბებოდა. სამეფოს კეთილდღეობისა და ნივთიერი

წარმატების მოსაპოებლად მეფემ მოიწვია მცოდნე პირები, უმთავრესად-ბერძნები ახტალის (ბორჩალოში) მადნების დასამუშავებლად. ამავე დროს იგი ცთილობდა, რომ ეს ხელობა თვით ქართველთა შორის გავრცელებულიყო. ამ აზრით ქართლ-კახეთის სხვადასხვა კუთხიდან ქართველ მუშებს იწვევდენ და მათ სახაზინო დახმარებას აძლევდენ. ფულით, იარაღით და ტანისამოსით. მეფის ანგარიშით თითო ოსტატს მადნებში წლიურად 80 თუმნამდი ფული უნ-

და შეეძინა. — ახტალის მადნები მეფეს პირველ ხანებში წლიურად 310 ფუთ სპილენძს, 3200 მან. ოქროს და 60.000 მან. ვერცხლს აძლევდა. შემდეგ ხანებში ამ შემოსავალმა საგრძნობლად იმატა. ამას გარდა მეფეს ერევნის, განჯის და შუშის სახანოებიდან 370.000 მან. შემოუდიოდა; სხვა წყაროებიდან კიდევ — 635.000 მან — ნივთიერი დოვლათის ზრდამ მეფეს საშუალება მისცა სწავლა-განათლებისთვისაც ეზრუნა. ერეკლეს დროს ეკლესია-მონასტრებთან გაიხსნა სასწავლებლებლები, ხოლო თელავსა და თფილისში კი-სასულიერო სემინარიები.

სოლომონ I-იმერეთისა.

რღვევისა და ნგრევის პროცესი ჩვენს ქვეყანაში გამანადგურებელ სისწრაფით ვითარდებოდა. რაკი ჩამოინგრა გუმბათი იმ ტაძრისა, რომელსაც მთლიანი საქართველო ეწოდებოდა, კედლებიც მალე დაიშალა და თვითოეული მათგანი თავ-თავისკენ გადიზნიქა. შეძლებულ გვარიშვილებსაც ეს უნდოდათ. — ერთმთავრობა მათს პატივმოყვარეობას და გადიდების წადილს ვერ ურიგდებოდა და რაკი დრო იშოვნეს, ერთობის ნაოხარზე ქვეყნის დამაუძლერებელი ცეცხლი დაანთეს. თავის წადილს ისინი ხშირათ გარეშეთა დახმარებით აღწევდენ და იმერეთი მალე უცხო ტომთა სათარეშო კუთხედ იქცა. გარეშე მტერთა მოსაგერებლად აგებული ციხე-კოშკები შინაურთა მძლავრობისგან თავშესაფარ სიმაგრეებათ აქციეს. გვარიშვილნი — იმის მიხედვით, თუ ვინ ვის წინააღმდეგ უნდა ამხედრებულიყო, ერთიმეორეს ხან დაემოყვრვბოდენ, რომ მოკავშირე ეშოვნათ და ძალა მოეკრიბათ, ხან

კიდევ ერთმანეთს დაერეოდენ, ანადგურებდენ, სწვავდენ, ძარცვავდენ, ატყვევებდენ და ჰყიდდენ! ქვეყანა გაღატაკდა; სამღვდელოება დაეცა; ტყვეთა

ყიდვა ჩვეულებრივ მოვლენათ იქცა. ოსმალოები ბა-
ტონობდენ და იმერეთის ყველა თვალსაჩინო ციხე
იმათ ეჭირათ. მათვე 1725 წ. ააგეს ფოთის ციხე და
ამით დასავლ. საქართველოში კიდევ ახალი ძალა
მოიცეს. ასეთს ვაი-ვაგლახში მიიწურა ალექსანდრე
V-ის მეფობა. ასეთი აფორიაქებული სამკვიდრო ხვდა
მის ძეს — სოლომონ I-ს 1752 წ.

იმერეთში გაბატონებული ოსმალები და გაზვია-
დებული თავადები მეფეს მეფედ აღარ ცნობდენ. სა-
უკეთესო ციხეები, როგორც ვთქვით, ოსმალთ ეჭი-
რათ. ეს ციხეები იყო: ბაღდათის, შორაპნის, ცუ-
ცხვათის და უმთავრესი მათ შორის-ქუთაისისა. — სო-
ლომონი ჯერ ყმაწვილობაშივე ოსმალთა განდევნა-
ზე ოცნებობდა და, მართლაც, ფარული, მოთარეშე
რაზმების მოწყობით მათ საკმაო ზიანი მიაყენა. მე-
ფე აგრეთვე კარგათ ხედავდა, რომ ქვეყნის ასეთი
უბედურობა სულ თავგასული თავადების ბრალი იყო
და მათს ალაგმვას სწორეთ ქვეყნის სიკეთე მოით-
ხოვდა. სოლომონი გამეფებისთანავე ოდიშის მთა-
ვარს ოტია დადიანს დაემოყვრა, მისი ასული, მა-
რიამი, შეირთო და ამით თვალსაჩინო მოკავშირე
შეიძინა. რაკი ოდიშის მხრით იმერეთი უზრუნველ-
ყოფილი გახდა, სოლომონი ახლა ოსმალთა წინააღ-
მდეგ ბრძოლას მხნედ შეუდგა, — 1756 წ. ოსმალთა
ძლიერი ჯარი ხრესილის (ოკრიბაშია) ვიწროებში სა-
შინლათ დაამარცხა. მტერთან ერთად ამ ბრძოლა-
ში დამარცხდა და მოკლულ იქმნა ბიძა მეფისა ზვია-

დი — ლევან აბაშიძე, რომელსაც რაჭის ერისთავთან
ერთად ოსმალთა მხარი ეჭირა და იმერეთის ტახტზე
ასვლას ლამობდა.

გამარჯვებული სოლომონი ოსმალთ კვალდა-
კვალ სდევნიდა და მოსვენებას აღარ აძლევდა. ოს-
მალნი იმერეთში ბატონობის დაკარგვას, რასაკვირ-
ველია, ასე ადვილათ ვერ შეურიგდებოდენ. მათი
ქედფიცხელობა კიდევ უფრო აეგზნო, როდესაც
მეფემ ტყვეთა ყიდვა სასტიკათ აკრძალა და ოსმა-
ლთაც ხარკის ძლევა მოუკვეთა. ოსმალნი მზად იყ-
ვნენ ყოველივე დაეთმოთ, მხოლოდ ამ ხარკს ვერ
ელეოდენ. განრისხებულმა სულთანმა 1760 წ. იმე-
რეთში სოლომონის წინააღმდეგ ძლიერი რაზმი გა-
გზავნა აბდულ-ფაშას წინამძღოლობით. ფაშამ მეფეს
ჩვეულებრივი ხარკი მოსთხოვა. სოლომონმა ტყვი-
ითა და ხმლით უპასუხა, შეება და მძიმეთ დაამარ-
ცხა. ამ ბრძოლაში თვით ფაშა მოიკლა. ოსმალთა
შემოსევა იმავე შედეგით შემდეგ წელსაც გამეორდა.
ხოლო 1763 წ. იმერეთში შემოვიდა ოსმალთა ძლი-

ერი ლაშქარი 40.000 კაცისაგან შემდგარი. ოსმალ-
ნი ორ დიდ რაზმათ იყვნენ გაყოფილი; ერთ მათ-
განს ჰასან-ფაშა ახალციხელი სარდლობდა. სოლო-
მონი ეკვეთა მათ 5 000 კაცით და გზადაგზა თით-
ქმის სულ ამოჟლიტა.

დრო და დრო მეფის ხელქვეით მოქმედობდა
დაქირავებული ლეკების რაზმი, რომელიც ორასი
კაცისაგან შესდგებოდა. თითოს ასეთ მოლაშქრეს
თვეში ოცდა-ათი მანეთი ეძლეოდა.

ოსმალთა ზედი-ზედ დამარცხებით სოლომონის
ძლიერება საგრძნობლად გაიზარდა. გურიელი და

დადიანი მის კრძალვაში ყვნენ აგრეთვე ეკრძალე-
ბოდა მას განდგომილი რაჭის ერისთავი, თუმცა ის
ერთხანს ქედს არ იხრიდა და ურჩობდა. — დიდი
როსტომ ერისთავი ხიდის კარის ციხეებში იყო
გამაგრებული და იქიდან მეფის გაძლიერებას შურით
თვალს ადევნებდა. ერისთვის ხელში ჩაგდება არც
ასე ადვილი იყო. შორსმჭვრეტმა მეფემ მოძმეთა
შორის სისხლის ღვრის თავიდან ასაცილებლად სხვა
გზას მიმართა. — რაჭას გაგზავნა თავისი ძმა-კათალი-
კოზი იოსები (მეფის უფროსი ძმა იყო) და ერისთა-
ვი იმერეთში მოსალაპარაკებლად მოიწვია. თან სი-
ტყვა მისცა: — „როსტომს არა თუ არას დავუშავებ,
საარაკოთაც დავხვდებიო“. კათალიკოზმა როსტომს
ბარძიმზე დაუფიცა, მეფე არას გავნებსო. როს-
ტომმა დაიჯერა და თავისი შვიდი ვაჟით მეფეს ია-
ხლო. მეფის ბრძანებით როსტომს გეგუთში ნადირო-
ბა გაუმართეს და იქ, იაშვილის სასახლეში, თვალე-
ბი დასთხარეს.

ფიცგატეხილმა კათალიკოზმა მეფეს საშინლად
აყვედრა; მერე გელათში განიკვეთა და სამღვდელ-
მთავრო სამოსელი განიძარცვა; მწირი მონანულივით
იქვე სამრეკლოს ვიწრო სენაკში დაბინავდა, სიკვ-
დილამდი მდუმარებდა და სინანულში იყო.

„ვთქვი — ერისთავს საარაკოთ დავხვდები და
კიდევაც დავხვდიო“ — გულმდუღარეთ ბრძანა მეფემ.
ამას შემდეგ სოლომონმა რაჭა ისევ იმერეთს
შემოუერთა (1769 წ.) და შესამჩნევადაც გაძლიერდა.
სოლომანის გაძლიერებამ აფხაზეთის მთავრებს
მოსვენება დაუკარგა. მათ შეკრიბეს ძლიერი, 40.000
კაცისაგან შემდგარი ლაშქარი, მოადგენ რუხის ცი-
ხეს (1780 წ.) და მეფის მოკავშირეს დადიანს ეკ-

ვეთენ. სოლომონი დაუყოვნებლათ დადიანს მიეშვე-

ლა, შეება მტერს და შემუსრა იგი. ამ ბრძოლას დაესწრო სხვათა შორის მგოსანი ბესარიონ გაბაშვილი-ბესიკი, რომელმაც ამის გამო საგანგებო პოემა დასწერა, „რუხის ომი“, მოიხსენა იმ დროდს გამოჩენილი მეომარნი და საგანგებო ხოტბით შეამკო ისინი.

ძლევამოსილი მეფე ქვეყნის შენებას შეუდგა: გამართა სტამბები და როგორც ზევით ვთქვით, აკრძალა ტყვეთა ყიდვა. მისივე ბრძანებით შესდგა საეკლესიო კრება, რომელმაც იმერეთის საეკლესიო საქმეები მოაწესრიგა.

I რუს-ოსმალთა ომი და საქართველო

ერეკლე და სოლომონი კარგად ხედავდენ, რომ მტრები დღეს თუ ხვალ თავს ისევ წამოყოფდენ და საქართველოში თავის დაცემული ბატონობის აღდგენას შეეცდებოდენ. ნაჭირნახულევი ქვეყა ძლიერს მფარველს და მტკიცე მარჯვენას მოითხოვდა, რომ ის მდგომარეობა, რომელიც ამ მეფეებმა საქრთველოში შექმნეს, თავის სასურველ დასკვნამდი მისულიყო და უფრო განმტკიცებულიყო. ჩვენს ქვეყანაში მფარველად ისევ და ისევ მართლმადიდებელი რუსეთი იყო მიჩნეული და ვახტანგ მე-VI-ის გაკვეთილმა ქართველობაში ეს რწმენა ვერ ამოფხვრა.

მეფე სოლომონმა რომ იმერეთში ტყვეების ყიდვა აკრძალა და ოსმალებს ხარკის ძლევა მოუსპო, გააფთრებული ოსმალნი ყოველ ღონეს ხმარობდენ იმერეთში თავისი ბატონობის აღსადგენად. თუმცა მეფემ ყოველთვის დაამარცხა ისინი, მაგრამ მტერნი ცდას არ აკლებდენ და სოლომონსაც მათი სიმრავლე აწუხებდა. ამიტომ მეფემ რუსეთის მთავრო-

ბას მიმართა და 1768 წელს რუსეთის დედოფალს ეკატერინე II-ს ქუთათელ მიტროპოლიტის მაქსიმეს ხელით თხოვნა მიართვა, სადაც, სხვათა შორის, ეწერა: „თორმეტი წელიწადია ხვანთქრის ჯარს და ჩვენ ძლიერი ბრძოლა გვაქვს. შვიდჯერ ჩემს ქვეყანაში შემოსულან მათი სერასკირები და ფაშები, ტყვე და ხარჯი უთხოვნიათ და რომ არ მიმიცია, ზამთარ-ზაფხულ ძლიერი ომი გვქონებია. ღვთის შეწევნით ყოველთვის დამარცხებულნი და სირცხვილეულნი წასულან. თვით ჩემის ხელით მრავალნი მომისრავს, რომელიმე ციხეები აღებული ქონდათ და ისევ დავაგდებიე, ასე რომ ჩემი ქვეყანა ახლა მევე მიჭირავს. ახლა ვითხოვ, რათა საჭირო იარაღის ბოძებით შეგვეწიოთ, რომ ოსმალთა წინააღმდეგობა კვლავ შევძლოთო“. (გრამოტ. ტ. II.ნაწ. I № 1.)

ეს თხოვნა 1768 წ. 23 ივნისის თარიღით გა
იგზავნა რუსეთს, ხოლო იმავე წლის ნოემბერში რუ-
სეთის, მთავრობამ ოსმალეთს ომი გამოუცხადა. პე-
ტრე პირველის მიერ სპარსეთის წინააღმდეგ ამო-
ღებული მახვილი ახლა მეორე სამაჰმადიანო სახელ-
მწიფოს — ოსმალეთის წინააღმდეგ აიმართა და საქარ-
თველოსაც აგერ, 50 წლის თავზე, მეორედ მოუწო-
დეს. გადაწყვეტილი იყო, ქრისტიან ერთა მისამხრო-
ბათ, ამ ომისთვის სარწმუნოებრივი სარჩული დაედვათ
— და რუსის მთავრობაც თვით დედოფლის თავმჯდო-
მარეობით შეუდგა ბჭობას იმის შესახებ, თუ რა
და რა დაპირებებით შეიძლებოდა ამ ომში ქართვე-
ლი მეფეების მომხრობა. სოლომონისა უეჭველი იმე-
დი ჰქონდათ, მხოლოდ ცოტას ერეკლეს შესახებ
იჭვნეულობდენ. და, აი, რუსეთის პირველი მინისტრი
გრაფი ნიკიტა პანინი, რუსეთის სახელით სოლომონს

სწერდა: „აქ მიღებული ცნობები თქვენი უმაღლე-
სობის მიერ თურქთა მრავალრიცხოვანი ჯარების და-
მარცხების შესახებ უეჭველს იმედს გვაძლევს, რომ
თქვენი მხნეობა და იშვიათი მამაცობა საკმაო თავ-
გვდებია მტერთა შესამუსრავად. ზედმეტად მიმაჩნია
იმის განმარტება, რომ ამ ომში, რომელიც სრუ-
ლიად უმიზეზოდ, ჩვეულებრივ ქრისტიანობისადმი
სიძულვილით, ოსმალეთმა, გამოიწვია თქვენ უმთავ-
რესად თქვენის მამულისათვის იღვაწებთ; მაგრამ სწო-
რეთ ამით დიდ სამსახურს გაუწევთ როგორც მთელს
საქართველოს, აგრეთვე ჩემს ყოვლად მოწყალე დე-
დოფალსაც. და როდესაც ღმერთი ჩვენს გამარჯვე-
ბას ინებებს, მაშინ სამშვიდობო პირობაში თქვენს
შესახებ ფრიად სასარგებლო მუხლებს შევიტანთ.
ვსასოებ, რომ თქვენი უ — ბა ახლავე იღონებს, რა-
თა ქართლ-კახეთის მეფე ერეკლეც საერთო საქრის-
ტიანო მტრის წინააღმდეგ აამხედროთ“. (გრამ. ტ. I
№ 9). ხოლო იგივე მინისტრი ერეკლეს სწერდა.
თქვენ უეჭველია მოგეხსენებათ, რომ დამოკიდებუ-
ლება ოსმალეთსა და რუსეთს შორის უკვე შეწყვე-
ტილია. ყოვლად მოწყალე დედოფალმა ინება — მეფე
სოლომონს ფულითა და ჯარით დახმარება მიეცეს.
დედოფალს სრული იმედი აქვს, რომ თქვენი უმაღ-
ლესობა სოლომონთან ერთად იმოქმედებსო“. (გრამ.
ტ. I № 195). ერეკლემ ეს წინადადება სიამოვნებით
მიიღო. მის წინაშე ქართლ-კახეთის გავრცელების
სურათი გადაიშალა; ოსმალთა მიერ საქართველოს
წართმეული ნაწილების უკანვე დაბრუნების შესაძ-
ლებლობა აიმართა. მესხეთის უკანვე დაბრუნება
უდიდესი საქმე იყო, რომელიც ერეკლეს უაღრეს მის-

წრაფებას ხორცს შეასხამდა. გამოცთილმა მეფემ საჭირო

თავდარიგი დაიჭირა და გრაფ პანინს აცნობა: „მეფე სოლომონი და ჩვენ უკვე შევთანხმდით და მზადა ვართ მახვილი ავმართოთ; ჩემი სათხოვარი ახლა ისაა, რომ საჭირო ჯარი და იარაღი გვებოძოს. ქართველთა და რუსთა შეერთებული ჯარით დიდ შედეგს მივაღწევთო“ — რუსეთის მიერ აღთქმული დახმარება ახლა ცარიელ სიტყვად ვეღარ დარჩებოდა, მით უმეტეს, რომ ეხმარებოდენ არა საქართველოს, არამედ თავის თავს. ოსმალთა ჯარის დაბანდება და ძალის დაქსაქსვა მით უფრო აუცილებელი იყო, რომ ომის გამოცხადებისთანავე ყირიმის ხანი თავისი ჯარით სამხრეთ რუსეთს შეესია და ქვეყნის ცარცვა-აწიოკებით თვით კიევამდი უწია! ყაბარდოელებიც თავიანთ ერთმორწმუნეებს მიემხრენ და რუსეთთან მტრული განწყობილება დაიჭირეს. პოლონეთმა, სადაც რუსეთის მეოხებით გახელმწიფებული გრაფი პონიატოვსკი მეფობდა და ვისიც განსაკუთრებული იმედი ჰქონდათ, რუსეთის წინადადება უარჰყო. ბალკანეთში მცხოვრებმა ქრისტიანმა ერებმაც რუსეთის დედოფლის მოწოდებაზე დუმილით უპასუხეს. დარჩა ერთად-ერთი საქართველო, რომელიც რუსეთს მხურვალედ გამოეხმაურა და საერთო მტრის შესამუსრავად მხარში ამოუდგა. რუსეთის მთავრობამაც საქართველოში გენერალი ტოტლებენი გამოგზავნა და თან 3767 ჯ-კაცი გამოატანა.

ტოტლებენი საქართველოში

ა. ქართლში

ჰოტლიბ-ჰენრიხ ტოტლებენი ჯერ საქსონიაში (გერმანიაშია) მსახურობდა და 1745 წ. გრაფის ხარისხი ებოძა. აქ მას რაღაც მარცხი მოუვიდა და საზღვარგარეთ განივლტო. იქიდან პრუსიაში გადმო-

ებარგა; დიდხანს ვერც აქ დაჰყო და ისევ საზღვარგარეთ — ჰოლანდიაში გაიქცა. აქიდან პეტრეს ქალაქს მიაშურა და რუსეთის მაშინდელს დედოფალს, ელისაბედს, თავი შეავედრა. რუსეთში მას ღალატი დასწამეს და სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტეს; მაგრამ რაკი რუს-ოსმალთა შორის ომი ატყდა, ტოტლებენი, როგორც საჭირო კაცი, დედოფალმა ეკატერინე II მ შეიწყნარა და საქართველოში რუსის მხედრობის მთავარსარდლათ დანიშნა.

ტოტლებენი თავისი მხედრობით 1769 წ. 12 აგვისტოს მოზდოკიდან დაიძრა და დარიელას ხეობით საქართველოსკენ გამოეშურა. მეტად ცუდი გზა ჰქონდათ და დაშლილი ზარბაზნები, თოფის წამლის ყუთები და სხვა იარაღი წინასწარ გაგზავნილმა ქართველებმა საშინელ გზაზე თავის ზურგით გადმოზიდეს. რუსის გენერალი იმერეთისკენ მიეშურებოდა და მეფე ერეკლეს მოციქულების პირით სთხოვა — შენს სამფლობელოზე გავლის ნება მიბოძეო“ გენერლის შესახვედრათ ერეკლე თვითონ ემზადებოდა და პასუხად ეს სურვილი აცნობა. მართლაც, 29 აგვისტოს, საქართველოს სამხედრო გზაზე, მდინ. არაგვის სათავესთან ერეკლე და ტოტლებენი ერთმანეთს შეხვდენ. მეფეს თან ახლდენ ბატონიშვილები — გიორგი და ლევანი და სიძე თვისი დავით ორბელიანი. შეხვედრა იყო მეტად გულითადი და მეფემ საუზმეზე რუსეთის დედოფლის სადღეგრძელოც მიირთვა. ტოტლებენს თან ახლდა თ-დი მოურავიშვილი, რომელმაც მეფეს რუსეთის მთავრობის სურვილი განუმარტა. ერეკლემ რუსეთის წინადადება სავსებით მიიღო, მხოლოდ მოითხოვა დამხმარე ჯარი არა ნაკლებ 5.000 კაცისა. — ამას

შემდეგ ტოტლებენი იმერეთისკენ გაეშურა და 27 სეკტემბერს მეფე სოლომონი ინახულა. მეფემაც იმერეთის მდგომარეობა გაუთვალისწინა და შორაპნის ციხის ასაღებად მიუთითა, თვითონ კი იმერეთის დასავლეთ საზღვრების დასაცავად წავიდა. შორაპნის ციხეში ამ დროს 23 ოსმალოს ჯარის კაცი იდგა. ტოტლებენმა ციხეს კბილი უსინჯა, ალყა შემოარტყა და იერიშიც მიიტანა, მაგრამ ამაოდ, — ამ ჟამად ციხე აუღებელი დარჩა და ტოტლებენმა საზამთროდ გორისა და ცხინვალის ყაზარმებს მიაშურა. ზამთრის განმავლობაში ტოტლებენმა ცუდათ ჯდომას ცუდათ შრომა ამჯობინა და ერეკლეს შესახებ რაღაც გაურკვეველი ეჭვებით შეპყრობილმა გაურკვეველივე ჭორების თხზვა დაიწყო.

შემდეგ წელს გადაწყვეტილი იყო ახალციხისკენ გალაშქრება.

17 მარტს 1770 წ. ქართველთა და რუსთა ჯარი სურამში შეერთდა. ერეკლეს ჯარში ირიცხებოდა 7000 მეომარი და რამდენიმე ზარბაზანი; აქვე იყვნენ მემკვიდრე გიორგი და ორი ეპისკოპოზი; ჰქონდათ აგრეთვე მოძრავი ტაძარი. ერეკლეს პლანით-მტკვრის მარჯვენა ნაპირით უნდა გაელაშქრათ, სოფ. ქვიშხეთზე გაევლოთ და აწყურის ციხეს მისდგომოდენ; ზეკარის უღელტეხილით მათვე უნდა

შეერთებოდა მეფე სოლომონი თავისი ჯარით.

სურამში ტოტლებენი კარგა ხანს დარჩა: სალაშქრო სამზადისს მეტის-მეტად აჭიანურებდა; ხან სურსათის უქონლობას უჩიოდა, თუმცა სურსათი იმდენი ჰქონდათ, რომ პურს კიდევაც ყიდდენ; მტერზე მისვლას სადღეხვალიოთ აგდებდა და დროს გა-

საგრძელებლად ყოველგვარ მიზეზს ეძებდა. მეფე სოლომონს კი შეუთვალა, 500 კაცზე მეტი არ წამოიწყვანო, თორემ უკანვე გავბრუნდები, რადგან- ჩემს ჯარს სურსათი აღარ ეყოფაო. რუს-ქართველთა შეერთებული ლაშქარი 17 აპრილს, როგორც იყო, აწყურამდი მივიდა. ტოტლებენი აქ ორ დღეს დარჩა და ციხის გარშემო არე-მარეს ათვალიერებდა; 19 აპრილს კი მოულოდნელად აიყარა და თავისი ჯარით უკანვე, სურამისკენ გაეშურა. ერეკლე საშინელს მდგომარეობაში ჩავარდა. ეს მდგომარეობა მით უფრო საშიშარი იყო, რომ ერეკლეს წინააღმდეგ ახალციხის ფაშამ საჩქაროთ დასძრა თურქთა და ლეკთა ძლიერი რაზმები. ასეთივე რაზმები გაიგზავნა ქართველების წინააღმდეგ ახალციხის საფაშოს სხვადა სხვა ადგილიდან. განსაცთელში ჩავარდნილი მეფისათვის ეს წუთი საშინელება იყო. ერეკლე თავის დღეშიაც ვერ წარმოიდგენდა ასეთს საარაკო ღალატს; მისი რაინდული გული ერთ წუთსაც ვერ შეურიგდებოა ამას!.. მწარე სინამდვილე იდგა მის წინაშე! ეს სინამდვილე ვერ გააქარწყლა ვერც მეფის მუდარამ, ვერც რუსის ჯარის სახელის გატეხვამ… მემკვიდრე გიორგი ეუბნებოდა ტოტლებენს: „ღენერალო, სირცხვილია ასეთ დროს ღალატი! ამით შენ არცხვენ რუსეთის ჯარს! ჩვენ გავიმარჯვებთ და დედოფალს შენს სიმხდალეს მოვახსენებთო.“

ტოტლებენის სამხედრო სინიდისმა ყოველივე ეს არხეინად აიტანა. მან გიორგის უპასუხა: „არა მაქვს ბრძანება ამ მცირე ჯარით ასეთ მრავალ-რიცხოვან მტერს შევებაო,“ და კიდეც უკან გამობრუნდა.

მეორე დღეს, 20 აპრილს, ერეკლე თავისი მცირე მხედრობით მტრის ძლიერ ჯარს ასპინძის მიდა-

მოებში შეება და საარაკოთ დაამარცხა. დედოფალს ეკატერინეს გამარჯვებულმა ერეკლემ რამდენიმე ნადავლი დროშა და ტყვე მიართვა.

რას შვრებოდა ამ დროს ტოტლებენი?

აწყურიდან რომ გამობრუნდა ის ანანურისკენ გაეშურა გზადაგზა მოვლო მთელი ქართლი და რა-

მდენიმე ციხე დაიჭირა. დუშეთიდან ზარბაზნები და ტყვიაწამალი ანანურში გადააზიდვია და ამ ციხეს საგანგებოდ ამაგრებდა. ქართლის სოფლებში აღარ გაუშვა ხარი და ძროხა, აიკლო და ააწიოკა ყოველივე; სხვათა შორის გაანადგურა არაგვის მოურავის ჩოლოყაშვილის სახლკარი, წაართვა თუ რამ ებადა და ერთგული თავადებიც დაუხოცა. ამასაც აღარ დასჯერდა და ქართველებს რუსეთის ერთგულობაზე აფიცებდა. რუსეთში კი გრაფ პანინსა სწერდა: „ერთი დრო უნდა ვიხელთო, მოღალატე ერეკლე ტახტიდან გადავაგდო და საქართველო დავიჭიროო.“

ბ. იმერეთში

მაგრამ ტოტლებენმა ვეღარც ანანურის სიმაგრეში მოისვენა. — ივნისში 1770 წ. ის აქიდან აიყარა, ქართული ზარბაზნები მიამტვრ-მოამტვრია, 200 ფუთი წამალი იხელთა და მუხრან-გორის გზით სურამისკენ გაეშურა. გზადაგზა, ჩვეულებრივ, სოფლებს იკლებდა და ხალხს რუსეთის ერთგულობაზე აფიცებდა. გრაფი იმერეთისკენ მიდიოდა და ივნისის დამლევს საზღვარსაც მოატანა.

გენერალს მეფე სოლომონი მიეგება, და სამხედრო. თათბირზე პირველად ბაღდათის ციხის აღება გადასწყვიტეს. ამ ციხეს მაშინ 30 კაცი იცავდა. ტოტლებენმა ციხეს ზარბაზნები დაუშინა. მეციხოვნე

რაზმმა ტოტლებენს შემოუთვალა, იარაღს დავყრით და ციხეს ჩაგაბარებთ, თუ იმერეთის დედოფალი გვითავდებებს, რომ არას დაგვიშავებთო. მარიამ დედოფალმა მეციხოვნეთ სიტყვა მისცა და ამ სიტყვას დაემორჩილენ. დედოფალი თავისი ამალით ციხეში შევიდა; ტოტლებენიც თან ახლდა. შორაპნის ციხე თვით მეფე სოლომონმა აიღო; ტოტლმბენი კი რუსეთის დედოფალს მოახსენებდა იმერეთის ციხეები ავიღეო.

მეფე ერეკლე ამის თაობაზე თ. მოურავიშვილსა და გრაფ პანინსა სწერდა: „ერთი წელიწადია, რაც ტოტლებენი აქა დგას და რა გააკეთა? ნუ თუ იმას იქადის, რომ იმერეთში ორი კოშკი „აიღო“, სადაც 15 —16 კაცი მდგარა?!... აწყურსა და ასპინძაში ოსმალთა და ლეკთა ამოწყვეტამ და იმათი ადგილების ჩემის ჯარებისაგან რბევამ შეუწყო ხელიო.“ (გრ. ტ. II ნაწ. I გვ. 54. 64).

იმერეთში მეციხოვნე ოსმალთა სიმცირეს ერეკლე იმით ხსნიდა რომ ასპინძაში დამარცხების შემდეგ ოსმალთ საშვალება მოესპოთ, იმერეთში

მყოფი ჯარისთვის მაშველი რაზმები გამოეგზავნათ.

ბაღდათს შემდეგ ტოტლებენი ქუთაისის ციხეს მოადგა, ალყა შემოარტყა და რადგანაც სხვაფრივ მისი აღების იმედი არა ჰქონდა, გადასწყვიტა მეციხოვნენი დამშევით დაემორჩილებია. მართლაც, გავიდა ხანი და ტოტლებენის ბანაკი დამშეულებით თითქმის აივსო, მაგრამ ესენი იყვნენ სულ ქალები და ბავშები, ოსმალნი კი მშვიდობიანათ განივლტენ და ცარიელი ციხე ტოტლებენს მიუტოვეს. აქიდან გენერალი ახალციხისკენ გაეშურა, მაგრამ უეცრად პირი იბრუნა და ოკტომბრის დამ-

დეგს ფოთის ასაღებად გაემართა. გზაში მას შეუერთდა კაცია დადიანი თავისი რაზმით (400 კაცი). შეერთებული ლაშქარი მალე ფოთის ციხეს მიადგა და ალყა შემოარტყა. ამ გარემოებამ გენერალი ისე აიტაცა, რომ „გამარჯვება“ დაუყოვნებლად აცნობა, სადაც ჯერ იყო, და ეს „ძლევამოსილება“ ყიზლიარსა და ასტრახანში სამადლობელი პარაკლისებით და ზარების რეკვით იდღესასწაულეს. ეგაა, რომ იქ სრულიადაც არ იცოდენ, თუ ფოთში რა დღე ადგა ტოტლებენსა და მის ჯარს. სურსათი აღარ ჰქონდათ, არც საჭირო ზარბაზნები და ჯარი ჭაობებში ამაოდ იჟლიტებოდა; ციხე კი უვნებლად იდგა. უბედურობა იმან კიდევ უფრო გაორკეცა, რომ დეკემბერში რუსის ჯარს აფხაზები თავს დაესხენ და რაც ამათ ცხენები ჰყავდით (412) სულ გაიტაცეს.

ამავე დროს ფოთის მიდამოებში გამოჩნდა ბათუმის მხრიდან მომავალი ოსმალთა ძლიერი რაზმი (6000 კაცი). ტოტლებენსა და მის დანარჩენ ჯარს სრული შემუსვრა ან დატყვევება არ ასცდებოდათ, რომ ეს მოსალოდნელი უბედურობა რუსის მხედრობისა დროით მეფე სოლომონისთვის არ ეცნობებიათ. მეფე დაუყოვნებლად გურიისკენ გაეშურა, ფოთისკენ მიმავალს ოსმალებს უყელა, შემუსრა და ამით რუსის მხედრობაც იხსნა. ამის გამო რუსეთიდან საგანგებოდ ტოტლებენის მოქმედებათა გამოსაძიებლად გამოგზავნილმა კაპიტანმა იაზიკოვმა თავის მთავრობას მოახსენა: „მეფე სოლომონმა დაუფასებელი სამსახური გაგვიწია და ჩვენი ჯარი უეჭველი დაღუპვისაგან იხსნაო.“

ტოტლებენი ერთხანს კიდევ ადგილიდან არ იძვროდა; მაგრამ როდესაც შემდეგს, 1771 წ. თე-

ბერვალში ცნობა მოუვიდა, რომ აფხაზების მხრით

ახალი თავდასხმა მზადდებაო, იკადრა და ოდიშ-იმერეთის საზღვარზე — ხონისკენ გამოეშურა. ამავე წლის მარტში ქუთაისში მდგომ გენერალს რუსეთიდან ბრძანება მოუვიდა — იმერეთი დასტოვეო. ტოტლებენს რაღა გზა ჰქონდა — ბრძანებას დაემორჩილა — მაგრამ რუსის მხედრობის სახელი საქართველოში ვეღარც მისმა მოადგილემ გენ. სუხოტინმა აღადგინა.

მეფე სოლომონი ერთს თავის წერილში რუსის გენერალს ასე ახასიათებს: „ტოტლებენმა თავისი უწესო მიმოსვლით ქართლსა და იმერეთს შუა მეფე ირაკლი და ჩვენ ძმობისა და ერთსულოვნობისაგან განგვყო და განგვაშორა და სიტყვანი სავნებელნი დასთესა ჩვენ შორის! იგი ისე რიგათ იქცევა, რომ უფროსად განაძლიერებს და მხნე ჰყოფს მტერთაო.“ (გრ. ტ. II გვ. 55).

ეს კია, რომ გრაფმა პანინმა ტოტლებენს თავიდანვე ასეთი დარიგება მისცა: „შენ საქართველოში ისე მოიქეცი, რომ სადავე თვითონ გეჭიროს; დე ხორცი იყოს ქართული, სული კი რუსული ედგასო!“ (გრამ. ტ. I. გვ. 155).

შედეგი ასპინძის ომისა

რუს-ოსმალთა ომი 1774 წლის ტრაქტატით დასრულდა. ის სისხლი, რომელიც საქართველომ დაღვარა ამ ომში, უნდა ანაზღაურებულიყო იმ წყალობათა ასრულებით, ომის დაწყებისას რომ ერეკლესა და მთელს საქართველოს ასე უხვათ დაპირდენ. უმთავრესი ამ წყალობათაგანი ტრაქტატში საქართველოსთვის სასარგებლო პირობების შეტანა უნდა ყო-

ფილიყო. რუსეთის დედოფალი და მისი მინისტრი გრაფი პანინი ამ დაპირებას დაბეჯითებით იმეორებდენ მაშინ, როცა საჭიროება მოითხოვდა საქართველოს ამხედრებას ოსმალთა წინააღმდეგ. ნამდვილათ კი ხსენებული ზავის პირობაში საქართველოს შესახებ ასეთი მუხლი შეიტანეს: „იმერეთის ციხეები, შორაპნისა, ქუთაისისა და ბაღდათისა იმათ საკუთრებადვე დარჩეს, ვისაც ისინი წინად ეკუთვნოდენ; ოსმალეთი უარს ამბობს ხარკზე, რომელსაც ის ღებულობდა ქალ-ვაჟთა სახით; ხოლო რადგანაც ეს ქვეყანა ე.ი. იმერეთ-გურია-სამეგრელო ოსმალთ ექვემდებარება, ამიტომ რუსეთი მათ საქმეში ვეღარ გაერევაო“. ეს ითქვა დასავლეთ საქართველოს შესახებ; ერეკლე და მისი სამეფოს ინტერესები არც კი უხსენებიათ. ამ რიგათ, ხელშეკრულობამ მხოლოდ დაადასტურა

ის მდგომარეობა, რომელიც ომამდი იყო. ერეკლეს შერჩა დიდება და სახელი ასპინძის გმირისა, რომელი დიდებაც ერეკლეს სამხედრო სახელს აღარც კი ეჭიერებოდა.

სოლომონმა ხომ ჯერ კიდევ ამ ომამდი მოუსპო ოსმალთ ხარკის ძლევა. ზავის პირობამ კი ოსმალეთს იმერეთში კვლავ ხელები გაუხსნა. — საქართველოში მაშინ ამაოდ როდი ფიქრობდენ, რომ რუსეთმა ოსმალეთთან მშვიდობა იმერეთის გაცემით იყიდაო. ქართლ-კახეთმა კი ახალი მტერი შეიძინა; ეს მტერი გახლდათ ოსმალეთი, რომელთანაც ერეკლეს 1747 წლიდან კეთილგანწყობილება ჰქონდა და მშვიდობიანობა არ დარღვეულა. ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც რუსის ჯარი, შორაპნის ციხიდან აყრილი, ქართლში იდგა, ახალციხის ფაშა ნეემანი ერეკლესა სწერდა: „სასურველო, შემძლებელო მე-

ზობელო ჩვენო და მეგობარო... ჩვენ შორის მეგობრობა დამტკიცებული იყო, რომ ერთი რამ წყენა არა მომხდარა რა არც თქვენიდან ჩვენთან, არც ჩვენიდან თქვენთან... მეფე სოლომონს კი, მოსკოვის უსჯულოებთან, ღმერთმა იმათი ბოლო დააქციოს, კაცი გაეგზავნა და რამდენიმე ასი კაცი მოუყვანინებია. შორაპნის ციხეს შემოდგომოდენ, მაგრამ ღვთის წყალობით ხელი ვერაფერზე მისწვდომოდათ და ისევ უკან დაბრუნებულიყვნენ თავიანთ საძგელის მიწისაკენ. ახლა ის უსჯულოები თქვენს ქვეყანაში შემოსულან და, როგორც მეგობრობას და ძმათ მოყვარებას შეშვენის, იმ ურჯულოების ყოფნა თქვენს ქვეყანაში ნუ იქნებაო.“ (გრამ. ტ. II. გვ. 16)

მაგრამ, როგორც ვიცით, ოსმალებთან კეთილგანწყობილება დაეცა, სპარსეთიც კბილებს ილესავდა და ერეკლე დიდ საგონებელში ჩავარდა: „ახლა მეტი მტერობა აქვთ თურქთა და ლეკთაო.“

მწარე ფიქრებით გარემოცულმა მეფემ ისევ ჩრდილოეთს მიმართა და მფარველობა ითხოვა: გვეზოძოს ჯარი; ამ ჯარის მთავარსარდალი ჩვენს ხელქვევით იმყოფებოდეს. ჩვენი ჩამომავლობის მეფობა რუსეთის იმპერატორთა მორჩილებასა ქვეშე უცვალებლად ეგოს; ჯარის შესანახავი ფული სესხად მოგვეცეს და ხაზინამ შემდეგ ჩვენგანვე მიიღოს; საქართველოს კათალიკოზი წესსავე თვისსა ეგოს მოუშლელად რაც ჩვენს ქვეყანაში მადანი გამოჩნდეს, ნახევარი ხაზინას მიერთვასო და სხვ.

ეგაა, რომ რუსეთის მთავრობას ამ ჟამად საქართველოსთვის აღარ ეცალა და გრ. პანინმა 1773 წლ. 8 თებერვლის თარიღით ერეკლეს აუწყა: „ჩვენ

შორის ფორმალური კავსირის დამყარება ჯერ-ჯერობით ნაადრევათ ვიცანითო.“ (გრ. გვ. 373 ტ. I.)

ათი წლის შემდეგ

1779 წელს სპარსეთის მფლობელი, ქერიმხანი, გარდაიცვალა. მის სიკვდილს სპარსეთში შფოთი და არეულობა მოჰყვა. ამ მდგომარეობას რუსეთმა ყურადღება მიაქცია და კასპიის ზღვის დასაპყრობათ საჩქაროთ მოემზადა. ეს იყო პეტრე დიდის მისწრაფების გაგრძობა. სპარსეთში მომხდარმა არეულობამ ამოატივტივა ცნობილი საჭურისი ყაჯართა გვარისა აღამაჰმადხანი. იგი მოკლე დროის განმავლობაში ისე გაძლიერდა, რომ კასპიის ზღვის ყურეში რუსის მეზღვაურები შეიპყრო და ხუნდები დაადვა, — რა გინდათ ჩემს მამულში რომ დაძრწითო. ამ გარემოებამ რუსეთის მთავრობას თვალი აუხილა და საქართველო ისევ საჭირო შეიქნა. ერეკლესაც, რასაკვირველთა, სპარსეთისათვის ანგარიში უნდა გაეწია.

რუსეთში წარდგენილი ერეკლეს შეთანხმების ქაღალდი დღემდი უძრავათ იდვა. ახლა კი რუსეთის მთავრობამაც საჭიროთ დაინახა, მისთვის ჯეროვანი ყურადღება მიექცია. ერეკლეს მიერ წარმოდგენილი პროეკტი გულდასმით გადასინჯეს და 24 ივლისს 1783 წ. ქალაქ გეორგიევსკში საქართველოსა და რუსეთის წარმომადგენლებმა მიიღეს და დაამტკიცეს შემდეგი:

I. მეფე ქართლისა და კახეთისა თვისისა და ძეთა და მომავალთა თვისთა სახელით უარყოფს ყოველგვარ დამოკიდებულებას სპარსთა ანუ სხვათაგან და არა სცნობს თვისზედ სხვის ზეხელმწიფობას გარდა რუსეთის თვითმპყრობელთა; აღთქვამს მის ერთგულებასა და შეწევნას, სადაც და როდესაც ამას საჭიროება მოითხოვს.

II. მისი იმპერატორებითი უდიდებულესობა თანასწორადვე აღთქვამს თვისისა და თვისთა მემკვიდრეთა სახელით, როშ მისი მფარველობა არ მოაკლდეს ქართლ-კახეთის მეფეთ, რის დასამტკიცებლად იძლევა თავის იმპერატორებით სიტყვას ერეკლე თეიმურაზის ძის აწინდელი სამფლობელოს დასაცავად; აგრეთვე თავდებობს იმ სამფლობელოთა დაცვასაც, რომელნიც დროისა და გარემოების მიხედვით მის მიერ შეძენილ და დამტკიცებულ იქმნებიან.

III. ქართლ-კახეთის თავიანთ რწმუნებულთა პირით აუწყებენ იმპერატორს ტახტზე ასვლას და გამოითხოვენ დამტკიცებას წერილობით და დროშით,

რომელზედაც გამოსახული იქნება რუსეთის ღერბი, მქონებელი საშვალ თვისსა საქართველოს ღერბისა, და რუსეთის მინისტრის თანადასწრებით მიიღებენ ფიცს.

IV. ქართლ-კახეთის მეფემ რუსეთის გარეშე საქმეთა მინისტრის უთანხმოთ, არ იქონიოს მიწერ-მოწერა გარეშე მეფე-მთავრებთან.

V. ქართლ-კახეთის მეფეს რუსეთში ჰყავს თავისი წარმომადგენელი ანუ რეზიდენტი, სხვა მინისტრებთან თანასწორუფლებიანი, აგრეთვე იმპერატორსა ჰყავს თავისი წარმომადგენელი საქართველოში.

VI. ქართლ-კახეთის მკვიდრნი მჭიდრო კავშირით შეირაცხებიან იმპერიასთან; იმპერატორი მათს მტერს იჩნევს თავის მტრად; მეფე ერეკლესა, მის სახლეულობას და მემკვიდრეთ დაიცავს უცვალებლად ქართლ-კახეთის ტახტზე; რაიცა შეეხება სამეფოს შინაურ მმართველობას, სასამართლოს, გადასახადებს და მისთანათა, სტოვებს მეფის სრულ უფლებაში და თავის მოხელეებს უკრძალავს ამ მხრით რაიმე განკარგულების მოხდენას.

VII. მეფე ქართლისა და კახეთისა აღთქვამს, რომ თავის მხედრობით ყოველთვის მზად იყოს მისის უდიდებულესობის სამსახურისათვის, ქვეშევრდომნი მისნი დაიცვას შევიწროებისაგან და სხვადასხვა პირთა დაჯილდოების დროს მხედველობაში იქონიოს მისი დამსახურება იმპერიის წინაშე.

VIII. საქართველოს კათალიკოზს აქვნდეს ადგილი რუსეთის მღვდელმთავარტა შორის მერვე ხარისხისა, ხოლო თუ როგორ უნდა განიგებოდეს ეკლესია და ან როგორი უნდა იყოს მისი დამოკიდებულობა სინოდდან, ამისათვის დაიწეროს სხვა მუხლი.

IX. ქართლ-კახეთის აზნაურნი სარგებლობენ იმ უფლებებით, რაიცა მინიჭებული აქვთ იმპერიის აზნაურთ. მეფე წარადგენს იმ აზნაურთა სიას, თუ ვის როგორი შეესაბამება სამართალი.

X. ქართლ-კახეთის მკვიდრთ უფლება ეძლევათ რუსეთში თავისუფლად ივაჭრონ, ისინი ისარგებლებენ იმავე პატივითა და სამართლით, როგორც იმპერიის მკვიდრნი; აგრეთვე მეფე აღთქვამს მაგიერი მფარველობა გაუწიოს რუსის ვაჭრებს საქართველოში.

XII. ხელშეკრულობა ესე იწერება საუკუნოდ, ხოლო თუ საჭიროება მოითხოვს შეიცვალოს ან დამატებას ურთიერთ სასარგებლოდ, ამასაც ადგილი აქვს ორივე მხარის თანხმობით.

XIII. ხელმოწერილი ტრაქტატი ესე უნდა გადაეცეს მხარეებს ექვსი თვის განმავლობაში ანუ უადრეს მისსა.

ხელს აწერენ რუსეთისა და საქართველოს რწმუ-

ნებულნი: თ-დი პავლე პოტიომკინი, თ-დი იოანე ბაგრატიონი, თ-დი გარსევან ჭავჭავაძე.

შემდეგს, 1784 წ., მეფე სოლომონმაც რუსეთის მფარველობა ითხოვა. მეფე, სხვათა შორის, თხოულობდა ახალციხის საფაშოში რუსეთის საელჩოს დაწესებას, შავი ზღვის ნაპირების დაცვას და სხვ. სოლომონის თხოვნა აუსრულებელი დარჩა, ვინაიდან რუს-ოსმალთა ზავით (1774 წ.) იმერეთი ოსმალეთზე დამოკიდებულ სამთავროდ იქმნა აღიარებული და რუსეთი იმერეთის საქმეებში ვეღარ ჩაერეოდა.

საქართველოს გაერთიანების აზრი

იმავე 1784 წელს გელათის მონასტრის უმთავრეს ტაძარში მიწას მიაბარეს ცხედარი მეფის სოლომონ I-ისა. ქვეყნის მოჭირნახულე და მოამაგე მეფე უეცრად გადაიცვალა 23 აპრილს.*) სოლომონს მემკვიდრე არ დარჩენია და იმერეთის ტახტი დიდებულთა ერთი ნაწილის შემწეობით დავით გიორგის ძემ, მეფის ბიძაშვილმა, დაიჭირა. ახალმა მეფემ მაშინვე გაგზავნა რუსეთს მიტროპოლიტი მაქსიმე, სახლთუხუცესი ზურაბ წერეთელი და მდივანბეგი დავით კვინიხიძე.

იმერეთის ელჩები მოხსენებაში სხვათა, შორის, ამბობდენ: „ჩვენი გამომხსნელი ხელმწიფე, მეფე სოლომონი, უწყალოსა სიკვდილისა მიერ მიგვეღო... ქვეყნის ოხერყოფასა და წარტყვევნასა გვიქადიან ოსმანნი, რომელთაც დიდათ უხარისთ კურთხეულის

*) მისი საფლავის ლოდზე შემდეგი წარწერაა „აქა განისვენებს გვამი იმერეთის მეფის დიდის სოლომონ I-ისა. დაიბადა 1735 წ. და მიიცვალა 23 აპრილს 1782 წ. (უნდა იყოს 1784 წ. დ. ო.) ჰყავდა ერთი ვაჟი ალექსანდრე და ორი ასული: მარიამ, მეუღლე ქსნის ერისთვის ელიზბარისა და დარეჯან, მეუღლე თავადის ქაიხოსრო აბაშიძისა.“

ჩვენის მეფის სოლომონის სიკვდილიო“, (გრ. ტ.II. გვ. 180), და თხოულობდენ მეფის დამტკიცებასა და მფარველობას.

მაგრამ იმერეთში ამ დროს იყო ჯგუფი, რომელიც სულ სხვანაირად აზროვნობდა და ქვეყნის საკეთილდღეოდ სულ სხვა გზას ადგა. ამ ჯგუფმა სრულიად გვერდი აუარა ჩრდილოეთს, საიდანაც, როგორც გამოცდილებამ დაარწმუნათ, დახმარების

ხელი იმერეთს არ უნახავს, და უფრო სწორი
და საიმედო გზა აირჩია. ჯგუფმა ხელზე დაიხვია
ის გარემოება, რომ მეფე ერეკლე დავით გი-
ორგის ძის გამეფების თანამგრძნობელი არ იყო და
მოინდომა ეს შემთხვევა ქვეყნის სასარგებლოდ გა-
მოეყენებია. — აქ დაიბადა დიადი აზრი საქართველოს
გაერთიანებისა, მისი ძველი ძლიერების აღდგენისა
და აყვავებისა. და, აი, ამ საბედნიერო აზრის განსა-
ხორციელებლად მეფე ერეკლეს წარუდგენ იმერეთის
დესპანნი: მიტროპოლიტნი ევთიმე გენათელი და დო-
სითეოზ ქუთათელი, სარდალი ქაიხოსრო წერეთელი,
სეხნია წულუკიძე, იოანე აბაშიძე, იოანე აგიაშვი-
ლი, ქაიხოსრო ჩიჯავაძე და ფიცის კაცნი: ლორ-
თქიფანიძე, იოსელიანი და ავალიანი და სთხოვეს:
„ვინაიდან არა გვსურს, მეფეო, დავითი, მიმტაცე-
ბელი ტახტისა, ინებე და შეიერთე იმერეთი, როგორც
იყო ერთმთავრობის დროსაო.

ერეკლემ იმერეთის დესპანთა საპასუხოდთ კრება
მოიწვია. დანიშნულ დღეს კათალიკოზი და ქართლ-
კახეთის დიდებულნი სასახლეში შეიკრიბენ. ფრიად
დიდი და მრავალმნიშვნელოვანი საკითხი იყო გადა-
საწყვეტი. კრებაზე პირველი და ძლიერი სიტყვა ერ-
თობის სასარგებლოდ მზეჭაბუკ ორბელიანმა წარმო-

სთქვა. მას მხარი დაუჭირეს მსაჯულმა სოლომონ
ლეონიძემ, კათალიკოზმა, სარდალმა დავით ყაფლა-
ნიშვილმა და სხვებმა.

ერეკლე სდუმდა.

მზეჭაბუკ ორბელიანი: ნუ ჰყოვნი, მეფეო! მეფე
ერისათვის და არა ერი მეფისათვის! ერი იმერთა
თხოულობს კავშირს, როგორ ეტყვით უარს? ვიცი
შენი აზრი: როგორ წავართვა მეფობა ჩემს შვილი-
შვილსაო, — მაგრამ ასეთი აზრი იმერეთისთვის სწო-
რეთ რომ საუბედუროა! რა წააგო ქართლმა კახეთის
შემოერთებით? ერის ბედნიერება იმერეთის შემო-
ერთებას მოითხოვს.

სარდალი წერეთელი: ბატონო მეფევ, უკეთუ არ
განმტკიცდეს მეფობა და დაიწყოს უწესობა, მაშინ
დასტოვეთ იმერეთი. ახლა კი მიიღეთ იმერეთის გვირ-
გვინი, განძლიერდი ჩვენით და განგვაგძლიერეთ
თქვენით!

იოანე მუხრანბატონი: იმერეთის დაკავშირება ძნე-
ლია, — ჩვენის თავისთვის ვერ მოგვივლია და იმერეთს
როგორღა მოვუვლით?

სარდალი დავით ყაფლანიშვილი: მუხრანბატონი
მართალსა ბრძანებს, — თავის ხმლითა და იარაღით
ის ვერავის მოუვლის! მოვა დრო და სხვა მუხრან-

ბატონის ხმალი გასჭრის!..

ერეკლეს მეუღლეს, დარეჯან დედოფალს, სხვა აზრი ჰქონდა და ორბელიანი კინაღამ საყვედურით დაახჩო...

მზეჭბუკი: ბატონო დედოფალთ ვერ შევიქ-ნები ორგული მეფისა; ჩემი აზრი მტკიცეა და თუ არ ასრულდა, საფლავში თან ჩავიტან! ქვეყნის შვი-

ლი ვარ და მეფის ერთგული, — როგორ ვურჩიო ბო-როტი?

მემკვიდრე გიორგი: იმერეთისა და ქართლის შე-ერთება მეფობის სიმტკიცე იქნება; თუ გნებავთ ქვეყ-ნის გაძლიერება, უნდა ქმნათ ერთობა. ისრაილთა სამეფო მაშინ დაეცა, როდესაც ორად გაიყო.

მეფე ერეკლე: თქვენს თხოვნას ვერ მივიღებ, კარს მტერი მადგას და ახალ მტერს ვერ გავიჩენ! იმერეთის ტახტზე ავიყვან ჩემს შვილიშვილს და ამით იქნება ერთობაო. ბჭობამ სამს დღეს გასტანა და იმერეთის დესპანებმა ბოლოს ეს პასუხი მიიღეს. და-რეჯან დედოფალმა თავისი გაიტანა და ერთობის აზ-რი დამარცხდა.

ერეკლემ სიტყვა აასრულა, — იმერეთში გამოგ-ზავნა ჯარი, რომელმაც დაამარცხა დავით გიორგის ძე და იმერეთის ტახტზე აიყვანა დავით არჩილისძე სოლომონ II-ის სახელით*). ეს მოხდა 1790 წ.

საკავშირო ხელშეკრულობა

იმავე, 1790 წ., ერეკლეს თაოსნობით თფი-ლისში მოხდა სრულიად საქართველოს მეფეთა და მთავართა კრება, რომელსაც დაესწრენ: მეფე ერე-კლე, მეფე სოლომონ II, ოდიშის მთავარი გრი-გოლ და გურიისა სიმონი. კრების მიზანი იყო სა-ქართველოს მეფე-მთავართა შორის ხელშეკრულო-ბის დადება. კრებამ შეიმუშავა შემდეგი:

„ვინაიდან ყოველთა ივერიელთა ქართლ-კახე-თისა, იმერეთისა, ოდიშისა და გურიისა აქვთ ერთ-

*) სოლომონ II დიდის სოლომონ I-ის ძმისწული იყო, მისი უმცროსი ძმის-არჩილის ვაჟი; არჩილს კი ცოლად მე-ფე ერეკლეს ქალი ჰყავდა.

მორწმუნება, არიან ძენი ერთის კათოლიკე ეკლე-სიისა და ერთის ენისა მქონებელნი, აქვთ სი-ყვარული, ვითარცა სისხლით ნათესავთა და მო-ყვრობით შეკრულთა ურთიერთშორის, ამისთვის აღ-

ვთქვამთ ამა მტკიცე ერთობასა:

მეფე ქართლისა, კახეთისა და სხვათა ირაკლი მეორე გარწმუნებთ მეფესა იმერეთისასა, შვილიშვილსა ჩემსა სოლომონს, ოდიშის და სხვათა სამთავროთა მთავარს დადიანს გრიგოლსა და მთავარსა გურიისას სვიმონს და ერთობით ერსა ქვემო ივერიისასა:

ა). შევრაცხო ყოველი მტერი თქვენი მტერად ჩემდა და სამეფოისა და ვიყო მტერი მტრისა თქვენისა და მოყვარე მოყვრისა.

ბ). ვზრუნავდე ქვეყნის დამშვიდებისათვის და ჩემის შეძლებისამებრ ვიყო შემწე თქვენი მტრის წინააღმდეგ.

გ). დავიცვა ძენი იმერეთისა, ვითარცა მამამ.

დ). უკეთუ თქვენს წინაღმდეგ ამხედრდეს მტერი ძლიერი გინდ მცირე ჩემის მხედრობით ან სხვა რომელიმე ძალით შეძლებისამებრ მზად ვიყო თქვენს შესაწევნელად.

ე). ვზრუნავდე, რათა თქვენცა მოგიყვანოთ უმაღლესს მფარველობას ქვეშე.

ვ). ძეთა ჩემთა და სრულიად ქართლ-კახეთის მკვიდრთ სჯულად ვუდებ ივერიასთან ამ საუკუნო ერთობას და ვამცნევ ყველას, ვითარცა სჯული ეკლესიური, ეგრეთ დაიცვან ზემოაღწერილი აღთქმანი.

მეფე სოლომონისაგან:

მეფე ყოვლისა იმერეთისა, შვილიშვილი თქვენი სოლომონ, ქრისტიანებრითა აღთქმითა გარწუნებთ უმაღლესსა მეფესა ქართლისა, კახეთისა და სხვათა მეორე-

სა ირაკლის, ძეთა თქვენთა და ერსა ზემოისა ივერიისასა ესრეთ:

ა). შევრაცხო ყოველი მტერი თქვენი მტრად ჩემდა და ჩემის სამეფოისა და ვიყო მტერი მტრისა თქვენისა და მოყვარე მოყვრისა.

ბ). ვზრუნავდე თქვენის ქვეყნის დამშვიდებისათვის და ნიადაგ მზათ ვიყო მტერთა წინააღდგომად.

გ). ვიყო მწადნელი თქვენისა და თქვენთა ძეთა ბედნიერებისა.

დ). უკეთუ ამხედრდეს თქვენს წინააღმდეგ მტერი ძლიერი გინდ მცირე, მხედრობითა და სხვა ყოველი ჩემი ძალით მზად ვიყო შეწევნად თქვენდა.

ე). როგორიც ხელშეკრულობა ჰქონდეს უმაღლესობასა უმაღლესის კარისადმი, ვიყო თანახმა.

ვ). შევიკვრი ამ აღთქმითა და იმერეთის მკვიდრთ სჯულად ვუდებ მტკიცედ დაიცვან ზემოაღწერილნი აღთქმანი.

მსგავსივე ხელშეკრულობანი მიერთვა ერეკლეს

ოდიშისა და გურიის მთავრებისგანაც.

აღამაჰმადხანი

მეთვრამეტე საუკუნის მეორე ნახევარი სპარსეთისათვის მეტათ მძიმე დრო იყო. მთელი 30 წლის განმავლობაში ამ ქვეყანაში შფოთი და ტახტის მაძიებელთა შორის ცილობა არ შეწყვეტილა. ქერიმ-ხანის სიკვდილს შემდეგ (1779 წ.) სპარსეთში თავი იჩინა საჭურისმა აღამაჰმადხანმა. ძველი ირანის გაერთიანება, დიდის შაჰაბაზის და ნადირშაჰის დროთა აღდგენა და ძლიერი სპარსეთის შექმნა — აი, რა იყო მისი ოცნება. მიზნის მისაღწევად იგი იბრძოდა მთელი 18 წლის განმავლობაში.

— 41 —

აღამამადხანი კარგათ ხედავდა, რომ საქართველოში რუსების დამკვიდრება სპარსეთის მთლიანობას და ძლიერებას კარგს არას უქადდა, და მეფე ერეკლეს მუდამ აფრთხილებდა: „ნუ იწვევ რუსებს, არ დაგინდობენ, ისეთის ტომის არიანო” რუსების საქმე ყოველს ჟამს აღებ-მიცემა, ვაჭრობა ბაგრასტისა და მაუდის სყიდვა არის, სწერდა ის ერეკლეს უკვე თფილისის აოხრების შემდეგ, — იმათგან ხმლისა- და ომის იარაღის ხმარება არავის უნახავს. აკი როცა ჩემი ბედნიერი დროშების აჩრდილი დაინახეს, აიყარენ და თავიანთ საძაგელის ქვეყნისკენ განივლტენ!..“ ის საქმე, რომ მაშინ მოხდა (თფილისის აოხრება),ის შენგან მოხდაო.“ (გრამოტ. ტ. II. გვ. 134). — ახლა ასე სწერდა, მაგრამ წინათ ერეკლეს შუამავლობით რუსეთთან დამეგობრებას თვითონ ცთილობდა: „მე თქვენთან დიდის მეგობრობის მონდომე ვარ, რომ მე და შენს შუა სიყვარული და მეგობრობა იყოს... ადირბეჟანის ალაგები, რომელიც თქვენი მხარე იყოს, თქვენვე მიიღეთ სამკვიდროდ, როგორც ერევანი გიჭირავსთ,“ — უთვლიდა ის ერეკლეს 1786 წ. და ამასთანავე რუსეთთან კეთილგანწყობილობის დასამყარებლად შუამდგომლობასა სთხოვდა. რუსეთი კი ცთილობდა სპარსეთის მდგომარეობა თავის სასარგებლოდ გამოეყენებია და პეტრე დიდის მიერ დაწყებული საქმე დაემთავრებია.

ცბიერმა აღამამადხანმა რომ მოლაპარაკებით ვერაფერი გააწყო, რუსეთის მოკავშირე საქართველოზე იერიშის მიტანა გადასწყვიტა.

ერეკლე აღამაჰმადხანის მოძრაობას გაფაციცებით თვალს ადევნებდა; არც ერთი მისი ნაბიჯი არ გა-

მოპარვია და, ხელშეკრულობის თანახმად, რუსეთის მთავრობას ჯარსა და დახმარებას თხოვდა. ჯართან ერთად მეფე იმ ზარბაზნებისა და ყუმბარების გამოგზავნასაც თხოულობდა, რომელიც მისის შეკვეთით იყო ჩამოსხმული და აგერ რამდენიმე წელიწადი გადიოდა, რაც რუსეთშივე უძრავად იდგა. თვით დედოფალი დარეჯანი, ძლიერი მტრის მოახლოვებით შეძრწუნებული, სწერდა ეკატერინე II-ს: „გთხოვთ, აღთქმისამებრ ტრაქტატისა, ინებოთ შეწევნა ჩვენი აღამამადხანსა ზედა, რომელიც მახლობლად ჩვენდა მდგომარე არს და ცთილობს ჩვენის ქვეყნის დაპყრობასო.“. (გრ. ტ. II. გვ. 119.)

ამის პასუხათ გენერალ გუდოვიჩს უბრძანეს: „მიეშველე ერეკლეს, მხოლოდ ფრთხილად იმოქმედე; მეფე სოლომონსაც მაინც და მაინც ნუ აიძულებ ერეკლეს დასახმარებლად, რომ ოსმალეთი არ გადავიკიდოთო“. (ცაგარელი, ტ. II. წინასიტ. გვ. XXVI.)

სანამ ერეკლე რუსეთს წერილებსა და ელჩებს გზავნიდა და კარზე მომდგარი უბედურობის გამო დახმარებას თხოულობდა, ხოლო რუსეთში ამის შესახებ ჯერ მხოლოდ ბჭობდენ, აღამაჰმადხანი თავის საქმეს აკეთებდა. იგი, სპარსეთიდან რომ წამოვიდა, ჯერ შუშის სიმაგრეს მიადგა, ხოლო ერთი რაზმი ერევნის ასაღებად გაგზავნა. ამავე დროს აქეზებდა, ომარ-ხანს ავარიელს, რომ კახეთს დასცემოდა, ხოლო ჭარელებს, თუ კი დაეხმარებოდენ, თითო მეომარზე 100 მანეთს პირდებოდა.

ერევნის აღების ამბავი აღამაჰმადხანს მალე მოუვიდა; ამასთანავე მოახსენეს, რომ სრულიად სომეხთა კათალიკოზი ლუკა მის ჯარს დიდის საჩუქრებით

(100.000 მან.) და ლოცვა-კურთხევით მიეგება. გამხნევებული აღამაჰმადხანი შუშიდან დაიძრა და მისმა მრისხანე ძალამ 10 ენკენისთვეს უკვე მოიცვა თფილისის ზღუდენი.

თფილისის აოხრება

სპარსელები საქართველოს ყოველთვის ბამბაკის გზით შემოესეოდენ, სხვა გზა მათ არ იცოდენ. ქალ. შუშიდან აყრილ ა-მ-ხანის ჯარს გზის მაჩვენებლათ უძღოდენ სომხები-მეჯნუნ და აბო შახნაზაროვები, ერეკლესაგან მრავალჯერ შევრდომილნი და დამწყალობებულნი. ხსენებული პირნი სპარსთა ჯარს ყა-

ზახ-ბორჩალოს გზით წამოუძღვენ. მოწინავე ცხენოსანმა ჯარმა დღე და ღამის განმავლობაში 100 ვერსი გზა გაიარა. 4 სეკტემბერს წამოსული ა-მ-ხანი 9 სეკტემბერს უკვე თფილისის მახლობელ სოფლებს მოადგა.

ერეკლე მტერს ამ მოკლე გზით არ მოელოდა და ამიტომ 5000 კაცის შეკრება ძლივს მოასწრო. მასთანვე იდგა იმერეთის მეფე სოლომონ II 2,000 კაცით. ამ მცირე მხედრობით ერეკლე შეება მტრის თითქმის 100,000 კაცს და მისი მოწინავე რაზმი უკუ აქცია. ა-მ-ხანმა თავისი ლაშქარი 14 რაზმათ დაჰყო და საჩქაროთ დაიჭირა სოღანლუღის მაღლობები; ერეკლე კრწანისის ვიწროებში გამაგრდა. მეორე დღეს დილიდანვე გაიმართა ბრძოლა. ქართველთა მოწინავე ჯარს ჩქარა მიეშველა თუშ-ფშავ-ხევრუსთა და არაგვის ხეობელთა ძლიერი რაზმი. ამას ზედ მიედევნა კიდევ ახალი ძალა დავ. მაჩაბლის წინამძღოლობით. დიდძალი მტერი გაიჟლიტა.

— 44 —

ქართველებმა რამდენჯერმე უკუაქციეს მტრის ძალა და დამარცხებული აღამაჰმადხანი ის იყო უკან გაბრუნებას აპირობდა, რომ სწორედ ამდროს თავი იჩინა საშინელმა ღალატმა, რომლის სულის ჩამდგმელი იყო რუსეთს მყოფი ოსეფა არღუთაშვილი. ოსეფას, რომელიც შემდეგ ეჩმიაძინის კათალიკოზად აიყვანეს, თფილისში მთელი რაზმი ჰყავდა ჯაშუშებისა: ოსეფა ყორღანაშვილი, დარჩია ბებუთაშვილი, ავეტიქა შახბათაშვილი; ერეკლესაგან დიდათ შეწყნარებული ყარაბაღის მელიქი მეჯნუნი, რომელიც მტრის ჯარს თვითონ უძღოდა წინ. ჯაშუშებში პირველი ადგილი არტემ არარაციანს ეკუთვნოდა. — აი, ამ არარაციანმა თფილისიდან გააპარა სპარსეთის ელჩი, რომელმაც აღამაჰმადხანს უამბო თფილისის გაჭირვება და ქართველთა ჯარის სიმცირე. ამრიგად გამხნევებული ყაენი უკანვე მობრუნდა და თფილისიც დაეცა. მოხუცი ერეკლე თავგანწირვით ეკვეთა მტერს და 500 კაცით მტრის შუაგულ რაზმებში შეიჭრა. აქ მას უეჭველათ სიკვდილი მოელოდა, რომ ამ დროს იოანე ბატონიშვილი თავისი რაზმით არ შეჭრილიყო და ძვირფასი ბაბუა მტრის ხელიდან არ გამოეტაცა.

ერეკლემ სროლით უკან დაიხია. მას თან ახლდენ ერთგული ქართველები და 150 თათარი. მეფე მთიულეთისკენ ივლტოდა ავლაბრის ხიდზე რომ შედგა, უეცრათ ცხენი მოაბრუნა და ისევ მტრისკენ გაექანა. მხლებლებმა ძლივს უკან გაიტაცეს ანანურისკენ.

აღამაჰმადხანს იაფად არ დაუჯდა თფილისის აღება. 13,000 მეომარი გაუწყდა და სასოწარკვეთილებით ამბობდა, არ მახსოვს, რომ ოდესმე მტერს

ასეთის ძლიერებით შემბმოდესო. ერთი კიდევ ასეთი ბრძოლა და მეომარი აღარავინ დამრჩებაო.

აღამაჰმადხანი თფილისში განჯის ხანის თანხლებით შევიდა. სპარსელები ექვსი დღის განმავლობაში სცარცვავდენ და არბევდენ ქალაქს, — დასწვეს ავლაბარი, გაცარცვეს მეფის სასახლე, დააქციეს ეკლესიები და სამკაული დაიტაცეს. თფილისის მიტროპოლიტი სამღვდელოებით სიონში ჩაიკეტა. სპარსელებმა ტაძრის კარები შეამტვრიეს, ეკლესია დასწვეს და მოხუცი მიტროპოლიტი მტკვარში გადააგდეს.

სპარსელებმა მცხეთამდი უწიეს და ყველაფერი გაანადგურეს; მხოლოდ სვეტიცხოველი გადარჩა დაწვას.

ამას შემდეგ ა-მ-ხანი მოულოდნელათ აიყარა თფილისიდან, 30,000 ტყვე წაიყვანა და უკანვე გაბრუნდა, რომ მომეტებულის ძალით კვლავ თავს დასხმოდა საქართველოს. ეგაა, რომ აღარ დასცალდა: შუშის ციხეში მისმავე მოსამსახურემ მას თავი მოკვეთა 5 ივნისს 1797 წელს.

4 სეკტემბერს 1795 წ. რუსეთის მთავრობამ დაადგინა, გენ. გუდოვიჩს ებრძანოს — ორი ბათალიონით დახმარება გაუწიოს ერეკლესო. ეს ბრძანება გუდოვიჩმა 1 ოკტომბერს მიიღო; 10 —11 სეკტემბერს კი თფილისი უკვე აღებული და აოხრებულ იყო სპარსელებისაგან.

ერეკლე სამართლიანის გულისტკივილით სწერდა: „ჩვენ, თანახმად ხელშეკრულობისა, დახმარებას მოველოდით — და რომ ასეთი იმედი არა გვქონოდა, სხვა ჯარს მოვიშველიებდით და ქვეყანას დავიცავდითო.” (გრ. ტ. II ნაწ. II. გვ. 105).

უკანასკნელი დღეები ერეკლე II-ისა

მთიულეთში გახიზნული ერეკლე ახალი ომისათვის ემზადებოდა, — მემკვიდრე გიორგი კახეთს გაგზავნა ჯარის შესაკრებათ, იულონი ქართლს, ხოლო დავითი აოხრებული თფილისის აღსადგენათ.

1796 წ. ერეკლემ განჯისკენ გაილაშქრა, კვლავ დაიპყრო ეს ქვეყანა, ა-მ-ხანისაგან დატყვევებული ქართველები გაათავისუფლა და გან-

ჯას ყოვეწლიური ბეგარა დაადვა. ირაკლის გამოცთილმა ხმალმა ერთხელ კიდევ გაიელვა მტერზე, ერთხელ კიდევ ალაგმა თავგასული მაშფოთებელნი საქართველოს ცხოვრებისა. მოხუცმა ლომმა ერთი კიდევ შეუჭექა კავკასიონის მოუსვენარ მცხოვრებთ, მაგრამ საქართველოს მაშინდელმა გამოურკვეველმა მდგომარეობამ და უკანასკნელ დროს მომხთარმა ამბებმა ეს ფოლადის აგებულობის ადამიანიც გასტეხა; ხოლო შინაურმა განხეთქილებამ კიდევ უფრო დააწყლულა მისი გული. — ერეკლე სამჯერ იყი შეუღლებული, პირველი ცოლისაგან ჰყავ და ასული თამარი, მეორე ცოლისაგან — გიორგი, ხოლო მესამე ცოლის, დადიანის ასულის დარეჯანისაგან — ლევანი, იულონი, ვახტანგი, ანტონი, მირიანი, ალექსანდრე, ფარნაოზი და ექვსიც ქალი. მირიანი რუსეთში მსახურობდა ღენერლის ჩინით; ლევანი ადრევე გარდაიცვალა (1782 წ.) და თან წაიღო მამის იმედი. გიორგი ერეკლეს ძეს პირველი ცოლისაგან ყავდა 4 ვაჟი და 5 ქალი, მეორე ცოლისაგან კი 5 ვაჟი და 2 ქალაი. დარეჯანი, მესამე ცოლი ერეკლესი, ფრიად ცფიერი და დიდების მოყვარე დედაკაცი იყო. მისი მეოხებით სამეფო სახლო-

ბა ორ ბანაკათ გაიყო; ერთ ბანაკს სურდა, საქართველოში დარჩენილიყო ძველი, მემკვიდრეობითი წესი მეფობისა, მეორე ბანაკს კი, რომელსაც მეთაურობდა დარეჯანი, სურდა, რომ ერეკლეს შემდეგ ძმებს ჩამორიგებით ემეფნათ. დარეჯანი იმდენს ეცადა, რომ ერეკლეს ანდერძიც კი გამოსტყუა, რომლის ძალით გიორგის შემდეგ უნდა გამეფებულიყვნენ დარეჯანისა და არა გიორგის შვილები. ერეკლე კარგათ გრძნობდა, რაც მოჰყვებოდა ასეთ წესს, მაგრამ მისი, საქართველოსთვის მშფოთავი გული და ღვაწლით მოსილი მარჯვენა უკვე იმ ზომათ მაშვრალი აღმოჩნდა, რომ აზატხანის შემმუსვრელმა, დიდმა ასპინძის გმირმა და კრწანისის ველზე ა-მ-ხანის დამცარველმა ვეღარ შემუსრა თავგასულობა დედაკაცისა, საკუთარის მეუღლისა!

ლმობიერება და ქველობა დედაკაცთა მიმართ რაინდთა და გმირთა წესია.

მეფე ლოგინათ ჩავარდა, მაგრამ ავათმყოფი კიდევ იძლეოდა შესაფერ დარიგებასა და განკარგულებას. მისი სული კვლავ მეფობდა და თავს დასტრიალებდა მრავალტანჯულ ქვეყანას. 5 იანვარს 1798 წ. ავათმყოფი ისე შესწუხდა, რომ მორჩენის იმედი აღარ იყო. 11 იანვარს ქალაქ თელავში სწორეთ იმ ოთახში, სადაც ამ დიდებულმა ადამიან-

მა პირველათ იხილა სინათლე, ორშაბათს, დილის 7 საათზე თავისი გმირული სული განუტევა.

კათალიკოზმა ანტონ II-მ (მეფის ძე) საქართველოს უმაღლესი სამღვდელოებისა, მემკვიდრე გიორგისა და სხვათა თანადასწრებით ცხედარი იქვე მაცხოვრის ტაძარში გადაასვენა. მეფის ცხედარი 40

დღის განმავლობაში იქ ესვენა, რადგანაც იმ დროს თფილისსა და მის არე-მარეში ჭირი მძვინვარებდა. მეორმოცე დღეს ზარების რეკითა, სამეფო დროშებისა და ხალხის დასწრებით ცხედარი მცხეთას წაასვენეს. წირვისა და წესის აგების შემდეგ ჯარმა ზარბაზნები დასცალა და ერეკლეს ნეშთი სვეტიცხოვლის წიაღში ჩაესვენა.

სოლომონ ლეონიძე

საქართველოს ტკივილების მოსალბუნე და იმის სახელმწიფოებრივ საჭიროებათა ერთი საუკეთესო მესვეურთაგანი იყო მსაჯული სოლომონ ლეონიძე, ფრიად გაბრძნობილი და თავის დრო მიხედვით განათლებული კაცი. სოლომონი საქართველოს ერთობისა და დამოუკიდებლობის აზრს ემსახურებოდა და ამასვე შეალია თავისი დღენი.

ერეკლეს გადაცვალების შემდეგ საქართველოში უფრო ცხადი შეიქნა სამი მიმართულება: ერთი ბანაკი მომხრე იყო რუსეთისა, მეორე ბანაკი მეფის არჩევითი წესის შემოღებას ფიქრობდა, მესამე მიმართულება იბრძოდა საქართველოს დამოუკიდებლობისათვის. — ამ ბანაკის მეთაური იყო სოლომონ ლეონიძე. სოლომონ I-ის სიკვდილის შემდეგ რომ ერეკლესთან იმერეთის წარმომადგენლები მოვიდენ და შეერთება სთხოვეს, სოლომონი ერთი მეთაურთაგანი იყო შეერთების მომხრეთა ბანაკისა.

საქართველოს ძლიერებას იგი საქართველოს ერთობაშივე ხედავდა.

„ერი, სხვის მფარველობაში მყოფი, სხვის ფრთას ქვეშ შეხიზნული, არის მონა, მზაკვარი მასხარათ

აგდებული. დამოუკიდებლობის დამკარგავი კარგავს საკუთარ ღირსებასა და სულის ძალასაც!”

ასეთი შეხედულობის იყო სოლომონი და ამიტომ დიდი წინააღმდეგიც იყო რუსეთის მფარველ ბისა. ერეკლეს სულ იმას ემუდარებოდა, ნურც მაგრე რიგათ ენდობი ჩრდილოეთს და სპარსეთსა და

ოსმალეთს ნუ გადაიმტერებ. სარწმუნოების ერთობა სრულიადაც არ ნიშნავს სისხლ-ხორცობას და მას აქარწყლებს ხალხის ზნე-ჩვეულება და განსაკუთრებული ეროვნული თვისებანი; რჯულის ერთობა რა მოსატანია იქ, სადაც საერთო სხვა არაფერიაო.

სოლომონი ცთილობდა აგრეთვე გაუქმებულიყო ის ანდერძი რომელიც ერეკლემ დედოფალ დარეჯანს მისცა მორიგობით მეფობის შესახებ. ამით მან დედოფალიც გადაიმტერა.

მეფე გიორგი რომ გადაიცვალა და ტახტის მემკვიდრეთა შორის მოცილეობამ განსაკუთრებული ძლიერებით გაშალა მხრები, სოლომონის მოქმედებასაც ფართო ასპარეზი გადაეშალა წინ. ის, როგორც ეროვნული ჯგუფის მეთაური, მემკვიდრე დავით გიორგის ძეს ურჩევდა, დაუყონებლივ მიიღე მეფობა და რუსეთის დასტურს ნუღარ უყურებო. ასეთი მოქმედებისათვის ღენ. ლაზარევმა იგი დაატუსაღა. „თავ. ს. ლეონიძე, რომელსაც დედოფალ დარეჯანთან საიდუმლო მოლაპარაკება ჰქონდა, დავაჭერინე და ყარაულს ქვეშ მყავსო,“ სწერდა ლაზარევი ერთ-ერთს მოხსენებაში (აკტები, ტ. I. გვ. 316.). დატყვევებულ ქართველ მამულიშვილს ლაზარევი საპყრობილეშიაც არ ასვენებდა და ათასგვარი ცილისწამებით სულს უმწარებდა. „ეგ ისეთი ადა-

მიანია, რომ თვით ერეკლესაც სძულდა და თავიდან მოიშორაო“ სწერდა ის თ-დ. ციციშვილს.

როგორც იყო, სოლომონმა ციხიდან გაქცევა მოახერხა და იმერეთის მეფეს სოლომონ II სამუდამოთ შეეკედლა. მეფემ სიამოვნებით მიიღო ეს საჭირო კაცი და მისი რჩევითა და დარიგებით მოქმედებდა, უბოძა მას საუფლისწულო მამული კაცხში, ხოლო რაჭაში — როსტომ ერისთვის ნაქონი მამული — წესი სასახლით და ბარაკონის ეკლესიით, ხიდის კარი, მინდაციხე და სხვ. (იხ. „საქართველოს სიძველენი“ ტ. III გვ. 569). იმერეთში სოლომონი ებრძოდა სხვათა შორის ზურაბ წერეთელსაც, როგორც რუსების მომხრეს.

საქაროველოს დამოუკიდებლობის იდეას სოლომონი იმდენათ მკაცრათ იცავდა, რომ იმისმა რჩევამ ერთხელ ერეკლე მეფეს შემდეგი სიტყვები ათქმევია: „ნეტაი ჩემი სიკვდილის შემდეგ მეორმოცე წელს საფლავიდან ამომახედა და დამანახვა, ქართველები ჩემი მადლიერნი იქნებიან, თუ მაწყევარნიო.”

მაგრამ ღვაწლით მოსილი მეფის გულის ტკენას სოლომონი შესაფერი სიფრთხილით ეპყრობოდა და ერთი ასეთი გაჯავრების შემდეგ სწერდა მე-

ფეს: „მე უთქვენოდ სიცოცხლე არ შემიძლია; თო-
თხმეტი წელიწადი ორმოცდა სამ წლად თქვენს სა-
მსახურში შევასრულე... დანაშაული თუ პირველია,
ცთომილს ბუნებას აპატიეთ, თუ სამოცდამეჩვიდმე-
ტეა-პატივსაცემელს ღმერთსა!” მაგრამ საქართვე-
ლოს მოსალოდნელ დაბეჩავებას იგი მაინც გულ-
მწუხარებით აღნიშნავს: „თქვენის ძელის ჭეშმარი-
ტის მადლმა, ყოველის სიგლახაკით ცად აღწევნი-

ლია ჩვენი საცოდაობაო!“ („მოამბე“ № I 1894 წლ.
„ირაკლის დროის წერილები!“)

თუმცა ცნობილი მსაჯული ბოლოს და ბოლოს
აღარც თუ დიდი მადლიერი იყო ერეკლესი, რო-
მელმაც მისი რჩევა არ ისმინა, მაგრამ ერეკლეს გა-
დაცვალება მაინც ისეთის გულის ტკივილით არავის
უგლოვია, როგორც მას:

„დღეს ქვეყანა იცხებს უფასოსა სისხლსა ივერიელ-
თა გვარისასა. ცამ მოსტაცა ქვეყანას სიმდიდრე, ძლიერ-
თა ძალი, ბრძენთ გონიერება, ერთა გვირგვინი, მხე-
დართ-მთავართა სარდლობა და თვითმპყრობელთა სა-
ხელმწიფო ზრდილობა.

დიდნო მფლობელნო, სტიროდეთ ქვეყნის დიდებას,
სტიროდეთ თქვენს სახლობასა, ცუდათ შერაცხეთ ქვეყნის
დიდება და იხილეთ, რამეთუ ყოველივე ამაოა.

თქვენ, ნათესავნო ქართლოსიანნო, გიძღოდათ მეფე,
ვითა ისრაილთა, დღემდი ლაშქვრიდა სამთა იმპერია-
თა: ოსმანთა, სპარსთა და კავკასიისა ერთა; დღეს გაი-
ლაშქრა ციურთა მარტომან უძლეველმა რაინდმა.

მან ადიდა სახელი და გვარი თვისი და ადიდა სიმ-
ხნე ქართველთა.

რათ სტირი, სახლო, სადაცა თეიმურაზ და დედო-
ფალი თამარ ირაკლის შობაზე იხარებდენ, და სადაცა
სახსრათ ქართველთა ირაკლი იზრდებოდა...

რათ სტირი, სახლო დავითისაო, მეფე ირაკლიმ
ასპინძის სისხლში გამოცთობილის ხმლით ხვან-
თქარს სპარსეთის ხელმწიფე ქარიმხანთან საჩივარი მიაწე-
რია, ირაკლი ქვეყნებს მართმევს და შენ დაუშალეო. ამის
გამო ქარიმხანი იტყოდა: მეფე ირაკლიმ ხვანთქარი ჩემ-
თან საჩივლელათ დაამუხლაო“, და უძლეველობის ნიშნათ-
სახელმწიფო ხმალი მიართვა.

რად სტირი, დავითის სახლო, ირაკლიმ საქართ-
ველო ნადირშაჰისაგან გამოიხსნა და ფათალიხანისა და
აზატხანის ათასეულნი ერთმა წარაქცია, რომლისთვის
პრუსიის მეფე ფრიდრიკო მეორე იტყოდა: „ევროპაში

მე ვარ და აზიაში — ჰერკულეს, უძლეველი საქართველოს მეფეო“.

რად სტირი, დავითის სახლო, ირაკლის ტახტზე ჯდომით შენ უფრო იდიდე, ამაღლდი და გაბედნიერდი. მაგრამ ვაი თუ ესე დიდება საფლავად მიეცვალოს? ვაი, თუ საქართველოს საფარველად გადახურულო მეფის ირაკლის ბედნიერი დროშის კალთები აგვეხადა? ვაი თუ ის უმაღლესი თავი, რომელიც მზესა ქვეშე ქვეყანაზე არ ეტეოდა, საფლავის სიღრმეში დაიფაროს? ვაი თუ ის ძლიერი თვალები, რომელმაც ერთს გუგაში გარე შეიცვა და ცასა და ქვეყანას ორ ფურცლათ კითხულობდა, საკვ-დავად დაერულოს, ვაი თუ უძლეველი ხელები, რომლისა ხმლის ვადაზე დადება სიკვდილს მახარობლობდა, გულზე დაკრეფილი იყოს? ვაი თუ მაღალი სახელი — მეფე ირაკ-ლი — რომელიც ქვეყნის მპყრობელ ხელმწიფეთ ფხიზლათ აძინებდა და მძინარეთა საშიშრათ ესიზმრებოდა, საქართ-ველოს ეკლესიას მოკლებოდეს?

ხელმწიფევ! რათ გვიხაროდა შენი ხელმწიფეთ ცხე-ლება, თუ სამკვდროსა ზეთსა იცხებდი? რა გინდოდა სახელმწიფო პორფირი, თუ დასამიწებელ სუდარას მოი-ხვევდი? რათ გინდოდა განსაგებელი სკიპტრა, თუ იმის მპყრობელ ხელებს გულზე დაიკრეფდი? რათ გინდოდა ქვეყნის მაჩრდილობელი დროშა, თუ მტერს შიშის ფარდას ახდიდი? რათ გინდოდა სახელმწიფო ტახტი, თუ კი დასამიწებელ საფლავს იშენებდი?

იგლოვდე, ქვეყანავ, რომ გრძნობათა და საცნაურთა, მეფე ირაკლი, შენს სიღრმეში დაფარე! განკრ-

თი, ცაო, შენის სითალხის და ვარსკვლავთა მხედველი მეფის ირაკლის თვალები საუკუნოთ დაბნელდა! დაბნელ-დი, მზევ, რომ მზე მიწიერი, ქართლისა მეფე ირაკლი, შენს ბრწყინვალებას ვეღარ ხედავს.

სად არის, ხელმწიფევ, შენი ხელმწიფური განგება? რათ შემოიხსენ ხმალი, რომლისაც გამარჯვება რიცხვით ხსოვნას ასცილდა? რათ შემოსწყერ სახელოვან დროშას, რომლისა ჰაერში მომცურავი კალთები ქვეყანას აჩრდი-ლებდა და მესისხლეთ გაჭიმული ზორტები ცის კალთებს ეჩუხჩუხებოდა, და ჰერკულესი მეფის უძლეველობის სტამბა იბეჭდებოდა?

ქვეყანას უკვირდა, სოლომონის გული მწუხარებამ ვერ შესცვალაო. ჩემი სიამაყე პირველათ სიმართლე და მეორეთ მეფის ირაკლის სიმრთელე იყო. მეფე ირაკლის ცოცხალს ვუყურებდი და მტერი და განსაცდელი სათამა-შოთ მიმაჩნდა.

ახლა იმისი გული დაიჩაგროს, როგორც მეფის ირაკ-ლის სიკვდილით გული დაიჩაგრა!

დედოფალო და მეფის ძენო! გაფიცებთ ირაკლის

დღეგრძელობასა და გამარჯვებას, მოიღეთ მოწყალება და უმაღლესი ცხედრის ფიცრათ დამდევით, რომ იმისი სანატრელი კუბო ჩემს გულზე იდგეს, მეფის ირაკლის ძლიერი ტანი ჩემს გულზე ირღვეოდეს... ან ამ ქვეყნიდან დამკარგეთ, რომ სადაც მეფის ირაკლის გამარჯვებული დროშისთვის მიმსახურია, თუ სადმე იმის წინ სისხლი დამიქცევია, მისი ბედნიერი სალამი შემყვარებია, ან თუ სადმე სახელმწიფო მასლაათით მიმსახურია, ის ადგილები აღარა ვნახო.

ხელმწიფევ, საზოგადო მამავ, მეფეო ირაკლი! ვის მივსცე შენის უმაღლესი თავის უზომო ტრფიალება? ვის

დროშას ვემსახურო? ვინ შევიყვარო? ვისთვის მოვკვდე? ვისთვის ვიცოცხლო შენს უკან სიცოცხლე-საზრახავით გამწარებულმა?“.

ასე მწარეთ დაიტირა სოლომონმა ირაკლის ცხედარი, ასეთი გულის სიღრმიდან ამონახეთქი სიტყვებით იგლოვა მან ის. სოლომონი წინდაწინ გრძნობდა იმ უკმაყოფილებას, რომელმაც ირაკლის შემდეგ თავი იჩინა საქართველოს ცხოვრებაში. მას აქით ეს იშვიათი მამულიშვილი მართლაც სიცოცხლე გამწარებული დადიოდა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში და ქვეყანას შესჩიოდა: „ვაი სოფლის ამაოებავ, ვაი ჩვენი ქვეყნის გათახსირებაო! ნახეთ, რა მოხდა ჩვენს თავზე და ჩვენი ოჯახის კერაზე! ჩვენი ოჯახის ბედნიერება დღეს რყევასა და წვა-განადგურებას ეძლევა! აღარა ვართ კაცნი და აღარცა გვაქვს ძალა და სიმხნე მამაცობისა.“

სოლომონ ლეონიძე უკანასკნელათ იმერეთიდან ლტოლვილ სოლომონ II-ს ახლდა ახალციხეში, ამხნევებდა მას და ახალ სამოქმედო პლანებს ადგენდა. სიკვდილმა უსწრო და ეს დიდი მამულიშვილი, დიდი პატრიოტი სამშობლოს გარეშე გადაიცვალა 1810 წ.

პავლე I და გიორგი XII

ერეკლეს გადაცვალების შემდეგ საქართველოს ბედი პავლე I-ის ხელში მოემწყვდა. მემკვიდრე გიორგი ტახტზე ავიდა და 1783 წ. ხელშეკრულობის თანახმად იმპერ. პავლესთან წარმომადგენლები გაგზავნა და დამტკიცება ითხოვა. მაგრამ გიორგის გამეფებისთანავე თავი იჩინა დარეჯან დედოფლის ოინებმა — მეფის წინააღმდეგ ამხედრდენ მისივე ძმები, მოედვენ მთელს

ქართ-კახეთს, ყაზახ-ბორჩალოს და აჯანყებდენ ხალხს. თვით დარეჯანმაც ბრძანება გასცა, რომ ეკლესიებში გიორგიზე უწინ ის მოეხსენებიათ. მეფემ მალე დაამშვიდა თავგასული დედოფალიც და ძმებიც, მან დაამტკიცა ერეკლეს ანდერძი და ამით დაწყნარდენ.

ამასობაში იმპერ. პავლემ წარმოგზავნა სამეფო გვირგვინი, სკიპტრა, ხმალი და დამტკიცებითი ღრამატა, გიორგის მემკვიდრეთ დამტკიცებული იყო ძე მისი დავითი. ამავე დროს თფილისს გამოგზავნა გენერ. ლაზარევი ერთის პოლკით და რუსეთის რწმუნებულ მინისტრათ კი დაინიშნა კოვალენსკი, რომელისაც დაევალა სპარსეთის საქმეების ყურის გდებაც. კოვალენსკის საიდუმლოთ უხელმძღვანელეს: თვალყური ადევნე ქვრივი დედოფლისა და აგრეთვე მეფის საქციელს, რომ ისეთი არაფერი ჩაიდინონ, რაც რუსეთის ინტერესებს ეწინააღმდეგებაო.

საქართველოში კოვალენსკის ჩამოსვლამ სპარსეთს სულ დაუკარგა მოსვენება მემკვიდრე და ძმისწული აღამაჰმადხანისა ბაბახანი კბილებს ილესავდა საქართველოზე.

„წყალობამან ღვთისამან განგვადიდა და შეამკო თავი ჩვენი სამეფო გვირგვინითა. აწ თუ გნებავთ, რომ ქვეყანა თქვენი იმყოფებოდეს მშვიდობით, წარმოგვიგზავნეთ მემკვიდრე თქვენი ჩვენს სამსახურში. უკეთუ ამ ბედნიერ გზას არ დაადგებით, მაშინ ჩვენი ძლევა-მოსილი დროშა დაჩრდილავს თქვენს ქვეყანას, როგორც მოხდა ეს დიდის აღამაჰმადხანის დროს, და აწ უმეტესად დაისჯებით და ერი ქართველი მიეცემა ჩემს რისხვასაო,“ სწერდა ბაბახანი მეფე გიორგის. მეფის ოთახს პავლე I-ის სურათი ამკობდა. ყოველი ასეთი მუქარის დროს მეფე ამ სურათის ქვეშ

დადგებოდა და მრისხანე შაჰის ელჩებს აქიდან ელაპარაკებოდა: ძლიერი რუსეთის მფარველობის ქვეშ ვიმყოფებიო. საქართველოს ახალი და უარესი განსაცთელი მოელოდა. მემკვიდრე დავითი მთავრობისაგან გადაჭრილ პასუხს თხოულობდა. „გვიჩვენეთ გზა, თუ როგორ ვიხსნათ ჩვენი თავი, ან როგორ დავიხშოთ სინიდისი და უარვყოთ უმაღლესი კარის წინაშე დადებული ფიცი და აღთქმა. ეს არის უკანასკნელი დღე საქართველოსა და რუსეთს შორის ყოველივე ურთიერთობის მოსპობისაო.“

ბაბახანის მუქარა არც თუ უსაფუძვლო იყო და მისი საქართველოში შემოსევა დამოუკიდებლობის შესარჩენად ერთ წრეს, ალექსანდრე ბატონიშვილის მეთაურობით, საჭიროთაც მიაჩნდა. ეგაა, რომ ბაბახანს ამ ჟამათ ბედმა არ გაუღიმა, თუმცა მუქარას

მაინც არ იშლიდა.

ამის გამო მეფე გიორგიმ ითხოვა ახალის, დამატებითი ხელშეკრულობის შემუშავება. მეფე თხოულობდა საჭირო ჯარის გამოგზავნას, ზარბაზნებს, საქართველოსა და სპარსეთსშორის საზღვრების გავლებას და სხვ. ამ საქმის გამო მან პეტერბურგს გაგზავნა რწმუნებულნი: გიორგი ავალიშვილი, ელიაზარ ფალავანდიშვილი და გარსევან ჭავჭავაძე. ამათ რუსეთის სამინისტროს წარუდგინეს მოხსენება უმთავრესი მუხლების აღნიშვნით.

1799 წელს დაიწერა ახალი ხელშეკრულობა რომლის უმთავრესი მუხლებია: საქართველოს სამეფო რუსეთის მფარველობას აღიარებს; რუსეთს გადაეცემა საქართველოს მადნეულობა; საქართველოში 6000 რუსის ჯარის კაცი უნდა იდგეს; ქართველები შეაგროვებენ იმდენ ჯარს, რამდენიც საჭიროა საზღვრე-

ბის დასაცავათ; თფილისში მოჭრილ ფულს ერთ მხარეზე ექნება რუსეთის ღერბი, მეორეზე საქართველოსი; აღწერა ხალხისა უნდა მოხდეს კომლეულათ და არა სულად და სხვ.

იმპერ. პავლემ განიხილა ეს პროეკტი და დასამტკიცებლათ მეფე გიორგის წარმოუგზავნა (23 ნოემბ. 1800 წ.) ამასთანავე იმპერატორი სწერდა: „მესმა, რომ თქვენი უმაღლესობა უქეიფოთ ბრძანდებით, ვისურვებ, რომ ჩემმა ღრამატამ კარგათ მყოფს მოგისწროსო.“

სულით ავათმყოფი პავლე ამას კი სწერდა, მაგრამ საქართველოს შეერთება მას ოცნებათ ჰქონდა გადაქცეული, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც გრაფ. მუსინ-პუშკინმა მას მოხსენება წარუდგინა. გრაფი მუსინ-პუშკინი ჯერ კიდევ 1799 წელს ჩამოგზავნეს და ქართლ-კახეთში მადნეულობის ძებნა დაავალეს. მუსინმა ასწერა ეს „კურთხეული ქვეყანა“. და გაითვალისწინა ის გარემოებაც, რომელიც რუსეთს ამ ქვეყნიდან მოელოდა. ის სწერდა: 1) შემოგვეძინება თავის-თავად მდიდარი ბუნების ქვეყანა; 2). აილაგმებიან მთიულნი, რომელნიც მოსვენებას არ გვაძლევენ; 3). იშლება ფართო სავაჭრო ასპარეზი სპარსეთსა და ინდოეთისაკენ; 4) რუსეთს მიეცემა საშვალება — რისხვათ მოევლინოს სპარსეთსა და ოსმალეთს; 5) ქართლ-კახეთის შემოერთება აუცილებლათ გამოიწვევს იმერეთის და ოდიშის შემოერთებასაც და, მაშასადამე, შავი ზღვის ნაპირებისაცო. მუსინის მოხსენებამ იმპერატორს ასეთი სურათი გადაუშალა და მან ამ საქმის სისრულეში მოყვანა თავის უდიდეს დანიშნულებათ დაისახა. გარემოებაც

ხელს უწყობდა: ავათმყოფი მეფე გიორგი თავს

კალთაში უდებდა და პირიქით ეხვეწებოდა, აქ მხოლოდ ერთი ხელის გაქნევა-ღა იყო საჭირო-და, აი, ჯერ კიდევ მეფის სიცოცხლეში 1799 წ. კავკასიის ლინიის უფროსმა გენ. კნორინგმა საიდუმლო ბძანება მიიღო: განკარგულება მოახდინე, რომ თუ ვინიცობაა მეფე გიორგი გადაიცვალოს, საქართველოს ტახტი არავინ დაიჭიროსო.

მეფე გიორგი გადაიცვალა 28 დეკემბ. 1800 წ. სწორეთ იმ დროს, როდესაც პეტერბურგიდან მომავალი საქართველოს წარმომადგენლები ჯერ კიდევ გზაში იყვნენ.

პეტერბურგში კი 18 იანვარს 1801-წ. პავლე პირველის მანიფესტით ქართლ-კახეთი რუსეთის გუბერნიათ გამოცხადდა.

მაგრამ როდესაც იგივე წარმომადგენლები რუსეთს დაბრუნდენ, იმპერატორი პავლეც უკვე მკვდარი დახვდათ (†11 მარტს 1801 წ.)

ტახტის მემკვიდრეები

მეფე გიორგი ფრიად სათნო და მშვიდობის მოყვარე კაცი იყო ის უფრო ეკლესიის მსახურად იყო დაბადებული, ვიდრე მეფედ. პლ. იოსელიანის სიტყვით, — მეფე ისე დღეს არ გაუშვებდა, რომ წირვა-ლოცვა არ მოესმინა. მარხვისა და სხვა საქრისტიანო წესების დიდი შემნახველი იყო და საღვთო საგნების შესახებ ბაასიც მეტად უყვარდა. შეძლებისგვარათ ქვეყნის მოვლა-მოშენებაზედაც ზრუნავდა: აღამაჰმადხანისაგან აოხრებული თფილისი კვლავ აღადგინა და სტამბაც გამართა. ქვეყნის წახდენის შიში ჰქონდა და გენ. ლაზარევს სულ თავს ევლებოდა. ლაზარევის ცუდი საქციელი არა თუ მეფისთვის, ყვე-

ლასთვის აუტანელი უნდა ყოფილიყო, მაგრამ მეფე სულგრძელათ უყურებდა იმის ოინებს. ლაზარევი შურით აივსო იმის გამო, რომ მინისტრი კოვალენსკი ასე დაახლოებული იყო მეფესთან — და ამ სიხარბესა და შურს მეფის სულგრძელებასა და მოთმინებას აზღვევინებდა. მეფე ხედავდა, რომ ლაზარევი, როგორც ჯარის სარდალი, საჭირო კაცი იყო და ხშირათ იმის ბავშურ მეტიჩრობას დინჯი გონიერებით უპასუხებდა. საზოგადოთ გიორგი XII ყველას დაყვავებასა და დამშვიდებას ცთილობდა; არ უყვარდა მხო-

ლოდ სომხები: „უპირონი და უპურონიო“, იტყო-
და მათ შესახებ, მაგრამ ხშირათ აწინაურებდა და
კარგ ადგილებს სთავაზობდა მათ. ავათმყოფი კაცი იყო
და რის გაკეთებაც არ შეეძლიო, ღვთის სასოებასა და
იმედს ანდობდა და იქ ეძებდა სიმშვიდეს. მეფის ასე-
თი ხასიათით აიხსნება ის გარემოებაც, რომ მან თა-
ვის დროზე არ ალაგმა ქვრივი დედინაცვალი და სი-
კვდილის წინათ შენდობასაც კი სთხოვდა: „მაპატიე,
დედი, თუ რამ შეგცოდეო.“

დავით გიორგის ძე იმპერატორის პავლესაგან
უკვე დამტკიცებული იყო საქართველოს ტახტის
მემკვიდრეთ. ასეთსავე დამტკიცებას, ერეკლეს ან-
დერძის მიხედვით, თხოულობდენ იულონი, ვახტან-
გი, მირიანი და ფარნაოზი. დარეჯანიც ამისთვის
იღვწოდა.

კნორინგმა უმაღლესი მთავრობის ბრძანება ახ-
ლა შეატყობია ლაზარევს, რომელმაც გამოაცხადა,
საქართველოს ტახტს ვერავინ დაიჭერს განსაკუთრე-
ბულ განკარგულებამდიო.

მეფის გადაცვალება სწორეთ ის ნიშანი იყო,
რომლის შემდეგაც ასეთის ძლიერებით იფეთქა დი-

დი ხნის მომზადებულმა არეულობამ, ქვეყანა რაღაც
საშინელების მოლოდინმა მოიცვა. ქართველობა დარ-
ჩა, ვითარცა ფარა უმწყემსოთ. აღარავინ იცოდა,
ვისთვის მიემართა, ვისთვის გაეწია სამსახური, სად
ეძებნა სამართალი...

ტაძრებში პანაშვიდებს იხდიდენ, მარიამ დედო-
ფალი და მისი შვილები ქვრივ-ობლობას სტიროდენ,
მეფის ძმები საქართველოს მოსდებოდენ და ქვეყნის
დაწყლულებულ სხეულს კიდევ უფრო აწყლულებ-
დენ; დარეჯანიც სწუხდა, მაგრამ არა გიორგის გა-
დაცვალებას, არამდ თავის შვილების გაბნევას; და-
ვით გიორგის ძე განკარგულების მოლოდინში იყო
და ტახტზე ასვლას ვერ ბედავდა; მეფის ცხედარი კი
სიონში ესვენა და იმის დაკრძალვაზე აღარავინ ფი-
ქრობდა. გენ. ლაზარევი ფარფაშობდა და სიტყვა
„მეფე” თითქო გიორგისთან ერთად მოკვდა. ერთად-
ერთი სოლომონ ლეონიძე და მისი თანამოზრენი
ქუხდენ მეფობისა და დამოუკიდებლობისათვის. სო-
ლომონსა და მის ჯგუფს უნდოდათ — დავითი მცხეთას
წაეყვანათ და მეფეთ ეკურთხებიათ. „იმპერატორმა
დაგამტკიცა და მეფობას ნუ ღუპავო“, ჩასჩიჩინებდა
სოლომონი დავითს. ამასობაში იულონი და მისი
ძმებიც დუშეთს შეკრებილიყვნენ და იულონის გა-
მეფება სურდათ. ამათ ყველას ხელი შეუშალა ლა-
ზარევმა, რომელმაც, სხვათა შორის, სოლომონ ლეო-

ნიძეც სატუსაღოში გამოამწყვდია სოლომონი არ ცხრებოდა და, იოანე წინამორბედივით, საპყრობილეშიაც გაიძახოდა: „დავითმა ყელი გამოსჭრა მეფობას და დაამცირა ერი თვისიო“ როგორც ვიცით, სოლომონი საპყრობილიდან იმერეთს განივლტო.

მეფე გიორგის ცხედარი 1801 წ. 20 თებერვლამდი სიონში ესვენა. შემდეგ იოანე ბატონიშვილის თაოსნობით მცხეთას წაასვენეს და მეფე ერეკლეს გვერდით დაკრძალეს.

უკანასკნელი დღეები

პავლე I რომ გადაიცვალა, რუსეთის ტახტზე ალექსანდრე I ავიდა. საქართველოს შესახებ მას უკვე მზა-მზარეული საქმე ედვა წინ. ბრალი თუ უბრალოება ამ საქმეში მის წინაპარს ედებოდა. უნდა ვსთქვათ, რომ ახალგაზდა იმპერატორს არ სურდა საქართველოში მეფობის მოსპობა და მისი რუსეთთან შეერთება იმ სახით, რა სახითაც ეს პავლემ გადასწყვიტა. მან ეს საქმე რამდენჯერმე გადასცა სახელმწიფო საბჭოს განსახილველათ.

მემკვიდრე დავითი კი პლ. ზუბოვსა სთხოვდა შუამდგომლობას იმპერატორის წინაშე და დამტკიცებას თხოულობდა: „მშობელსა ჩემსა იმ აზრით როდი გადმოუცია საქართველო უმაღლესის კარისათვის, რომ აქ მეფობა მოსპობილიყოო.“ დავითი დამტკიცებას დღე-დღეზე მოლოდა, პეტერბურგში კი იმპერ. პავლესაგან დათვლილ საქართველოს დამოუკიდებლობის დღეებს ხელმეორეთ და უკანასკნელათ ითვლიდენ.

სახელმწიფო საბჭომ 8 აგვისტოს 1801 წ. გენ. კნორინგისა და მუსინ-პუშკინის მოხსენებათა თანახმად, აგრეთვე სწორეთ იმ ზუბოვების მაცადინობით, რომელთაც ხშირათ მიმართავდენ მეფე გიორგი და მემკვიდრე დავითი, საქართველოს ბედი გადასწყვიტა. ეს გადაწყვეტილება იმპერატორმა ალექსანდრე I თავის მანიფესტით დაადასტურა. ეს მანიფესტი,

პლ. ზუბოვის მიერ დაწერილი, პეტერბურგში გამოცხადდა 12 სეკტემბ. 1801 წ. ამავე ზუბოვის კარნახით ბუტკოვმა დასწერა საქართველოს დროებითი მართველობის წესდებაც.

მანიფესტში სხვათა შორის სწერია: „არა აღორნებისათვის ძალთა, არა ნივთთათვის, არა გავრცელე-

ბისათვის საზღვართა უამისოთაც ვრცელისა იმპერიისა მივიღებთ ჩვენზედა ტვირთსა საქართველოს სამეფოს მართებლობისასა, — მხოლოდ პატივი და კაცობრიობა სდებენ ჩვენზედ საღმრთოსა ვალსა — დავაწესო საქართველოში მართებლობა, რომელსაც ეძლოს დამყარება მართლმსაჯულებისა, ნივთისა და საქონლის უშიშროებისა; კეთილდღეობა თქვენი იქმნების მხოლოდ ჯილდო ჩვენი, ყოველი ხარკი თქვენის ქვეყნისა მიიქცეს სასარგებლოდვე თქვენდა“ და სხვ.

ამავე მანიფესტით საქართველოს მთავარმართებლათ (გამგებლათ) დაინიშნა გენერალი კარლო კნორინგი, რომელმაც ეს ბრძანება თფილისში გამოაცხადა 12 აპრილს 1802 წ.

შეჩერდა მრავალ საუკუნოვანი სამეფოს დამოუკიდებლობა; დაარსდა ახალი მთავრობა, ახალი სამართალი, ახალი წესი, — უცხო ენაზე, უცხო ზნისა და ჩვეულების ქვეყნიდან შემოტანილი.

სამეფოს სახლეულობა

ბაგრატიონთა გვარი, რომელმაც საქართველოს მისცა დავით კუროპალატი, ბაგრატები, დავით აღმაშენებელი, სხივმოსილი თამარი, გიორგი ბრწყინვალე, ერეკლე II და სხვანი, უკანასკნელ წუთებს ითვლიდა და სასიკვდილოთ განწირული, ნებით თუ უნებლიეთ, დროთა ბრუნვის განაჩენს დაემორჩილა.

ახალი მთავრობის წესები ხალხისთვის მეტად უცხო და შემავიწროებელი აღმოჩნდა. საქართველოს გაუქმებული ტახტის მაძიებელნი უკმაყოფილო ერის გულში ახალი წესებისადმი ზიზღსა და მტრობას თესდენ. ქართლ-კახეთი და მთა საშინელმა დრტვინვამ და მღელვარებამ მოიცვა. დარეჯან დედოფალმა კიდევ თავისებური ქსელები გააბა ყველგან და იულონი და ფარნაოზი აქა-იქ ჯარსაც აგროვებდენ და ახალ მთავრობას ეურჩებოდენ. განსაკუთრებით არა სცხრებოდა ალექსანდრე ბატონიშვილი, ის მოუსვენრად დაქროდა მთელს საქართველოში, არიგებდა პროკლამაციებს და იწვევდა მთელს ხალხს „მოღალატეთა და პირობის გამტეხთა“ წინააღმდეგი ამ საოცარმა ადამიანმა, ამ ქართველთა მიტრიდატმა, როგორც უწოდებს მას პლ. იოსელიანი, და რუსთა მთავრობის დაუძინებელმა მტერმა მოსვენება არ აღირსა ახალ მთავრობას და ბევრჯერაც წაატეხვია ფეხი.

მთავრობა დაფაცურდა; ახალი მთავარმართებელი, პავლე ციციშვილი, ენერგიული კაცი აღმოჩნდა და

ბატონიშვილებს საქართველოში ფეხი აუდგა, — იუ-
ლონი, ფარნაოზი და დედა მათი დარეჯანი რუ-
სეთს გაგზავნა. ქვრივის მარიამ დედოფლის გადასა-
ხლებას კი უსისხლოთაც არ ჩაუვლია. —18 აპრილს
1803 წ. გენ. ლაზარევი, მთავარმართებლის ბრძა-
ნებით, დედოფლის ბინაზე მივიდა და გამოუცხადა,
დაუყონებლივ რუსეთს უნდა გაემგზავროო. დედოფალ-
მა მიუგო, ცოტა მოითმინეთო. ლაზარევმა ხელი წა-
ავლო და მრისხანეთ შესძახა, ეხლავე უნდა წახვიდეთო.
დედოფალმა ეს შეურაცხება ვერ აიტანა და უზრდელ

გენერალს ხანჯლით გული გაუგმირა. *) ლაზარევი
იქვე მოკვდა.

თფილისის პოლიციის კვარტალმა სომეხმა კაჭკა-
ჭოვმა დედოფალი ხმლით დასჭრა. დაჭრილი დედოფა-
ლი თავის ძითა და ასულით რუსეთს გაგზავნეს და კურ-
სკის გუბერნიის ბელგოროდის დედათა მონასტერში
დაამწყვდიეს. 1811 წლამდი დედოფალი ამ მონასტერ-
ში იტანჯებოდა, შემდეგ კი მოსკოვს მისვლის ნება
მისცეს. იგი იქვე გადაიცვალა 1851 წ. მისი ნეშ-
თი მცხეთის ტაძარშია დაკრძალული.

თვით მემკვიდრე დავითი, რუსეთსავე გადასა-
ხლებული, გადაიცვალა 1841 წ. 13 მაისს, დავითს
უბოძეს გენერალ-ლეიტენანტის ჩინი და სენატორო-
ბა. რუსეთში ის დროს მწერლობაში ატარებდა და
საქართველოს უკანასკნელი დროის ისტორიასა სწერ-
და. ქართველების მომდურავი იყო-და ერთხელ სა-
ქართველოში ასეთი წერილი გამოგზავნა: „ვინც
ჩემზე იცინის, ყველას მოკითხვა უბრძანეთ, და ვინ-
ცა სწუხს, იმას წაუკითხეთ ლუკას სახარება, თავი
23, მუხლი 27.“

იქა სწერია: „ნუ სტირით ჩემზედა, არამედ
თქვენს თავსა და შვილებსა სტიროდეთ მოვა დრო,
როდესაც იტყვიან: ნეტარ არიან ბერწნი, რომელ-
თა არა შობეს, და ძუძუნი, რომელთა არა გაზარდეს.“

იმერეთის მეფე სოლომონ II

სოლომონ მეორე ფრიად გამჭრიახი და შორს
მჭვრეტელი კაცი იყო. ის კარგათ ხედავდა, რომ
ქართლ-კახეთის დამო-უკიდებლობის მოსპობა იმერეთ-

*) პლატ. იოსელიანის სიტყვით, ლაზარევი მოკლა დე-
დოფლის მხლებელმა თ-ნიკოლოზ ხიმშიაშვილმა, რომელიც
ამას შემდეგ ახალციხეს გადიხვეწა და იქ გარდაიცვალა.

საც კარგს არას უქადდა და ამიტომ შესაფერ თავდა-

რიგს იჭერდა. გრიგოლ დადიანთან განუწყვეტელი ომი ჰქონდა, საუკეთესო ციხეები წაართვა და ოდიშის მთავარს საქმე ისე გაუჭივრა, რომ იგი ფოთისა და აჭარის მიდამოებში იმალებოდა.

გენერ. ლაზარევი სოლომონის ასეთმა გაძლიერებამ და ჯარის გამრავლებამ ძლიერ დააფიქრა და ერთხელ წერილითაც კი შეეკითხა, რა მიზნით ამრავლებ ჯარსო. — როდესაც ტახტზე ავედი, ჯარის შეკრებასა და დათხოვის უფლებაც მაშინ მომენი ჭაო, — მიუგო მეფემ.

კნორინგს პეტერბურგიდან საიდუმლოთ სწერდენ, ეცადე და შავი ზღვისკენ გზა გაიკაფეო; მაგრამ კნორინგზე უფრო გაბედული ნაბიჯი ამ მხრით ახალმა მთავარმართებელმა, პავლე ციციშვილმა, გადადგა.

ოდიშის მთავარს რომ საქმე გაუჭირდა, მან გადასწყვიტა — რუსეთის მფარველობაში შესულიყო და ამ გზით შეერჩინა ლეჩხუმი, რის გამოც ერთი დავიდარაბა ჰქონდა ატეხილი სოლომონთან. დადიანმა ციციშვილთან მოლაპარაკება გამართა, მეფემ მოინდომა — დადიანი მშრალზე დაესვა და თავის პირველი მრჩეველი, სოლომონ ლეონიძე, პეტერბურგს გაგზავნა და მფარველობა ითხოვა. ციციშვილმა ისე მოახერხა, რომ სოლომონი იმპერატორმა არ მიიღო, აქ კი იმერეთის სარდალს — ქაიხოსრო წერეთელსაცნობა, მეფე დამმორჩილდეს, თორემ ძალით შევმუსრავო.

მეფემ ერთხანს არ დაუთმო. მაშინ ციციშვილმა ჯარი დასძრა და იმერეთისკენ გაეშურა, თან დიდძალი ფული გაგზავნა დიდებულთა და წარჩინებულ-

თა მოსასყიდათ. ამ გარემოებამ სოლომონი საგონებელში ჩააგდო და 25 აპრ. 1804 წ. მეფემ ხელმწიფის ერთგულებაზე დაიფიცა. ციციშვილმა მას მიართვა ალექსანდრე ნეველის ორდენი, ალმასებით შემკული. აქვე მიღებულ იქმნა სოლომონის სათხოვარი, რომლითაც მეფეს და მის მემკვიდრეებს მეფობა არ უნდა წართმეოდათ, მეფის ხელში უნდა ყოფილიყო სამართალი და საშინაო საქმეები.

9 ივლისს 1805 წ. ოდიშის მთავარმა, ლევანმა, რუსეთის ერთგულობის ფიცი მიიღო. მთავარი რომ რუსეთს დაუმეგობრდა, სოლომონს ლეჩხუმის დაკავების იმედი გაუცრუვდა; ამასთანავე კარგათ ატყობდა, რომ ციციშვილს მისი ტახტიდან გადაგდება უნდოდა ქართლ-კახეთი და ოდიში უკვე რუსეთის სამფლობელოს შეადგენდა. იმერეთი ორ ცეცხლშუა იყო და ასეთ მდგომარეობაში მყოფი მეფე მთელი

ექვსი წლის განმავლობაში ებრძოდა და აფერხებდა რუსის ჯარს.

სოლომონი ისე ოსტატურათ იქცეოდა, რომ მაინც და მაინც არც რუსეთს უცხადებდა აშკარა ომს და არც ოსმალეთთან სწყვეტდა კავშირს. მისი ასეთი მოქმედება ყველისთვის ცხადი შეიქნა.

1806 წ. ბაქოში მოკლეს თ. ციციშვილი. სოლომონმა ისარგებლა ამ გარემოებით და შავი ზღვისკენ მიმავალი გზა გააფუჭა; ამასთანავე აპირობდა — ძალით აეღო ქუთაისი, სადაც ამ დროს რუსის ჯარი იდგა.

სოლომონს აქეზებდა და მხნეობას მატებდა ალექსანდრე ბატონიშვილიც ახალციხის ფაშის დახმარებით; სპარსეთიც განჯის უკანვე ასაღებათ ემზადებოდა და თოფ-იარაღს ისხამდა; მთიულეთი ღე-

ლავდა და ჯერ კიდევ არ დაწნყარებულიყო; იმერეთშიაც აჯანყების სული ტრიალობდა და რუსის მცირე მხედრობას სულსა ხდიდა. აი სწორეთ ამ დროს მეფემ თავიდან მოიშორა სახლთხუცესი ზურაბ წერეთელი, რომელიც დიდი ერთგული იყო რუსებისა და მათ წინაშე დიდი ღვაწლი მიუძღოდა. წერეთელი ფრიად პატივმოყვარე და შორსმჭვრეტელი დიპლომატი იყო. პეტერბურგში ყოფნის დროს მან რუსეთის მისწრაფება გაიცნო და მისი შემწეობით იმერეთის ტახტზე ასვლაზედაც ოცნებობდა.

სოლომონ ლეონიძე კი, ეს დაუძინებელი მტერი რუსებისა, სოლომონს უფრო და უფრო აურჩებდა და მთავრობის ჩინ-ორდენებს ზიზღით უარყოფდა.

ციციშვილის მოადგილემ, გუდოვიჩმა, პირდაპირ გადასწყვიტა მეფის ტახტიდან გადაგდება და ეს აზრი ზურაბ წერეთელმაც ძლიერ მოიწონა.

გუდოვიჩმა იმერეთში რუსის ჯარი გააძლიერა (1808 წ.) და მეფეს ამანათი მოსთხოვა. სოლომონი ახალციხისკენ განივლტო და იქიდან შემოთვალა, ქუთაისი დამიცალეთო. გუდოვიჩმა დაინახა, რომ სოლომონის გატეხვა არც ისე ადვილი საქმე იყო — და გადასწყვიტა იმერეთში დროებითი მთავრობა გამოეცხადებია. ამასთანავე ზურაბ წერეთელს, როგორც საჭირო კაცს, ებოძა პოლკოვნიკის ჩინი და 1200 მან. პენცია. ჭირმოთნე წერეთელმა იმპერატორის რესკრიპტს სამჯერ აკოცა, მაგრამ რაკი ტახტზე ასვლის იმედი დაეკარგა, მალე ისევ სოლომონისკენ „იბრუნა“ გული.

ამასობაში გუდოვიჩის ადგილი ტორმასოვმა დაიჭირა. ამან მაშინვე გამოსცა მოწოდება იმერე-

თის მცხოვრებლებისადმი და ურჩევდა მათ — იმპერა-
ტორის ქვეშევრდომობა მიეღოთ. აშფოთებულმა
სოლომონმა შეკრიბა 6,000 მეომარი, ისარგებლა
იმ გარემოებით, რომ რუსის ჯარი ფოთის ციხის
ასაღებათ იყო წასული, გასწია ახალციხისკენ, სადაც
ინახულა ალექსანდრე ბატონიშვილი და ახალციხის
ფაშას დახმარება სთხოვა. ამავე დროს სეხნია წუ-
ლუკიძე და სარდალი ქაიხოსრო წერეთელი ხალხს
აღელვებდენ. ამათ შეკრიბეს სამღვდელოება და ხალ-
ხი, დააფიცეს სოლომონის ერთგულებაზე და ჩამო-
ართვეს პირობა, რომ რუსის ჯარს არ მისცემენ სურ-
სათს და არც სოფლებში შეუშვებდენ.

ტორმასოვმა იმერეთის ჯარის უფროსად და-
ნიშნა გენ. სიმონოვიჩი. ზურაბ წერეთლის ორ-
პირობამ აქაც იჩინა თავი, — სიმონოვიჩს ურჩევდა,
სოლომონის დევნას თავი დაანებეო; ტორმასოვს კი
აჩქარებდა, რას უყურებთ, ბარემ შეიპყარი და ქვე-
ყანაც დამშვიდდებაო“ მთავრობა გამოურკვეველათ
მოქმედობდა. სოლომონმა ამ მდგომარეობით ისარ-
გებლა და დროს მოსაგებათ ტორმასოვს მისწერა:
ციციშვილთან შეკრული პირობა რუსებმა, ჩვეულე-
ბისამებრ, დაარღვიეს, ლეჩხუმი დადიანს მისცეს, იმე-
რეთში ჩემს დაუკითხავათ დიდი ჯარი ჩააყენეს, სა-
სახლე დამიქციეს და ქვეყანა ამიწიოკესო.

ტორმასოვმა სოლომონს მოსთხოვა, ქუთაისს
დაბრუნდი და ამასთანავე წარმომიდგინე სეხნია წუ-
ლუკიძე, ქაიხოსრო წერეთელი, სოლომონ ლეონიძე,
ანდრონიკაშვილი და როსტომ ნიჟარაძე და მაშინ
აგისრულებ თხოვნასო. მთავრობას დიდი ჯავრი სჭირ-
და ხსენებული თავადების, განსაკუთრებით ლეონი-

ძის, რომლის „გესლით სავსე ენა“ ძილს უფრთხობ-
და და მოსვენებას არ აძლევდა მთავრობის აგენტებს.

— რაო? რაო? რას მეუნებიან?! რას მირჩევენ?
გადავიდე საცხოვრებლათ იქ, სადაც რუსის ჯარი
სდგას?! ეს ყოვლად შეუძლებელია! სთქვა მეფემ. ამ
დროს ის ვარციხეში იმყოფებოდა.

ამასობაში სიმონოვიჩმა ქვემო იმერლები უკვე
ხელმწიფის ერთგულობაზე დააფიცა. მეფე იძულებუ-
ლი გახდა ტორმასოვთან წასულიყო მოსალაპარაკებ-
ლათ. სიმონოვიჩმა მას ჯვარსა და სახარებაზე შეფი-
ცა, რომ არას გკადრებენ და სამეფო პატივს არ მო-
გაძლებენო. სოლომონი ამ ფიცით თფილისს მიიტ-
ყუეს და სუმბათაშვილის სახლში დაამწყვდიეს (28

მარტს 1810 წ.,) დარაჯები მიუჩინეს და ძლიერ ფრთხილად ეპყრობოდენ.

ამას შემდეგ ტორმასოვი იმერეთის „გაწმენდას“ შეუდგა. მაგრამ იმავე წლის 13 მაისს ტყვე მეფე მთავრობას თვალსა და ხელს შუა მიეფარა. როსტომ წერეთელმა და გრიგოლ ერისთავმა დანიშნულ ღამეს ეზოს გალავანთან ცხენები მოუყვანეს, მეფემ ტანსაცმელი გადიცვა, პირი შეიმურა, უმაღლესათ ნაბოძები ორდენი იქვე მიაგდო და ტიკჭორა წამოკიდებულმა თამამად გაიარა ჭიშკარი. დარაჯებმა რომ კითხეს, — მეფის მოსამსახურე ვარ და მტკვარზე წყლის მოსატანათ მივდივარო, უპასუხა.

მეფეს ქალაქს გარეთ 30 ცხენოსანი მიეგება და ახალციხისკენ გაუდგენ გზას.

მთავრობამ ამის გამო რამდენიმე კაცი გააციმბირა; ბევრიც სიკვდილით დასაჯა. სიკვდილით დასაჯეს აგრეთვე მედუქნე მურასოვი, რომელმაც მეფეს ტანი-

სამოსი მოართვა, და გამოძიების დროს უდანაშაულოთ ცნობილი ფალავანდიშვილი, რომელმაც ვითომ ცხენები მოგვარა გაქცეულებს.

ახალციხიდან მეფემ იმერეთში წერილები გაგზავნა: აბა დამიმტკიცეთ ერთგულობა, თვარა თქვენც ის დღე დაგადგებათ, რაც ქართლელებს, რომელთაც წითელ პარასკევს რუსები ხორცს აჭმევენო. ტანჯულმა მეფემ ხალხის თვალში მეტი პატივი და სიყვარული მოიპოვა; სიმონოვიჩს კი, როგორც ფიცის გამტეხს, ალმაცერათ დაუწყეს ყურება. მეფის წერილებმა იმერეთში დიდი გავლენა იქონია, ხალხი დაირაზმა და სხვადასხვა ალაგას დაბანაკებულ რუსის ჯარს მუსრი გაავლო. დიდი სისხლის ღვრა მოხდა ალის ხეობაში, სადაც ოთხი დღის განმავლობაში განუწყველი სროლა იყო, — და რომ სურამიდან მაშველი ჯარი არ მოსვლოდათ, რუსებს სრულიად გასწყვეტდენ. სხვა წვრილ შეტაკებებში რუსებს დაუხოცეს 20 აფიცერი და 400 სალდათი.

ალის ხეობაში მაშველმა ჯარმა გადასწყვიტა ბრძოლის ბედი: მეფე და მისი მომხრენი დამარცხდენ.

8 წლის განმავლობაში საქართველოს მთავარმართებლები სასტიკათ ებრძოდენ სოლომონს — და რომ მოსყიდვისა და მსგავსი საშვალებისათვის არ მიემართათ, კიდევ დიდხანს ვერ გასტეხდენ ამ რკინის კაცს.

სოლომონი იმერეთიდან ახალციხეს გაიქცა, აქიდან აზრუმს გადავიდა, სადაც მას სულთანმა ბინა დაუნიშნა. აზრუმის ფაშამ, ტორმასოვის ჩაგონებით, მეტისმეტად შეავიწროვა ტანჯული გვირგვი-

ნოსანი და ის აქიდან 1812 წ. ღამით, ტრაპიზონს განივლტო.

ტრაპიზონში მეფე ღირსეულათ მიიღეს. აზ-
რუმის ფაშას კი მეფის შეწუხებისათვის სულთნის
ბრძანებით, თავი მოკვეთეს.

სამშობლოდან გადახვეწილი მეფე ტრაპიზონში
გადაიცვალა 7 თებერვალს 1815 წ. შობიდან 42
წლისა. ვერაგ თანამორწმუნეთა შორის სიცოცხლეს
პატიოსან „ურწმუნოებთან“ სიკვდილი ამჯობინა.
მეფის ცხედარი დაკრძალეს იმავე ქალაქში, ბერძენ-
თა ეკლესიის გალავანში და ზედ კამარა-შეკრული
ძეგლი აუგეს. მეფეს ტრაპიზონში თან ახლდა მოძ-
ღვარი თვისი, მღვდ. იესე ყანჩაველი, რომელმაც
მეფის საფლავის ლოდს შემდეგი წააწერა:

„განმეძარცვა მე პირველქმნილი მშვენიერება და
მდებარე ვარ შიშველ და კდემული საფლავსა ამას
შინა, ტომისაგან დავითისა შთამოსრული ბაგრატი-
ონი, ძე არჩილისა, სრულიად იმერთა მეფე სოლო-
მონი.“

„საჯენ, უფალო, მავნებელნი ჩემნი და ბრძო-
დე მბრძოლთა მათ ჩემთა.“

ალექსანდრე ბატონიშვილი

ბატონიშვილები რომ გადაასხლეს და სამეფო
სახლს წესი აუგეს, მთავარმართებლებს ეგონათ — ქვე-
ყანა დაწყნარდება და განცხრომით მოვისვენებთო,
მაგრამ სპარსეთს გადახვეწილის ალექსანდრე ბატო-
ნიშვილის მარტო ერთი მოგონება მათ ძილსაც უფ-
რთხობდა და ღვიძილსაც უმწარებდა. ხალხში უკმა-
ყოფილების ალსა და ცეცხლს, კაპიტან-ისპრავნიკე-
ბისა და შეუფერებელი წესების შემოღებით, თვი-
თონვე ანთებდენ. მაშინდელმა მოხელეებმა თავის უზ-
ნეობით და წრეს გადასული მოქმედებით ჩვენს ხალხს

მოთმინების ფიალა აუვსეს; უზომო გადასახადმა და
ე. წ. საურმო ბეგარამ, კახეთიდან რომ განჯისა,
ერევნისა და ფოთისკენ ერეკებოდენ ხარ-ურემს ცეც-
ხლზე ნავთი დაასხა და აჯანყების სული დააატრია-
ლა. ახალი მთავრობისაგან სამართალსა და ცამდი
აშენებას მოელოდენ-და თუ პირველი ნაბიჯიდანვე
იმედი გაუცრუვდებოდათ, ეს არავის ეგონა. გუშინ-
დელ დღეს ისევ ტკბილი სასოებით იგონებდენ, რაც
უნდა მწარე ყოფილიყო ის. საკუთარი მთავრობი-

საგან მათრახისა და როზგის გემო მაინც არ უწვ-
ნევიათ, ფიცისა და სიტყვის გატეხვა არავის უნახავს;
ოჯახის გაუპატიურებას არავინ მოსწრებია, ჭაღარა
შერთულ მოხუცთა შეურაცხება არავის გაუგონია,
ურემში დედაკაცების შებმა და ზედ გალეშილი სალ-
დათების ჯდომა სიზმრათაც არავის მოლანდებია!...
ამ თავაშვებულობამ ჯარისა და მოხელეების მხრით
იმ ზომამდი მიაწია, რომ ქვეყანა, რომელიც უსის-
ხლოთ მიერთვათ, სისხლით შეიღება და „ჭირნახუ-
ლი საქართველო ისევ აღდგომის კვერცხს დაემსგავსა,“

ალექსანდრე ბატონიშვილი, ქვეყნის ასეთი აწი-
ოკებით და საქართველოს უფლებების გათელვით
გამწარებული, ერთხელ მთავარმართებელს პ. ცი-
ციშვილს სწერდა: „ნეტარად ხსენებულმა საქართვე-
ლოისა მეფემან ირაკლიმ, ბატონმა მამა ჩვენმა, მათს
იმპერატორობით დიდებულობას იმიტომ მიმართა,
რომ თავისი ოჯახი და საქართველო უმეტესად აღე-
მაღლებინა, არამც თუ დაემდაბლებინაო.” (აკტ. ტ.
II. გვ. 15 ვ.)

ასეთს ბოღმით სავსე წერილსა სწერდა და ეს მოუსვე-
ნარი რაინდი, ეს „ქართველთა მიტრიდატი“ საქართ-
ველოს მთავარმართებლებს მოსვენებას არ აძლევ-

და. როდესაც ესენი ჩინ-ორდენებსა და დიდ წყა-
ლობას პირდებოდენ, ოღონდ დაბრუნდი და რუ-
სეთს გადასახლდიო, ის ამას ზიზღით უარყოფდა და
სამაგიეროთ ხალხში ცეცხლით სავსე წერილებს ავ-
რცელებდა. ქართლ-კახეთი, თუშ-ფშავ-ხევსურეთი,
დაღესტანი, ახალციხის საფაშო, ერევანი და იმე-
რეთი — აი, ბატონიშვილის სამოქმედო ასპარეზი! სა-
დაც ხელი მიუწვდებდა, ყველგან უკმაყოფილების
სულს აღიზიანებდა და მომხრეებს შოულობდა.
და სად იყო საქართველოში ისეთი კუთხე, რომ
საჭირო დროს ეს შეუპოვარი ადამიანი იქ არ გაჩე-
ნილიყო და თავისებურათ არ გამოეჭედა მკვიდრთა
სული და გული!

მთავრობის გენერლები და რაზმები კვალ-და-
კვალ დასდევდენ, ხან წყალობის წერილებსა სწერ-
დენ, ხან მუქარას უთვლიდენ, მაგრამ ალექსანდრეს
გულს არც ერთი არ ეკარებოდა. ექვსი მთავარ-
მართებელი მოიდნო ამ რკინის ადამიანმა და ის მა-
ინც უვნებელი დარჩა.

როგორც ვიცით, სპარსეთი და ოსმალეთი რუ-
სეთის წინააღმდეგ სულ კბილებს ილესავდენ. სპარ-
სეთის ყეინი ბაბა-ხანი და მისი მემკვიდრე აბას-ზორ-
ზა მხოლოდ მარჯვე დროს ეძებდენ საქართველო-
დან რუსების გასადევნათ. საქმეში თვით ინგლისიც

კი ჩაერია და ამ საქმისთვის სპარსეთს 20,000 თო-
ფი გამოუგზავნა. ბატონიშვილი სიხარულით ცას
ეწეოდა და თავის მომხრეებს წერილებით ამხნევებდა.
ამ სამზადისისაგან ბატონიშვილისთვის სასურველი არა
გამოსულა რა; ეს კია, რომ სპარსეთის თანაგრძნო-
ბა მისკენ იყო და იქიდან წლიურათ ათას ორასი
თუმანი ეძლეოდა. სპარსეთის თანაგრძნობით ბატო-

ნიშვილი ამბოხებით მოცულ საქართველოში მოხერ-
ხებულათ სარგებლობდა. მისი პროკლამაციები დიდ
შთაბეჭდილებას სტოვებდა და ხალხში ასაფეთქებელ
ნივთიერებასავით მოქმედობდა.

„მეფის ძე ალექსანდრე სიყვარულით მოგიკით-
ხავთ, სწერდა ის მთიულებს, კახელებს და სხვ: ვინც
დღეს ჩვენს დაცემულ სახლს შეეწევიან, მამანიც ისი-
ნი იქნებიან და ძმანიცა... როგორც ლომურათ გარ-
ჯილხართ, ისე ლომურათ გაისარჯეთ... თქვენი გუ-
ლოვნებაც ასახელეთ და მეფის ირაკლის ოჯახიც...
თქვენ იცით და თქვენმა მრავალრიგათ სახელოვა-
ნმა ხალხმა... ღმერთმა ნუ ქნას, რომ მაგათ ძალა
მოიცენ, მათი ფიცი სარწმუნო არ არის, მათი ტკბი-
ლი სიტყვა ბოლოს ორპირობა, სიცრუე და გაუ-
ტანლობაა, ბუნებით მუხთალნი არიან, — ორგულთა
და ერთგულთათვის მისაგები ერთი აქვთ — ციმბირიო“,
და სხვ.

ასეთ აგზნებულ წერილებსა სწერდა და ავრცე-
ლებდა საქართველოში ბატონიშვილი. მთავარმართე-
ბელი მარკიზ პაულუჩი რომ ვერას გახდა და ბატო-
ნიშვილი გაბაწრული პეტრეს ქალაქს ვერ გაგზავნა-
თავს იმითღა ინუგეშებდა, რომ არა ღირს მისი დევ-
ნა, მისი მნიშვნელობა და ძალა არც თუ დიდს რას-
მე წარმოადგენსო.

1812 წ., რტიშჩევის მთავარმართებლობის დროს,
გენერალ. ორბელიანმა და სიმონოვიჩმა შეერთებუ-
ლის ძალით იერიში მიიტანეს ბატონიშვილის რაზ-
მზე მოხდა. საშინელი სისხლის ღვრა. ბატონიშვილმა
უკან დაიხია და ფშავ-ხევსურეთს შეეფარა. აქ მას
ხალხის ერთგულობასთან ქვეყნის ბუნებრივი სიმა-
გრეც ხელს უწყობდა. ხევსურეთის გაუვალი ღრე-

ები, ხვრელ-გვირაბები და უფსკრულები ჯარის მოძ-
რაობისთვის მეტათ დიდ სიძნელეს წარმოადგენდა.
მუხედავათ ამისა, რტიშჩევმა გადასწყვიტა, რათაც
უნდა დაჯდომოდა, მოუსვენარ ბატონიშვილს კვალ-
და-კვალ მოყოლოდა და მისი თარეშისათვის ბო-

ლო მოეღო. რტიშჩევმა ამასთანავე სასტიკათ დასა-ჯა თვით მცხოვრებლები, — ხევსურები ჩაკეტა თავის სოფლებში, აუკრძალა მარილისა და სხვა საჭირო საგნების ყიდვა და ეს კუთხე სრულიად მოსწყვიტა საქართველოს. ბრძანება გასცა: „ორი კვირის განმავლობაში დაიჭირეთ ბატონიშვილი და წარმოადგინეთ, თორემ ცეცხლსა და მეხს დაგატეხთ თავზეო.“

მუქარამ ვერ გასჭრა. მაშინ რტიშჩევმა ძლიერი ჯარი გაგზავნა 4 გენერლის წინამძღოლობით. მაისის გასული იყო (1813 წ.) ჯარის კაცები ხევსურეთის ვიწრო ბილიკზე და კლდეებზე ძლივს მიფოფხავდენ. საშინელება იყო ამ ჯარის მოძრაობა; მაგრამ უფრო საშინელი იყო ფარ-ჯავშნიანი ხევსურების ხიშტებით შეიარაღებულ ჯართან შეტაკება. მთაში ზარბაზნის ჭექა გაისმა და ხიშტმა ამოჰყო თავისი დაუნდობელი წვეტი. შეუპოვარი ხევ სურები სიკვდილს ამაყათ შეყურებდენ, ირაკლის ოჯახისათვის ირჯებოდენ და წმინდა საქმეს აკეთებდენ.

ყოველი ნაბიჯი ჯარმა ბრძოლითა და სისხლის ღვრით აიღო. 600 ხევსური გასწყდა ამ ბრძოლაში. ეს მოხდა 1 ივნისს. 3 ივნისს 1813 წ. ჯარმა რამდენიმე სოფელი აიღო, გადასწვეს, გადაბუგეს, მთას შიშის ზარი დასცეს და ბატონიშვილის მომხრეობისთვის „ჭკუა ასწავლეს.“

ალექსნდრე დაღესტანს განივლზტო, აქიდან ისევ სპარსეთს გაიქცა და თავის საყვარელ აზრს-საქართველოს სამეფოს აღდგენას-მარადის თავს ევლებოდა.

ამ უკვე ფრთა-შეკვეცილმა არწივმა, ამ საოცარი მხნეობის ადამიანმა, სამშობლოს დაცემული დიდებისა და პატივის აღდგენისათვის მებრძოლმა, შორეულ სპარსეთში, ქალ. თავრიზის მახლობლათ დალია სული (1844 წ.)

საქართველოს გაერთიანება

იმერეთი. სოლომონ II-ის იმერეთიდან ლტოლვა 1810 წ. თვით ამ სამეფოს შემოერთებას ნიშნავდა. იმერეთშიაც, ცოტა ცვლილებით, ისეთივე მართვა-გამგეობა შემოიღეს, როგორიც ქართლ-კახეთში.

გურია. 1442 წლამდი გურია საქართველოს სამეფოს ნაწილს შეადგენდა, ამ საუკუნიდან კი ცალკე სამთავროდ გამოიყო, რომელიც ხან ოსმალეთის გავლენას განიცთიდა, ხან კი იმერეთის დამოკიდე ბულებაში იყო. XIX საუკუნის დასაწყისში მცირე წლოვანი მამია გურიელის მაგიერათ ქვეყანას განა-

გებდა ბიძა მისი ქაიხოსრო, ფრიად გამჭრიახი და გონიერი ვაჟკაცი. ქაიხოსროს მთავრობის დროს გურიას ხან ოსმალნი არბევდენ, ხან კიდევ გურიის გალაღებული თავადები. ქაიხოსროს მაცადინობით ოსმალთა ბრბოების შემოსევაც შეწყდა ამ ქვეყანაში და თავაშვებული ფეოდალებიც აილაგმენ. ქაიხოსრომ თავის ძმის წულს ასე თუ ისე, გამტკიცებული და, შედარებით, გაძლიერებული ქვეყანა ჩააბარა. მამიამ 1810 წელს რუსეთს მფარველობა სთხოვა მთავრობამ ეს წინადადება სიამოვნებით მიიღო და მამიას და მის მემკვიდრეებს მთავრის უფლებები დაუმ-

ტკიცა. მამია გადაიცვალა 1826 წ. და თ-აზნაურობამ მის მემკვიდრეს, დავითს, შეფიცა. დავითის მცირეწლოვანობის გამო სამთავროს განაგებდა ქვრივი დედოფალი სოფიო. ამ დროს საქართველოს მთავარმართებლათ იყო ერმოლოვი, რომელსც გურიის ავტონომიის მოსპობა ენატრებოდა. მან წინადადება მისცა დედოფალს, ამოირჩიე ექვსი, რუსეთის მომხრე, პირი და იმათი შემწეობით მართე ქვეყანაო. დედოფალმა ეს მოთხოვნა უყურადღებოთ დასტოვა, მით უმეტეს, რომ მას მხარს უჭერდა ხალხი და თ. აზნაურობა. ამ დროს რუს-ოსმალოს ომი ასტყდა. დედოფალმა ოსმალეთს მხარი დაუჭირა. მაგრამ როდესაც ოსმალეთი დამარცხდა, დედოფალიც თავის შვილებით ტრაპიზონს გაიქცა. ამით მოეღო ბოლო გურიის ავტონომიას (1838 წ.)

ოდიში. ოდიშის მთავრები იყვნენ დადიანები. ამათ იმერეთის მეფესთან განუწყვეტელი შუღლი და მტრობა ჰქონდათ. 1803 წ. სოლომონ II და გრიგოლ დადიანი წაიჩხუბენ ლეჩხუმის გამო. მეფის დაძლევის იმედი არა ჰქონდა და გრიგოლი რუსეთის მფარველობას მიეყრდნო. გრიგოლს შემდეგ მთავრობა მიიღო მისმა მემკვიდრემ ლევანმა. რომელსაც ხელმწიფე-ოპერატორმა 12,000 მან. წლიური ულუფა დაუნიშნა შავი ზღვის ნაპირებზე საბაჟოების დათმობისათვის. ლევანის მემკვიდრე დავითი (1832 წ.) უდიერი და უსამართლო კაცი იყო და თავისავე სამთავროში მრავალი მტერიც ჰყავდა. დავითი რომ გადაიცვალა (1853 წ.), მემკვიდრის — ნიკოლოზის-მცირეწლოვანობის გამო ოდიშს ქვრივი დედოფალი ეკატერინე განაგებდა (ალექსანდრე ჭავჭავაძის ასული). 1856 წ. დედოფალი რუსეთს მიიწვიეს გვირ-

გვინის კურთხევაზე. იქიდან რომ დაბრუნდა, მთელს

ოდიშს აჯანყების ცეცხლი მოსდებოდა. — გლეხებმა მეტი შევიწროება ვეღარ აიტანეს და მებატონეთა წინააღმდეგ აჯანყდენ. ამათ მეთაურობდენ უტუია მიქავა და „მართალი“ თოდუა, — უბრალო, მაგრამ ყოვლად პატიოსანი კაცები. დედოფალმა მაშინვე ქუთაისის სამხედრო გუბერნატორ-კოლუბიაკინთან აფრინა კაცი და შველასა სთხოვდა. გუბერნატორიც ამას ელოდა, ის მაშინვე ოდიშისკენ გაეშურა და საკმაო ჯარიც წაიყვანა. დედოფალი, ცოტა არ იყოს, გაცხარდა, როგორ თუ ჩემს სამფლობელოში ამდენი ჯარი შემოიყვანა და ჩემს დაუკითხავად მოქმედობსო. ამასობაში მთავარმარებელმა ბარიათინსკიმ დედოფალს წინადადება მისცა — პეტერბურგს მობრძანდით, იქ უფრო კარგათ აღზრდით შვილებსო. დედოფალი უნებურათ დაემორჩილა ამ ბრძანებას. 1867 წ. უკვე სრულწლოვანმა ბატონიშვილმა ნიკოლოზმა თავის უფლებაზე ხელი აიღო და ოდიშის დამოუკიდებლობაც ამით დასრულდა.

სვანეთი. სვანეთში დადიშქელიანები ბატონობდენ. ამ ქვეყნის დამოუკიდებლობის მოსპობა წილათ ხვდა აფიცერს უსლარს. უსლარი მეცნიერი კაცი იყო, ფილოლოგიაში გაბრძნობილი, მაგრამ შოვინისტი და სხვა ერთა მოძულე. ქუთაისის გუბერნატორს გაგარინს დღე მუდამ ჩასჩიჩინებდა — სვანეთს ბოლო მოვუღოთო. უსლარის ქადაგებამ გასჭრა, და ბარიათინსკის ბრძანებით, იმავე უსლარის წინამძღოლობით სვანეთს ჯარი გაიგზავნა. შეიტყო თუ არა ეს სვანეთის უკანასკნელმა მთავარმა კოსტანტინე დადეშქელიანმა, მაშინვე წინ მიეგება და სთხოვა, ჯარი უკანვე დააბრუნე, ან დროებით შეაჩერეო, უს-

ლარმა მოახსენა, ქუთაისს მიბრძანდით გაგარინთან და შენს თხოვნას ის შეიწყნარებსო. კოსტანტინე რომ ქუთაისისკენ წამოვიდა. უსლარის ჯარი სვანეთს შეესია. ქუთაისში მთავარი გარეგნულათ კარგათ მიიღეს, ისე კი ყოველ მის ნაბიჯს თვალყურს ადევნებდენ. მისი მეთვალყურობა იკისრა პოლკოვნიკმა ბარტოლომემ. ბარტოლომე ბარიათინსკის შკოლის ამხანაგი იყო, — ჯუჯა ტანისა, ქერა, თვალში სვეტით. რომელიღაც მდიდარმა და ლამაზმა ქალმა ცოლობაზე უარი უთხრა და ჯავრის გასაქარვებლათ პალეოგრაფიისა, არქეოლოგიისა და ნუმიზმატიკის შესწავლას შეუდგა. „ზოგი ჭირი მარგებელიაო“ და იმასაც ისე მოუვიდა. აი, სწორეთ ამ კაცმა იკისრა კოსტანტინეს მზვერაობა. ბარტოლომე, როგორც ადამიანი, დაბალი ზნეობის კაცი იყო, — კონსტანტინეს ვიღაც მეგობარი შემოუჩინა, — საფრანგეთის იმ-

პერატორთან წერილს დაგიწერ და რუსეთის იმპე-
რატორთან შუამდგომლობა ითხოვეო. კოსტანტი-
ნეს გული კარგს არას ეუბნებოდა, მაგრამ იმ ზომად და-
ქანცული იყო, რომ ბარათი მართლა დააწერია, აი,
ეს წერილი ბარტოლომემ „დაიჭირა“ და გაგარინს
წარუდგინა, — ხედავთ კოსტანტინე რაებს სჩადისო.

თ-დი კოსტანტინე, ეს მეტად მშვენიერი ვაჟ-
კაცი, არწივის თვალებისა და იშვიათი მოსულობის
პატრონი, უკვე მესამე თვე იყო, რაც ქუთაისში ცხო-
რობდა და ბოღმითა და ჯავრით ევსებოდა გული.
საყვარელი ცოლ-შვილი სვანეთში ყავდა მიტოვებუ-
ლი და აქ, ამ მთის ლაღ შვილს, მთის ბატონს,
ტყვესავით ინახავდენ, მართალია, გარეგნულათ მას
კარგათ ეპყრობოდენ, მაგრამ თეთრ კბილს უკან

კოსტანტინე შავ გულს ხედავდა და ყოველ წუთს
რაღაც საშინელებას მოელოდა.

22 ოკტომბ. 1857 წ. გაგარინმა დადეშქელია-
ნის მოსაყვანათ ბოქაული გაგზავნა. კოსტანტინე ამ
დროს წირვაზე იყო. ბოქაულმა გამოუცხადა, გუბერ-
ნატორი გთხოვთ, ახლავე მობრძანდეთო. დადიშქე-
ლიანმა პირჯვარი გადიწერა და გუბერნატორის სა-
დგომისკენ გაეშურა. გაგარინმა კოსტანტინეს გა-
მოუცხადა, ჯერჯერობით ერევანს უნდა გადასახლდე
და იქ ხელმწიფის მოწყალებას ელოდეო.

თავადს სახე მოეღრუბლა, თვალებში სისხლი
მოაწვა, მოზვავებულმა შეურაცხებამ ერთბაშათ იფე-
თქა და მისმა ხანჯალმაც იელვა. ორიოდ წუთის გან-
მავლობაში თ-დი გაგარინი, მისი თარჯიმანი თარხან
არდიშვილი და ორიც სხვა, ხანჯლით განგმირუ-
ლები, უკვე სულს ლევდენ.

კოსტანტინემ გაირბინა კათოლიკეთა უბანი
და ბაქრაძის სახლში გამაგრდა. სახლს ჯარი შემოერ-
ტყა. კოსტანტინემ იქიდან კიდევ რამდენიმე კაცი
დასჭრა და მანამ ვერ დაიმორჩილეს, სანამ ტყვიით
მარცხენა მკლავი არ გაუფუჭეს.

სამხედრო-საველე სასამართლომ დადეშქელიანს
დახვრეტა მიუსაჯა. მისი სულის უკანასკნელ ამო-
გმინვასთან სვანეთის ავტონომიაც მოკვდა.

სამცხე-საათაბაგო. ძველი მესხეთის, ანუ ზემო-
ქართლის. მმართველ ერისთავებს მე-XIV საუკუნეში
ათაბეგები დაერქვათ ოსმალთა გამოჩენისათანავე და
ნამეტურ კონსტანტინოპოლის დამხობას შემდეგ
(1453 წ.) მესხეთს მეტად ცუდი დღე დაადგა. გამარ-
ჯვებული ოსმალნი თანდათან აფართოვებდენ თავის
სახელმწიფოს საზღვრებს. ეს ახალი მეზობელი სა-

ქართველოს ჭირათა და ვაებათ მოევლინა, მაგრამ მესხეთი პირდაპირ მათ შემოსასევ ასპარეზათ გადაიქცა; საქართველოს სხვა ნაწილებზე უფრო მძლავრათ მესხეთი განიცთიდა მათი ტალღების ძლიერს კვეთებას.

მესხეთმა დიდხანს იბრძოლა, დიდი თავგანწირვა გამოიჩინა, გამუდმებულ იერიშს ვეღარ გაუძლო და 1625 წელს ოსმალთა წინაშე უნებურათ ქედი მოიხარა. ამიერიდან ეს კუთხე, ახალციხის საფაშოს სახელით, ოსმალეთმა შეიერთა. ოსმალები იმ თავითქე შეუდგენ ხალხის გამაჰმადიანებას და ამ მხრით მიზანს კიდეც მიაღწიეს; ამასთანავე ერთი კარგი საქმეც ქნეს: ბატონყმობა მოსპეს და თუმცა თავად-აზნაურობა მოიმდურეს, სამაგიეროთ ხალხის გული მოიგეს.

ახალციხის საფაშო ოსმალეთმა 24 სანჯაყათ გაჰყო და თითოულ ნაწილს სანჯაყ-ბეგი განაგებდა.

1828 წელს რუსებმა ახალციხე აიღეს და მთავარმართებელმა პასკევიჩმა იქ საოლქო მართველობა დააწესა.

რუსების დამკვიდრებას ახალციხის გამაჰმადიანებულმა ქართველობამ ალმაცერათ შეხედა, ხალხი აიყარა და 50,000 სულამდი ოსმალეთს გადასახლდა. გადახვეწილი ბეგების ადგილზე რუსის აფიცრები დანიშნეს.

ამრიგათ, მთელი საქართველო, ერთ დროს ძლიერი და ერთობის ძალით აღმატებული, შემდეგ დანაწილებულ-დასუსტებუილი, კვლავ შეერთდა. თუმცა რუსის თვითმპყრობელმა მთავრობამ ქართველობა დაჰყო კახელებათ, ქართველებათ, იმერლებათ, გურუ-

ლებათ, მეგრელებათ და ამ უკანასკნელთ ანბანიც კი შეუდგინა რუსულათ; ხოლო მთელი მესხეთი მონათლა თურქებათ, მაგრამ ეროვნული შეგნება თანდათან მკვიდრდება და ხალხში ღრმა ფესვებს იდგამს.

საქართველოს ეკლესია

ქრისტეს მოძღვრების სხივმა ჩვენში პირველ საუკუნოებშივე შემოანათა. ჩვენს ქვეყანასა და პალესტინას შორის მიმოსვლა ძველთაგანვე სწარმოებდა და, სხვათა შორის, მცხეთაში სამშობლოდან გადმოხვეწილი ებრაელებიც ბლომათ სცხოვრობდენ. იესოს ქადაგებასა და მის ცხოვრებას ქართველებისთვის შეუმჩნევლათ არ ჩაუვლია, — პალესტინიდან ცნობა-ცნობაზე

მოდიოდა ჯვარცმული ადამიანის შესახებ. სარწმუ-
ნოების საქმეში ჩვენი ყურმახვილი და გულმხურვა-
ლე წინაპრები ყოველთვის დიდ ინტერესს იჩენდენ.
ახალმა მოძღვრებამ თავისი სიმარტივითა, უბრალოე-
ბით და მაღალ-ზნეობრივ მცნებათა აღნუსხვით ქართ-
ველების ყურადღება იმ თავითვე მიიპყრო. მეოთხე საუ-
კუნემდი ჩვენში ქრისტიანობა თანდათან ვრცელდე-
ბოდა. ამ საუკუნეში კი საქართველოს მოევლინა წმ. ნი-
ნო, რომლის ჩაგონებით თვით მეფე მირიანმა და მთელ-
მა მისმა სახლობამ ახალი რჯული მიიღო.

სატახტო ქალაქ მცხეთაში აშენდა პირველი
ეკლესია. აქიდან ძლევამოსილი მოძღვრება მთელ
საქართველოს მოეფინა.

საქართველოს ეკლესია დაექვემდებარა ანტიო
ქიის პატრიარქს, რომელიც ჩვენში ამწესებდა ეპის-
კოპოსებსა და ღვდლებს.

მეხუთე საუკუნის დამლევს ვახტანგ გორგასლა-

ნის დროს საქართველო ისე გაძლიერდა, რომ საეკ-
ლესიო საქმეებშიაც დამოუკიდებლობა მოიპოვა.

მეექვსე საუკუნეში საქართველოში მოვიდენ სი-
რიელი ბერები, რომელნიც მოეფინენ მთელის ქართლ-
კახეთს და სამონასტრო ცხოვრება გააჩაღეს.

ქართული საეკლესიო ცხოვრება თანდათან გა-
იფურჩქნა, განვითარდა და მსოფლიო ეკლესიაში მალე
თვალსაჩინო ადგილი დაიჭირა. ბერძნულიდან გადმო-
თარგმნეს საეკლესიო წიგნები და სასულიერო მწერლო-
ბამ განსაკუთრებით უკვე მეხუთე საუკუნიდან მზეებრ
იწყო გამობრწყინვება. მეათე საუკუნიდან წარმოი-
შვენ შესანიშნავი ფილოსოფოსები და ღვთისმეტყველ-
ნი: იოანე პეტრიწონელი, ეფრემ მცირე, არსენი იყალ-
თოელი, გიორგი და ევთიმე მთაწმინდელები და მრავა-
ლი სხვ. გაჩაღდა საეკლესიო მწერლობა, სასულიერო
პოეზია, წმინდანების შესხმა-იამბიკოების თხზვა; განვი-
თარდა და უმაღლეს წერტილამდი ავიდა ქართული
საეკლესიო ხუროთმოძღვრება თავისი შესანიშნავი
ჩუქურთმა-გრეხილებით, ფოთოლ-წნელებითა და
მხატვრობით; აშენდა იშვიათი ხელოვნების ტაძრები:
მცხეთისა, ბეთანიისა, ალავერდისა, ტბეთისა, ვარძი-
ისა, ბაგრატისა (ქუთაისში), გელათისა და მრავალი
სხვა. საეკლესიო ცხოვრების განვითარებამ წარმო-
შვა შესანიშნავი მჭერმეტყველ-მქადაგებლები, შეხმა-
ტკბილდა სამხმოვანი გალობა და საქართველოს ყო-
ველ კუთხეში გაისმა საღვთო ღაღადება.

ქრისტიანობამ საქართველოში წარმოშვა მრა-
ვალი იშვიათი მოღვაწე და აღმსარებელი. ქართველ
მოწამეთა რიცხვი აღემატება რომელიც გნებავთ

ქრისტიანი ერის მოწამეების რიცხვს! და თვით მთელ-

მა საქართველომ აკი მოწამეობის გვირგვინი და-
იდგა!

ეკლესიამ დაიპყრო ჩვენი ერის სული და გუ-
ლი, შეესისხლხორცა და ენათესავა მას.

საერო ხასიათის ჰანგებში საეკლესიო კილო და
გამოთქმა შეერია და ეს საეკლესიო იმავე დროს
საეროც იყო.

ძველ ქართველთა სარწმუნოებრივი მხურვალე-
ბა საქართველოს საზღვრებში მდარ მოთავსდა, გა-
დალახა საზღვრები და მსოფლიოს მოედვა: იერუსა-
ლიმი, სინას მთა, მთაწმინდა (საბერძნეთში) და შა-
ვიზღვის ნაპირები აზოვ-ყირიმამდი ქართველთა მო-
ნასტრებითა და მოღვაწე ბერებით აივსო.

ჩვენი წინაპრები ეკლესია-მონასტრებისათვის უხვ
შეწირულობას არ ზოგავდენ: მეფე, თავადი, დიდე-
ბული გინდ მცირებული საეკლესიო ხაზინას მამუ-
ლით, ფულითა და სამკაულით ავსებდენ: და თან და-
ატანდენ: „ვინც გამოსწიროს, შეჩვენებული იყოსო".

ხატსა და სხვა საეკლესიო საგნებს ოჯახში, სადაც
ადამიანი ცხოვრობს, ვურ შეხვდებოდით: სიწმინდე
წმინდა ადგილს ეკუთვნისო — და ვისაც შეეძლო,
ეზოშივე აშენებდენ ე. წ. კარის ეკლესიებს, ან პა-
ტარა სამლოცველოს მაინც.

ქართველი მეფეები დიდ მფარველობას უწევ-
დენ სხვა საქრისტიანო ქვეყნებს და ანტიოქია-იერუ-
სალიმის პატრიარქები არა ერთჯერ მოსულან საქართ-
ველოში შემწეობისა და მფარველობის მოსაპოებლად.

საეკლესიო საქმეებს ჩვენში განაგებდა სრული-
ად საქართველოს პატრიარქ-კათალიკოზი, რომელსაც
ირჩევდა სასულიერეთა და საერო პირთა კრება.

საქართველოს კათალიკოზები, ან მათი წარმო-
მადგენლები ყოველთვის ესწრებოდენ მსოფლიო კრე-
ბებს; სხვათა შორის მიტროპოლიტი ეპიფანე და-
ესწრო რუსეთში პატრიარქ ნიკონის განსჯასაც.
(1666 წ.) კათალიკოზს ჰქონდა „დიდება და პატი-
ვი მეფისათანა" და მათ შორის მრავალი ფრიად შე-
სანიშნავი მოღვაწე იყო, როგორც მაგ. ანტონ I,
ცნობილი ღვთისმეტყველი და გრამატიკოსი.

საქართველოს სამეფოს მოსპობას შემდეგ რუსის
მთავრობა ცთილობდა აგრეთვე მოესპოთ ყოველივე
ის, რაც ჩვენს ხალხს წარსულს მოაგონებდა, სადაც და
რომელ დარგშიაც მას თავისუფლათ და დამოკიდებუ-

ლათ ამოსუნთქვა შეეძლო. ასეთი ასპარეზი იყო კიდევ საეკლესიო თვითმართველობა და, აი, სწორეთ გენერალ-მთავარმართებლებმა იერიში ახლა ამაზე მიიტანეს.

1810 წელს მთავარმართებელი ტორმასოვი სინოდის ობერ პროკურორს თ-დ გოლიცინს სწერდა: „საქართველოს პატრიარქ-კათალიკოზი-ანტონი-იშვიათი და ყველასაგან პატივცემული პირია, მაგრამ რადგანაც ის ავათმყოფი კაცია, სასარგებლო იქნება, საქართველოში ეგზარხოსი დაინიშნოს, კათალიკოზს კი საქართველოს შემოსავლიდან პენცია მიეცესო.“

ტორმასოვის მოხსენება, რასაკირველია, შეიწყნარეს და მთავარმართებელმა ანტონ II აიძულა რუსეთს გადასახლებულიყო. კათალიკოზს ალექსანდრე ბატონიშვილივით წინააღმდეგობის გაწევა არ შეეძლო-და თუმცა ბევრი რამ მოიმიზეზა და წასვლას აგვიანებდა, მაგრამ 1811 წ., ის გულდაწყვეტილი და საქართველოს უკუღმართი ბედის უმადური თავის მწარე ხვედრს დაემორჩილა. ანტონი ამ დროს

47 წლისა და იყო და ამ „ავათმყოფმა“ კაცმა, ამ სამხრეთის შვილმა ცივ რუსეთში კიდევ 19 წელიწადს იცოცხლა.

საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობა, წინააღმდეგ მსოფლიო კრებების დადგენილებისა, გაუქმეს. კათალიკოზის მაგიერათ ჩვენი ეკლესიის მმართველად სინოდის ეგზარხოსი დაინიშნა. პირველი ეგზარხოსი იყო ქართველი — ვარლამ ერისთავი.

იმერეთი 1819 — 20 წლებში

ახალი მართველობის დამყარებამ აღმოს. საქართველოში, ეგზარხოსის ვარლამ ერისთავის მაცადინობით, შედარებით მშვიდობიანათ ჩაიარა. იმერეთში კი ამ საქმემ სულ სხვა სახე მიიღო და ხალხის აჯანყებაც გამოიწვია.

1819 წლამდი იმერეთის საეკლესიო საქმეებს გამანადგურებელი ხელი არ შეხებია და ძველებურათ სწარმოებდა. 1815 წ. თფილისში სინოდის კანტორა დაარსდა, რომელმაც მთელი საქართველოს ეკლესიის დაპყრობა დაისახა მიზნათ. იმერეთის სამღვდელოება, მიტროპოლიტების მეთაურობით, კანტორის განკარგულებას ყურადღებასაც არ აქცევდა და დამოუკიდებლათ მოქმედობდა. ამის გამო უწმ. სინოდმა ეგზარხოსი ვარლამი გადააყენა და მის მაგიერათ გამოგზავნა (1817 წ.) თეოფილაკტე რუსანოვი ეგზარხოსის სახელწოდებით თეოფი-

ლაკტე მოსვლისთანავე იმერეთს გაემგზავრა, გურია-სამეგრელოში კი კანტორის მოხელეები დაგზავნა და საეკლესიო მამულების აწერა და ჩაბარება ამათ დაავალა.

— 87 —

მაშინდელი მთავარმართებელი ერმოლოვი თეოფილაკტეს მოქმედებას თუმცა თანაუგრნობდა, მაგრაი ნაადრევათ კი სცნობდა და იმერეთის აჯანყებისა ეშინოდა.

ეგზარხოსმა თავისი არ დაიშალა. — ჯერ იყო დათეოფილაკტემ საქართველოში საეპისკოპოზო კათედრები გააუქმა და თორმეტის მაგიერ 4 დააწესა, სამრევლოები შეამცირა და მრავალი ეკლესიაც დაკეტა, და მერე კიდევ კანტორის მოხელეებმაც ზედმეტი მუყაითობა გამოიჩინეს და საეკლესიომამულებთან კერძო პირების საკუთრებასაც შეეხენ. იმერეთსა და გურია-ოდიშში ამან ხალხის დრტვინვა და უკმაყოფილება გამოიწვია: „ჩვენი ეკლესიები ოსმალებს არ დაუკეტიათ და ამას რას მოვესწარითო!“ — იძახოდა ხალხი და აჯანყებამაც იფეთქა.

ამ დროს იმერეთს განაგებდა გენ. კურნატოვსკი. მან ეს ამბავი მაშინვე ერმოლოვს აუწყა და ჯარი ითხოვა. ამ დროს დაღესტნის მთებში ზარბაზანი ქუხდა და მთავარმართებლის მთელი ყურადღებაც იქითკენ იყო მიქცეული, შტაბის უფროსმა გენ. ველიამინოვმა კი თეოფილაკტეს სთხოვა, მოქმედება შეაჩერეთ და ქართლსვე დაბრუნდით, რომ იქნებ აღელვებული ხალხი დაწყნარდესო. ეგზარხოსი მაინც ქუთაისიდან ფეხს არ იცვლიდა, სანამ ხალხმა იძულებით არ განდევნა.

შეურაცყოფილმა ეგზარხოსმა, ერმოლოვის რჩევითა და თანხმობით, გადასწყვიტა — იმერეთიდან გაედევნა და რუსეთს გადაესახლებია იმერეთის ცნობილი მიტროპოლიტები და მათი თანამგრძნობლებიც. ეს აზრი პეტერბურგშიაც მოიწონეს და საქმის სისრულეში მოსაყვანათ ქუთაისს ჯარი გაიგზავნა.

— 88 —

იმერეთშიაც მზადება იყო. ყველა რაღაც საშინელების მოახლოებას გრძნობდა. მიტროპოლიტები-ევთიმე გენათელი და დოსითეოზ ქუთათელი ხალხს ლოცავდენ და სამშობლოს გასათავისუფლებლათ იწვევდენ. ბუკისა და საყვირის ხმა გაისმა და ეკლესიებში იარაღის კურთხევა გაჩაღდა. იმერლებმა გადასწყვიტეს, მეფეც კი ამოერჩიათ, და ეს სურვილი აცნობეს ალექსანდრე ბატონიშვილს, რომელიც მაშინ

ახალციხეში იმყოფებოდა.

იმერეთი რომ ასეთ სამზადისში იყო, გენ. კურნატოვსკი, როგორც მოხუცი, დაითხოვეს და მის მაგიერათ ახალგაზდა პოლკოვნიკი პუზირევსკი გაამწესეს. პუზირევსკის ძნელი საქმე მიანდვეს: მიტროპოლიტებისა და სხვა წარჩინებულთა დატყვევება.

შტაბის უფროსი, ველიამინოვი, სწერდა: „მიტროპოლიტების დახოცვას გაუფრთხილდით, ვინაიდან ეს ხალხს უფრო ააშფოთებს. თუ ვინიცობაა ეს ზომა საჭირო გახდეს, მაშინ დახოცილთა გვამები იმერეთში არ დასტოვოთ, არც სადმე მდინარეში გადაყაროთ, რომ არ გამოირიყოს, — მოზდოკამდი მიიტანეთ და იქ დამარხეთო.“

4 მარტს 1820 წ. ფრიად ჟინჟლიანი და ცუდი ამინდი იდგა. ცა პირქუშათ დაჰყურებდა ქუთაისს და ხან-გამოშვებით წვიმასა სცრიდა. საღამო იყო. მიტროპოლიტი ქუთათელი ციხის ნანგრევებზე შემდგარიყო და სასოებით აღსავსე თვალები გელათისთვის მიეპყრო. შემდეგ დასავლეთისკენ მიბრუნდა და კარგა ხანს მდუმარეთ შავი ზღვისკენ გაიყურებოდა. დაღამდა, საშინლათ ბნელოდა. უკვე შუაღამემაც მოატანა. მიტროპოლიტი რაღაც წინათგძნობას შეეპყრო და ძილი არ ეკარებოდა. ფიქრებით

გატაცებულმა, მესენაკეს — ყიფიანს — საცეცხლური გაჩაღებია და ლოცვათ დადგა. გავიდა მცირე ხანი და ვიღაცამ კარებს დაუკაკუნა. მესენაკემ მიტროპოლიტს მოახსენა. — გაუღეთო, ბრძანა — და ისევ ლოცვა განაგრძო.

პუზირევსკი და მასთან ერთად რამდენიმე ჯარის კაცი ხიშტებით ხელში მიტროპოლიტის ოთახში შეიჭრენ. პოლკოვნიკმა მოსთხოვა, ლოცვა შესწყვიტე და საჩქაროთ უკან გამომყევიო.

— განვედი ჩემგან, სატანა! — მრისხანეთ გადახედა მას ქუთათელმა და კმევა დაიწყო.

ჯარის კაცებმა ქუთათელს ხელი სტაცეს. მოხუცი მიტროპოლიტი სარკმლის რკინის ხლართულს მოეჭიდა და არ ნებდებოდა. მესენაკე ყიფიანიც მიეშველა. მას თავში კონდახი დაარტყეს და, გაბრუებული, სენაკის კარებიდან თავდაღმართში დააგორეს. მოხუცი მიტროპოლიტი კარგა ხანს გაძალდა, ბოლოს, ღონე გამოლეული, იატაკზე გაიშოტა. ქუთათელი შეკრეს და კონდახის ცემით გარეთ გამოათრიეს.

იმავე ღამეს შეიპყრეს გელათის მიტროპოლიტი ევთიმე. იმ დღეს გადაყვანილ კურნატოვსკის აცილებდენ, მიტროპოლიტი გელათიდან ჩამოსულიყო და მწვანეყვავილაში იდგა.

გენათელმა პოლკოვნიკს მაცხოვრის სიტყვებით მიმართა: „ვითარცა ავაზაკსა ზედა გამოხვედით მახვილით შეპყრობად ჩემდაო,“ და წინააღმდეგობა არ გაუწევია. შეიპყრეს აგრეთვე სეხნია წულუკიძე, მდივანბეგი დავით მიქელაძე, თ. ბეჟან წერეთელი, არქიმანდრიტი გრიგოლი და, ბოლოს, სოლომონ I-ის ქალიშვილი, ქაიხოსრო აბაშიძის მეუღლე — მო-

ხუცი დარეჯანი, თავის მცირეწლოვანი შვილიშვილით,

ტყვეებს გაფისული ტილოები ჩამოაცვეს, რომ არავის ეცნო, მხოლოდ სულის მოსათქმელი დაუტოვეს, ხელ-ფეხ შეკრულნი ურმებზე დაყარეს და ქოჩორას გზით რუსეთს გაგზავნეს. შეპყრობილებმა გზაში ხმით იცვნეს ერთმანეთი. ქუთათელი, ნაცემი და გალახული, გხაში გადაიცვალა და ანანურის საყდარში დაკრძალეს; პუზირევსკი კი სწერდა, საოფლემ მოკლაო. საქართველოს ჩრდილოეთ საზღვარს რომ მიაწიეს, გენათელმა დაიჩოქა და წარმოსთქვა: „ხახულის ღვთისმშობელო, ზურაბ წერეთლის საძმოს ნურას გაუშვებ ქვეყანაზეო.“

გენათელი ჯერ პეტერბურგს მიიყვანეს, შემდეგ სვირის მონასტერში (ოლონეცის გუბერნია) დაამწყვდიეს და იქვე გადაიცვალა 21 აპრ. 1822 წ.

დარეჯანი და მისი შვილიშვილი პენზის გუბერნიაში გაგზავნეს და სიცოცხლე გამწარებულ მოხუცებულს იქ დიდ სიღარიბეში ამოხდა სული.

იმ საბედისწერო ღამეს შეუპყრობელი დარჩათ ივანე აბაშიძე, სოლომონ I-ის შვილისშვილი, ძე ქაიხოსროსი. ივანე გურიას გაიქცა, ქაიხოსრო გურიელთან, და იქიდან ხელმძღვანელობდა აჯანყებას. გურიელი აჯანყებას არ თანაუგრძნობდა, მაგრამ ბოლოს ბრალი მაინც თავზე მოახვიეს.

პუზირევსკი მცირე რაზმით გურიისკენ გაეშურა. შემოქმედის ციხესთან რომ მივიდა, წინ შემოხვდა ერთი გურული, იოთამ ბოლქვაძე, რომელიც ქაიხოსროს გამოეგზავნა. — ხალხს რუსების მოსვლა შეატყობინე და გააფრთხილეო. პუზირევსკიმ

ბოლქვაძეს შესძახა: „სად არის ის ძაღლის შვილი ქაიხოსრო?“ ბოლქვაძემ პასუხათ ტყვია უთავაზა და პოლკოვნიკი იქვე დასცა. პუზირევსკის მხლებელი ყაზახი ბოლქვაძეს მივარდა, მაგრამ ბოლქვაძემ იგი ხმლით შუაზე გააპო.

პუზირევსკი რომ მოკლეს, მისი ადგილი პოლ-

კოვნიკ ზგორელსკიმ დაიჭირა. ის მაშინვე გურიას შეესია. გურულებმა ის სასტიკათ დაამარცხეს, მისი რაზმიდან მხოლოდ 3 კაცი გადარჩა მოამბეთ. გურულები ამას შემდეგ ოდიშს გადავიდენ; ტალღამ გადმოხეთქა და ქუთაისშიაც მეამბოხეები იკრიბებოდენ.

ერმოლოვი დარწმუნდა, რომ ხუმრობა აღარ იყო, იმერეთის მმართველად გორჩაკოვი დანიშნა და თვით ველიამინოვიც გამოგზავნა დიდი უფლებებით აღჭურვილი. გორჩაკოვი რომ სამეგრელოში იყო, ამბოხებამ რაჭაში ამოჰყო თავი. მოძრაობამ მთელი დასავლეთ საქართველო მოიცვა და ველიამინოვს დიდი მაცადინობა დასჭირდა, სანამ ქვეყანას დააწყნარებდა.

კათალიკოზის გადაყენებისა და იმერეთის მიტროპოლიტების განდევნის შემდეგ საქართველოს საეკლესიო უძრავი მამული 140 მილიონ მანეთად ღირებული, სახაზინოთ შეირიცხა. ამ მამულის შემოსავლით საქართველოში გახსნეს (1817 წ.) მხოლოდ ერთი სასულიერო სემინარია და ოთხიც სასულ. სასწავლებელი.

ქართული ეკლესია-მონასტრები, გულშემატკივარ მზრუნველს მოკლებული, მოუვლელათ დარჩა და უმთავრეს მათგანს — სვეტიცხოვლის საპატრიარქო ტაძარში უკვე დიდი ხანია წვიმა ჩამოდის.

ძველი და ახალი

საქართველო რუსეთს შეუკავშირდა თავისი ფრიად განვითარებულის საზოგადოებრივი ცხოვრებით, ათასწლოვანი ისტორიით, კულტურით, ზნე-ჩვეულებით, საერო და სასულიერო იერარქიით და ყოველ მხრივ გამორკვეული სახით. რა ვუყოთ, რომ ეს ცხოვრება ფრიად ჩამორჩენილი იყო ევროპის ცხოვრებაზე, ამას თავისი საპატიო მიზეზები ჰქონდა და ერეკლესთვის რომ გარემოებას ხელი არ შეეშალა, აკი ყოველ ღონეს ხმარობდა, რომ ჩვენი ცხოვრებაც ევროპიულათ მოყობილიყო. განახლებისა და ახალ გზაზე დადგომის საჭიროებას ყველა გრძნობდა და რომ გარემოებასაც ხელი შეეწყო, საქართველოს ცხოვრებაც სულ სხვა გზით წარემართებოდა.

საქართველოს უმაღლესი გამგე იყო მეფე. მეფის უფლება საქართველოში თვითმპყრობელობის უფლებამდი, როგორც ეს დღეს გვესმის, არაოდეს არ ასულა. ჯერ თვით თამარ მეფემ ბევრი რამ დაუთმო ერის წარმომადგენელთა სურვილს. მეფე ხალხთან იყო და ხალხი მეფესთან; ქვეყნის ჭირსა და ლხინს ის პირველი მიეგებებოდა, „მოყმეთა თვის-

თა“ არაოდეს უკან არ ჩამოუდგებოდა და მათთან ერთად იბრძოდა, ვითარცა ტოლი ტოლთან. მეფე „აღდგის ღამე, მოვლის ქალაქი და მოიხილნის გლა-ხაკნი და დავრდომილნი და ობოლნი და თვისითა ხელით მისცემდის ყოველთა.“ („ქართლ. ცხოვრ.“)

და „არაოდეს არ ყოფილა ერთაგან დაშორე-ბული, ვითარცა ტყვე ვეზირთა ხელთა შინა, რო-მელთა უწოდებენ მინისტრებად.“

სამართალი მეფისა იყო მარტივი, სადა და სწრა-ფი. მომჩივანი თავის საჩივარს მოახსენებდა მდივან-ბეგს, ან თვით მეფეს, საქმე სწრაფად გაირჩეოდა, დაიწერებოდა და რომელიმე მოხელეს მიანდობდენ სისრულეში მოსაყვანათ. მეფესთან არსებობდა აგრეთ-ვე უმაღლესი საბჭო, რომელიც უმაღლეს სამსა-ჯულო, საფინანსო და საადმინისტრაციო დაწესებუ-ლებას წარმოადგენდა.

საეკლესიო საქმეებს განაგებდა კათალიკოზი მიტროპოლიტებისა და ეპისკოპოზების შემწეობით. განსაკუთრებული შემთხვევის გამო იკრიბებოდა ად-გილობრივი საეკლესიო კრება, რომელიც, საჭირო-ების მიხედვით, განმარტავდა საეკლესიო წესებს, შე-ეხებოდა ზნეობრივ საკითხებს და სხვ.

სამხედრო მხრით საქართველო დაყოფილი იყო ექვს სასარდლოთ, სარდლები ომიანობის დროს ჯარს შეკრებდენ და მეფის წინამძღოლობით გაილა-შქრებდენ.

მცხოვრებთა ოთხ მეხუთედს ქართველობა შე-ადგენდა. ერთ მეხუთედს — სომხობა, თათრები ცალ-კე რაზმს ადგენდენ და ომის დროს ქართველებზე არა ნაკლებ ერთგულობას იჩენდენ.

1783 წლიდან 1801 წლამდი, — ესე იგი, ხელ-შეკრულობიდან შეერთებამდი, ქართველების რიცხვი თითქმის განახევრდა; შეერთებიდან კი ეს მოვლენა ასე თვალსაჩინოთ აღარა სჩანს, — ეგაა, რომ მკვიდრთა ზნე-ჩვეულება, კულტურა და ისტორია, ენა, სამარ-თალი და საეკლესიო ცხოვრება უეცრათ არტახებით შებოჭილი აღმოჩნდა. საუკუნეთა განმავლობაში შე-ქმნილ თავისებურ ცხოვრებას ერთი კალმის მოსმით

დაუპირეს ახალ კალაპოტში ჩაყენება, — შეუფერებ-ლათ, შეუსწავლელათ და გაუსინჯველათ! და სადაც ბრძანებამ არ გასჭრა, იქ სამხედრო ზომები მიიღეს.

დარიელას უღელტეხილი ერთად-ერთი ყელი იყო, საიდანაც შეიძლებოდა საქართველოში შემო-

სვლა. ამ გზას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა და საქართველოს მეფეებიც ყოველთვის დიდ ყურადღებას აქცევდენ: ვისაც დარიელა ეპყრა, მთელი ამიერ-კავკასიის კლიტეც მის ხელთ იყო.

რუსის ჯარი საქართველოში სწორეთ ამ გზით შემოვიდა. საშინელება რამეს წარმოადგენდა ეს გზა და მისი კეთებაც სწორეთ ქართველებს დააკისრეს. საურმო ბეგარამ ხალხს სული ამოართვა, — საქართველოში ყოველდღე 112 ათასი ურემი და 100,000 ცხენი იყო გაწვეული. დიდ უბედურებათ მოევლინა ხალხს მხედრობაც. — თავაშვებული სალდათები და აფიცრები ათასგვარ შეურაცხებასა და შავ დღეს აყენებდენ: აოხრებდენ ბაღებს, ვენახებს, ხდიდენ ქვევრებს და, რასაც ვერ ამოსცლიდენ, მიწითა და ნაგვით აავსებდენ. ხალხს გული უკვდებოდა, თავის ნაოფლარ-ნაჭირნახულევის ასეთ გაოხრებას რომ ხედავდა. ჯოჯოხეთად და ჭირათ მოედვა ქვეყანას ჯარის შენახვაც: ომის და ჯარის მოძრაობის დროს ყოველი მოსახლე ვალებული იყო რამდენიმე ჯარის კაცი შეენახა. ამან ააფორიაქა და გააუპატიურა ოჯახის კერა და ხალხს ხელში იარაღი ააღებია. კაპიტან-ისპრავნიკების თარეშმა და კოვალენსკის მიერ შემოღებულმა „ფორმალურმა სასამართლომ“ ხალხის მოთმინების ფიალა ხომ სულ ამოსწურა!

განწირულ ქვეყანას ჭირი-ჭირზე დაერთო, როცა 1811—12 წ. წ. საქართველოში დიდი შიმში-

ლობა ჩამოვარდა: „წელსა ამას (1812) იქმნა სიყმილი და ოდეს არღარა აქვნდათ პური მცხოვრებთა, ნაცვლად პურისა, ევედრებოდენ მცხოვრებნი, რათა მიიღონ დედა-წულნი მათნი, მაშინ ტირანმა მარკიზმა (პტულუჩი) ჩაუყენა ყოველსა სოფელსა ეგზეკუცია — და იყო ჭირვება და ვალალება ერთა ზედა“, სწერს დავით ბატონიშვილი. — საქმე ისაა, რომ ჯარის საკვებ სურსათს ძალდატანებით ართმევდენ ხალხს ან სულ უფასოთ, ან ძლიერ მცირე ფასათ. შიმშილობის დროს ხალხი ბალახითა და ხილით იკვებებოდა და ჯარისთვის პური ვისღა ჰქონდა?! დამშეულ ხალხს ეგზეკუციით უპასუხეს, კაპიტან-ისპრავნიკები, სასურსათო საქმის მოხელეები და მშიერი სალდათები ქვეყანას გამანადგურებელ კალიასავით მოედვენ და გამკითხავი აღარავინ იყო. მაშინ თვით ხალხმა გაიკითხა თავის თავი. 1804 წელს მთიულეთში და 1812 წ. კახეთში მოხდა დიდი ამბოხება. გამწარებულმა ხალხმა იარაღს მიმართა და სამართალი იმას მოსთხოვა. მთა და ბარი ამბოხების ცეცხლმა მოიცვა — და ამ ცეცხლის ჩასაქრობათ ჯარსა და მის უფ-

როსებს დიდი ენერგია და მსხვერპლი დასჭირდათ

გამოძიებამ ბოლოს ხალხის სიმართლე დაამტკიცა, მაგრამ ახალი ქვეყნის მართვა-გამგეობაში პირველი, შეცთომით და წინდაუხედავათ, გადადგმული ნაბიჯი შემდეგშიაც ძნელი გასასწორებელი შეიქნა.

საქართველოს მთავარმართებლები

კარლო კნორინგი. ალექსანდრე I-მა რომ მანიფესტი გამოსცა, საქართველოს გამგებლათ კ. კნორინგი დანიშნა. ამ კაცმა თავი იმითი იჩინა, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის მოსპობა დიდის ზეიმით გა-

მოაცხადა თფილისში — 1802 წ. 8 მაისს. ამავე დღეს თავის ბინაზე მიიწვია საქართველოს წარჩინებული პირები და სადილი გაუმართა; სადგომს კი იდუმალ ჯარი შემოარტყა. წვეულები აიმრიზენ, რუსები ჩვენ თვითონ მოვიწვიეთო — და მტრები ხომ არა ვართ, რომ ჯარი შემოგვარტყესო! ზოგმა ამათგანმა რუსეთის ერთგულებაზე ფიცის მიღების უარიც კი განაცხადა. კნორინგმა ამათ სატუსაღოში უკრა თავი. ამ გარემოებამ ქვეყანა ააშფოთა, მით უმეტეს, რომ დამოუკიდებლობის მოსპობას არავინ მოელოდა. ქვრივი დედოფლები და ბატონიშვილები აჯანყების ცეცხლს აღვივებდენ. კნორინგს თავ-გზა აებნა და „დროებით“ საქართველოდან წავიდა.

კოვალენსკი ჯერ გიორგი XII-ის კარზე იყო, როგორც უფლებამოსილი წარმომადგენელი რუსეთისა. თავისებური ზრდილობის კაცი იყო — და ერთხელ მარიამ დედოფალთან რომ შევიდა საქმეების გამო, არაყი მოითხოვა და იქვე გადაჰკრა.

კოვალენსკი ყველგან ეჩრებოდა იქაც კი, სადაც მას არაფერი გაეგებოდა, მაგ., სამხედრო საქმეებში, და გენ. ლაზარევს სულს უმწარებდა. ყველას უნდობლათ ეპყრობოდა და თვით იმპერატორისაგან დაჯილდოებული გარსევან ჭავჭავაძეც არ დაინდო; სხვა და სხვა უმაღლესი შემოსავლიანი ადგილები თავისიანებს დაურიგა და საპატიო, გამოცდილი ქართველები განდევნა, თვითონ კი, იმის მაგიერათ, რომ სამსახური შეესრულებია, აღებ-მიცემა გააჩაღა და მატყლის ვაჭრობა დაიწყო, — რაც საქართველოში მატყლი იყო, შეისყიდა — და ხაზინას მიყიდა, რასაკვირველია, მოგებით. ქრთამსაც არ უარყოფდა და საქართველოდან თავის სამშობლოში (პოლ-

ტავის გუბერნია) აუარებელი თვალ-მარგალიტი გაზიდა. ყოველსავე ამას ზედ დაერთო მის მიერ საქართველოში შემოღებული „ფორმალური სასამართლო". ქართველ კაცს საჩივარი რუსულათ დაწერილი უნდა წაედგინა და თან ზეპირათაც ჩაებულბულებია; თუ სადმე ერთი სიტყვა შეეშლებოდა — საჩივრის უფლებას კარგავდა და საქმეც ისპობოდა. ამის გამო ქვეყანა უსამართლობით აივსო, ყველგან მათრახი, შევიწროება და გაუპატიურება გამეფდა და, ვინ იცის, კოვალენსკი კიდევ რაებს ჩაიდენდა, რომ ციციშვილს არ მოესწრო და მისთვის ფრთები არ შეეკვეცა.

პავლე დიმ. ციციშვილი. პაატა ციციშვილი, მთავარმართებლის ბაბუა, მეფე ვახტანგს გაჰყვა რუსეთს. პავლე დიმიტრის ძე მოსკოვში დაიბადა და ჩინებული განათლებაც მიიღო სამხედრო სასწავლებელში. იცოდა ფრანგული ამ ენიდან სთარგმნიდა კიდეც და ხან ლექსებსაც კი სწერდა. თ-დი პავლე თავიდანვე სამხედრო სამსახურში იყო და ოსმალეთთან ომის დროს დიდი სახელიც გაითქვა (1787 წ.) ეკატერინე დედოფალი მას „თავის გენერალს" უწოდებდა და რუსის გამოჩენილი სარდალი სუვოროვი ჯარს ყოველთვის ასე მიმართავდა: იბრძოლეთ ისე, როგორც იბრძვის მამაცი ციციშვილიო". 1794 წ. პოლონეთის აჯანყება ციციშვილმა მოინელა და სასტიკათაც დასაჯა დამარცხებულნი (1802 წ. 1 სეკტ.) ეს ჭეშმარიტი რუსის მოხელე და იშვიათი მხნეობის პატრონი საქართველოს მთავარმართებლად დაინიშნა.

ციციშვილმა მაშინვე თავიდან მოიშორა კოვალენსკი და მისი მსგავსი მოხელეები, მოსპო აგრეთვე კოვალენსკის მიერ შემოღებული „სასა-

მართლო". მაგრამ მას სამოქალაქო საქმეებში იმდენი კვალი არ დაუმჩნევია, რადგანაც მუდამ ომებში იყო გართული. რუსეთის სკიპტრას ქვეშ საქართველოს გაერთიანებასა და მისი ძველი საზღვრების აღდგენას ცთილობდა და ხან სოლომონ II-ს ებრძოდა, ხან მთავრებს თავზე ხელს უსვამდა. ერევნისა და ბაქოს ხანებს მრისხანებით სავსე წერილებსა სწერდა და თვით სპარსეთის შაჰსაც კი ემუქრებოდა. თქმა და ქმნა ერთი იცოდა და ჩვეულებრივ თავაზიანობას და სალამ-ქალამს მაგრე რიგათ არ იმეტებდა.

ერევნის ასაღებათ რომ გაეშურა, ერევნის ხანმა სომხები აჰყარა, რადგან მათი ღალატისა ეშინოდა, და ყარსისკენ უყო პირი. ციციშვილმა მათ მათივე არქიმანდრიტი გაუგზავნა, აქით მობრძანდითო, და ეს ამოდენა ხალხი თფილისში დაასახლა. სომხის

2000 ოჯახმა დღევანდელი ავლაბარი და მისი უბ-
ნები დაიჭირა.

1806 წ. თებერვალში ციციშვილი თავის ჯა-
რით ბაქოს შემოერტყა და აღებას უპირებდა. ბაქოს
ხანმა-ჰუსეინ-ყულიმ, რომელსაც ციციშვილი ადრე-
ვე იცნობდა, შემოუთვალა, ბრძოლა შესწყვიტე და
ქალაქს უომრათ ჩაგაბარებო. ხანმა ციციშვილი ცი-
ხეში შეიტყუა, აქ მას დამბაჩა ჰკრეს და იქვე დას-
ცეს; მისი თავი კი სპარსეთის შაჰს მიართვეს.

გუდოვიჩი. ციციშვილს შემდეგ გაამწეს გრაფი
გუდოვიჩი (1806 — 9 წ.)ახალი წყობილებისაგან შე-
ქმნილი უკმაყოფილება თანდათან იზრდებოდა, ღელ-
ვისა და შფოთის დრო იყო. ნამეტურ შავი დღე
დააყენა ხალხს გაჭიანურებულმა უცხო სამართალმა.
შეწუხებული ქართველობა თხოვნას თხოვნაზე აგ-

ზავნიდა უმაღლესი მთავრობის სახელზე, რომ სა-
მართალი საქართველოში ადგილობრივი ზნე ჩვეუ-
ლების მიხედვით ეწარმოებიათ. ამ თხოვნებს ყოველ-
თვის მთავარმართებელს უგზავნიდენ და ეს კი უყუ-
რადღებოთ სტოვებდა. ჯერ კიდევ ციციშვილი ამ-
ბობდა: „კანონი ხალხის ზნე-ჩვეულების მიხედვით
უნდა მოიხაროსო.“ მთავრობაც ბოლოს და ბოლოს
იძულებული გახდა დაეთმო და გუდოვიჩს უბრძანეს,
მეფე ვახტანგის სამართლის თარგმანი წარმოადგინეო.

ტორმასოვი. (1809 — 11 წ.) რადგანაც ღელვა
და შფოთი უფრო და უფრო იზრდებოდა, ტორმა-
სოვმაც უფრო ენერგიულ ზომებს მიმართა. მან, სხვა-
თა შორის, საქართველოს ეკლესიაზედაც მიიტანა
იერიში და იმის დროს კათალიკოზი ანტონ II რუ-
სეთს გადაასახლეს. საქართველოს ეკლესიის დამოუ-
კიდებლობა გაუქმდა და ამიერიდან ერის მიერ არ-
ჩეული კათალიკოზის ადგილი სინოდის ეგზარხოსმა
დაიჭირა. ტორმასოვის დროსვე მეფე სოლომონ II
იმერეთიდან განივლტო და ეს სამეფოც რუსეთს შე-
უერთდა.

მარკიზ პაულუჩი (1811—12 წ.) ტორმასოვის
ადგილი პაულუჩმა დაიჭირა, „კაცმა ელამმა ვითარ-
ცა თვალითა, აგრეთვე სულითა.“ მარკიზი ტომით
იტალიელი იყო. ის ერთხანს სარევოლუციო ომე-
ბში იღებდა მონაწილეობას და ნაპოლეონს შველო
და, შემდეგ რუსეთს მოაშურა და აქ ისე დაწინაურდა,
რომ საქართველოს მთავარმართებლობა მისცეს. იმის
შფოთმა და არეულობამ საქართველოში კიდევ
უფრო იმატა და ეს შფოთი კახეთის ამბოხებით და-
გვირგვინდა. უანგარო იყო, მაგრამ ახალი უფროსე-
ბისაგან ბოძებულ იარაღს მარჯვეთ ხმარობდა და

ეგზეკუცია მის დროს ჩვეულებრივ მოვლენათ გადა-
იქცა. კახეთის ამბოხების დროს სასტიკი ზომების მი-
ღებით ამან სამართლიანათ დაიმსახურა სახელი „ტი-
რანისა“ (დავით ბატონიშვილი.) ვინ იცის, ეს კა-
ცი, რომ დასცლოდა, როგორ დაასრულებდა თავის
მოღვაწეობას, მთავარმართებლად მხოლოდ ერთ წე-
ლიწადს იყო. მისი სავარძელი გენ. რტიშჩევს უბოძეს.

რტიშჩევი (1812 — 16 წ.) ნაპოლენი ევროპას
მუსრს ავლებდა, საუკუნოებით განმტკიცებული ტახ-
ტები ნაფოტივით იმსხვრეოდა, გვირგვინოსნები პან-
ტასავით ცვივოდენ ძირს, მოსკოვს ნატისუსალი ას-
დიოდა და მთელი რუსეთის ძალ-ღონე ამ საშინელი
კაცის წინააღმდეგ იყო მიმართული. თავი იმსხვრე-
ოდა და ფეხებს ვინღა სჩიოდა! საქართველოსთვის
აღარავის ეცალა და პეტერბურგში რტიჩევის მოხსე-
ნებებსაც ხშირათ უყურადღებოთ სტოვებდენ. კახე-
თის ამბები მხოლოდ ნაღვერდალში შეხვეული ნა-
კვერცხალი აღმოჩნდა. ტახტის მაძიებელი ალექსან-
დრე ბატონიშვილი მთასა და ბარში დაჰქროდა და რომ
გამოცთილი გენერლები არა ჰყოლოდათ, მთავრობას
საქმე მეტათ ცუდათ წაუვიდოდა. ყოვლად შეუფერე-
ბელი მართვაგამგეობისა და გარყვნილი მოხელეების
საქციელის გამო კახელებმა „ფიცი“ გასტეხეს და ია-
რაღს ხელი წაავლეს. რასაკვირველია, მთავრობის
გაწრთვნილ ჯარსა და ზარბაზნებს კახელები საბო-
ლოოთ ვერ გაუმაგრდებოდენ და რტიშჩევმაც საში-
ნელი შურისძიებით მიუზღო მათ მაგიერი. იმის
ნაცვლად, რომ საქმე გამოეკვლიათ და ნამდვილი მი-
ზეზი აღმოეჩინათ, აუსვეს ხელი სრულიად უდა-
ნაშაულო ხალხს ციმბირსა და სახჩობელაში უკრეს
თავი. — ეგზეკუცია, მათრახი, სამხედრო სასამართლო,

ციმბირი და მისთანანი, — აი, რა დატრიალდა ტან-
ჯულ საქართველოში რტიშჩევის დროს. საქმე ისე
წავიდა, რომ საცოდავი გენერალი ბოლოს და ბო-
ლოს მარტოთმარტო დარჩა, ხალხში სანდო და ერ-
თგული აღარავინა ჰყავდა. ასეთი ხალხი კი აუცი-
ლებლათ საჭირო იყო. რტიშჩევმაც არც აცივა, არც
აცხელა — ნდობის მოწმობა სომხებს უბოძა და
მათთვის უმაღლესი მადლობაც გამოითხოვა: „დიდი
ერთგულება გაგვიწიეს, მეამბოხეთა შესახებ საიდუმ-
ლოთ ცნობები მოქონდათ და მადლობის ღირსნი
არიანო.“ მართალია, სომხების უდიდესი ნაწილი
მთავრობას ქომაგობდა, მაგრამ ერთი ნაწილი მაინც

ალექსანდრე ბატონიშვილს უჭერდა მხარს.

უმაღლესი მადლობის ღრამატა ებოძა სომხის ერს 15 სეკტ. 1813 წ. რტიშჩევმა სომხებს მიულოცა, სიტყვა უთხრა და ღრამატა გადასცა. სომხებმა ეს ღრამატა ზარების რეკითა და დიდის ზეიმით ვანქის ტაძარში გადაასვენესი და მაშინ, როდესაც მშვენიერი კახეთი, ზარბაზნების ცეცხლსა და კვამლში იყო გახვეული, სომხის უბანი თფილისში სადღესასწაულოთ იყო გაჩირაღდნებული.

ერმოლოვი. ერმოლოვი რკინის ხასიათის კაცი იყო და ამ მხრით ციციშვილს გავდა. რუსეთის მოწინავე საზოგადოებას ერმოლოვი პროგრესიული მიმართულების კაცათ მიაჩნდა-და ერთ დროს რუსეთის რევოლუციონერები მასზე დიდ იმედს ამყარებდენ. ეს „პროგრესისტი“ ჩვენს ქვეყანას მთავარმართებლათ მოევლინა. იმის დროს ეგზარხოსის თეოფილაკტე რუსანოვის მაცადინობით გაუქმდა დასავლ. საქართველოში სამიტროპოლიტო კათედრები და საეკლესიო მამული სახაზინოთ შეირიცხა. ერმოლოვმა აგრეთვე ყურად-

ღება მიაქცია თავისუფალ ადგილებს და საქართველოს არე-მარეზე დიდძალი უცხოელი — გერმანელები და სომხობა-დაასახლა.

პასკევიჩი. ამის წყალობით ადგილობრივ დაწესებულებებში რუსული ელემენტი მეტათ გაძლიერდა. მისვე დროს ყარსისა და აზრუმის საფაშოდან საქართველოში გადმოსახლდა 20,000 სული სომეხი. მთავრობამ მათთვის საახალშენო კომიტეტი დაარსა და თავისუფალი ადგილები დაურიგა.

გოლოვინისა და ნეიდგარის მართვა-გამგეობაში იგივე არევ-დარევა და უსისტემობა სუფევდა.

ბარონი როზენი გაამწესეს 1831 წ. უკმაყოფილებისა და ამბოხების ცეცხლი საქართველოს კერაზე ჩუმათ ღვივოდა. დამოუკიდებელი, თავისუფალი ცხოვრების აღდგენა ჩვენი ერის შეგნებულმა ნაწილმა მიზნათ დაისახა. მიზნის მისაღწევათ 1829 წელს დაარსდა ფარული საზოგადოება, რომელსაც აჯანყება უნდა მოეწყო და რუსეთის მონობისაგან ჩვენი სამშობლო გაეთავისუფლებია. საზოგადოების მეთაურები იყვნენ ბატონიშვილები დიმიტრი იულონის ძე, და ოქროპირ გიორგის ძე. ამათ მიემხრენ ალ. ორბელიანი, ელიზბარ ერისთავი, სოლომონ დოდაშვილი და სხვ. საზოგადოების წესდება დასწერა ბერმა ფილადელფოს კიკნაძემ. 1832 წ. ამ ფარულმა წრემ თავისი აზრების გასავრცელებლად სოლომონ დოდაშვილის რედაკტორობით გაზეთიც გამოსცა. ამავე წლის ნოემბერში თავ.-აზნაურთა კრებაზე უნდა გაე-

მართათ ნადიმი, მიეწვიათ რუსის მოხელენი და გაე-
ჟლიტათ. შემდეგ დარეოდენ, ხელში ჩაეგდოთ და-
წესებულებანი, დაეფიცებიათ ხალხი და გამოეცხადე-
ბიათ საქართველოს თავისუფლება. ერთმა შეთქმულ-

თაგანმა ამხნაგები გასცა და საქმეც წახდა. მთავრო-
ბამ სასტიკი გამოძიების შემდეგ შეთქმულნი სამშობ-
ლოდან გაძევებით დასაჯა. დასჯილთა შორის იყვნენ
ქართველი მწერლობის საუკეთესო წარმომადგენელ-
ნი XIX საუკ. გრ. ორბელიანი, ვახტანგ ორბელი-
ანი, ალექსანდრე ჭავჭავაძე, დრამატურგი გიორგი
ერისთავი, დიმიტრი ყიფიანი და სხვანი.

ვორონცოვი ჩვენში კულტურულ მუშაობას აწარ-
მოებდა. იმის დროს გაკეთდა ახალი გზები, დაარს-
და გიმნაზიები, წმ. ნინოს ქალთა სასწავლებლები,
სახელოსნო და სახალხო შკოლები, კავკასიის სამო-
სწავლო ოლქი და სხვა. მის დროსვე ფეხი მოიდგა
ქართულმა თეატრმა, გ. ერისთავის რედაკტორობით.
გამოვიდა ჟურნ. „ცისკარი.“ ყოველსავე ამას ვო-
რონცოვი მფარველობას უწევდა და ქართულ თე-
ატრს ხაზინიდან შემწეობასაც კი აძლევდა. ეგაა,
რომ მისვე დროს ქართულად მოანგარიშე თ. აზნაუ-
რობა ევროპიული საღამოების გამართვასა და დროს
ტარებას შეეჩვია და საქართველოს მამულების უაზ-
რო ფლანგვის პროცესს საფუძველი ჩაეყარა.

მურავიოვი. მურავიოვი მხოლოდ წელიწად-ნახე-
ვარს იყო ჩვენში და შესამჩნევი არაფერი გაუკეთე-
ბია. იმის დროს აიღეს ყარსის ციხე.

ბარიათინსკი. თ-მა ბარიათინსკიმ საქართველოს
მამულების საქმეს ყურადღება მიაქცია და თფილის-
ში დააარსა გამმიჯვნელი პალატა. ამ დაწესებულე-
ბამ საქართველოს ტერიტორიის მთლიანობას დიდი
ზარალი მიაყენა და სახაზინო მიწა გაჩნდა იქ, სა-
დაც ოდითგანვე ქართველი გლეხის ოფლი და სის-
ხლი უხვათ იღვრებოდა. ბარიათინსკის დროსვე და-

სრულდა „კავკასიის ომი“, რომელსაც რუსეთმა და
საქართველომ აუარებელი მსხვერპლი შესწირეს.

ამაყი მთა, მედიდურათ მაღლიდან გადმომცქი-
რალი, თავისუფლების და დამოუკიდებლობის მაღ-
მერთებელი, რუსეთის წინაშე ქედს არ იხრიდა და
ხიშტების ჩხარა-ჩხურს, გინდ ზარბაზნების ჭექას მაგ-
რე რიგათ არ უფრთხოდა. ხანგრძლივსა და შეუპო-
ვარ ომს შემდეგ დაღესტნის უკანასკნელმა მფლო-
ბელმა, შამილმა, იარაღი დაჰყარა, რაკი მებრძოლ-

ნი შემოეცალენ, და ბარიათინსკის წინაშე წარსდგა. შამილი ჯერ პეტერბურგს გაგზავნეს. შემდეგ ნება დართეს და მექას (მაჰმადიანთა წმინდა ქალაქია) მოსალოცავად წავიდა. ეს დაუღალავი მებრძოლი და თავის მთა-კლდოვანი სამშობლოსათვის მაშვრალი გმირი ქალაქ მედინაში გარდაიცვალა 1871 წელს.

დიდი მთავარი ნიკოლოზი. 1861 წ. 19 თებერვალს რუსეთში ბატონყმობის გაუქმება გამოცხადდა. აღმოსავლეთ საქართველოს გლეხებს ეს ბედნიერება მხოლოდ 1864 წ. გამოუცხადეს, დასავლეთ საქართველოში კი — 1866 წ. საერთო პროგრესულ-კულტურულმა მოძრაობამ ჩვენშიაც შემოანათა და აქ ქართველ მამულიშვილთა მეცადინეობით და დაუღალავი შრომით მრავალი კულტურულ-განმათლებელი დაწესებულება გაიხსნა.

მთავრის დროსვე ქიზიყში მოხდა დიდი ამბოხება (1878 წ.) რაიცა ახალმა საურმო ბეგარამ გამოიწვია. მაზრის უფროსს — გრაფ ტიზენჰაუზენს, რომელსაც მინდობილი ჰქონდა ამ საქმის განხორციელება, გაბრაზებული ხალხი დახვდა ანაგის ხეობაში და სეტყვასავით დაუშინა ქვები. განსაკუთრებით თავი ისახელეს დედაკაცებმა; ესენი მამაკაცებს წინ

მიუძღოდენ და მათ მთავრობის წინააღმდეგ აქეზებდენ. თავისუფლების მოყვარულ ქიზიყელებს ეს საქმე ძვირათ დაუჯდათ: 9 კაცსა და 2 ქალს თითოს 45 წლის კატორღა გადაუწყვიტეს.

დონდუკოვი-კორსაკოვი. ამის დროს თფილისის სასულიერო სემინარიის რექტორის — ჩუდეცკის მოკვლისათვის ეგზარხოსმა პავლემ მთელი საქართველო შეაჩვენა. სამშობლოს გამოსარჩლებისათვის გამოჩენილი პატრიოტი დიმიტრი ყიფიანი ჩრდილო-კავკასიაში გადაასახლეს და იქ ჭაღარამოსილ მოხუცს რაღაც ჩლუნგი იარაღით ტვინი დაათხევიეს (1888 წ.)

გოლიცინი. ამან სომხის ეკლესიას ჩამოართვა მამული და სახაზინოდ შერაცხა. სომხის რევოლიუციონერები თავს დაესხენ მას სეირნობის დროს და ხანჯლის წვერით მცირეოდნათ გაჰკენწლეს.

ვორონცოვ-დაშკოვი კავკასიის ერთა შორის შუღლსა და მტრობას უხვად სთესდა. მანჯურიის ველზე პატარა იაპონიამ დიდი რუსეთი დაამარცხა და რუსეთში რევოლიუციამ იფეთქა (1905 წ.) საქართველო რევოლიუციის მოწინავე რიგში ჩადგა. ამასობაში გრაფის ცფიერებამ გამოჟონა და თფილისი და მისი მიდამოები სომეხთ-თათართა შორის ატეხილი ხოცვა ჟლეტის ასპარეზად გადაიქცა. საქართველოს დედაქალაქში ორი გარეშე ხალიხი ერთმანეთს დაეტაკა.

ქართველობამ შუამავლობა იკისრა. გრაფს ეგონა, ამათაც ჩავითრევთ, და ქართულ რევოლიუციონურ პარტიას იარაღი დაურიგა, მაგრამ მწარეთ მოსტყუვდა. ქართველობა ფხიზლათ იყო და საერთო ინტერესებს სდარაჯობდა. მაგრამ როგორც კი რუსის მთავრობამ წელი მოიმაგრა, გრაფმა ჩვენს ქვეყანას მა-

შინვე შემოუსია გენერალი ალიხანოვ-ავარიელი, (1906 წ.), რომელმაც მთელი დასავლეთ-საქართველო ცეცხლსა და ალში გაჰხვია. დადგა საშინელი დრო: ჩხრეკა, დევნა, კატორღა, სახჩობელა და დახვრეტა ჩვეულებრივ მოვლენათ იქცა. ქვეყანა საშინელებამ მოიცვა და დროებით ყველა მიყუჩდა. გაზეთი გაზეთზე იხურებოდა, მოწინავე და მებრძოლი ქართველობა სამშობლოდან ივლტოდა და საზღვარგარეთ იხიზნებოდა. უკიდურესი რეაქციის დროს გრაფი და მისი მეუღლე სომხის შეძლებულ კლასს მფარველობდენ; საქართველოს შუაგულში კი ოცი სოფლის აყრა და ზედ სამხედრო პოლიგონის მოწყობა გადასწყვიტეს.

არც ერთი დაპირება, მაგ., ერობის შესახებ, გრაფს არ შეუსრულებია; საქართველოს მიწა-წყალზე კი რუსების გადმოსახლების საქმე მის ხელში ფართოდ მოეწყო.

დიდმა მსოფლიო ომმა გრაფის პლანები სრულიად ჩაშალა.

ნიკოლოზ ნიკ.-ძე რომანოვი რუსის მთავრობის უკანასკნელი წარმომადგენელი იყო საქართველოში. მსოფლიო ომმა და რუსეთის რევოლიუციამ, მას, თავის მომავლინებელთან ერთად, ქვეყნის მართვა-გამგეობის საქმე ჩამოართვა და ხალხის წარმომაგენლებს გადასცა.

საქართველოს ტანჯულ სხეულს თითო-ოროლა ყველამ უგმირა, მაგრამ ბოროტ საწადელს ვერ მიაღწიეს და „ძვალი მისი ვერ შემუსრეს”

დ ა მ ა ტ ე ბ ა

მთელის მე-XIX საუკუნის განმავლობაში ქართველ მამულიშვილთა უდიდესი მისწრაფება საქართველოს პოლიტიკური თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის აღდგენა იყო, —

„რათა ივერი აღსდგეს ძლიერი

და დადგეს ერად სხვა ერთა შორის” (გრ. ორბ.)

ამას უგალობდენ ენამზიური გრიგ. და ვახტანგ ორბელიანები, „ტიტანიური სულისკვეთების” მქონე ნიკ. ბარათაშვილი, დიდი ილია ჭავჭავაძე, შარავანდედმოსილი აკაკი წერეთელი, საქართველოს მთების შვილნი — ვაჟა და ყაზბეგი...

ქართველი ერის დიდს ისტორიულ წარსულს და მის კულტურულ ღირებულობას იკვლევდენ პლ. იოსელიანი, დიმიტრი ბაქრაძე, თევდორე ჟორდანია, პროფეს. ალ. ცაგარელი, დავით ჩუბინაშვილი, ალ. ხახანაშვილი, ენათმეცნიერი ნ. მარი, ივ. ჯავახიშვილი, ევთ. თაყაიშვილი, მოსე ჯანაშვილი და სხვანი.

საქართველოს თავისუფლებისათვის იბრძოდენ და მისი განხორციელების ნიადაგს ამზადებდენ პირველხარისხოვანი მწერალ-პუბლიცისტები: ილ. ჭავჭავაძე, არჩილ ჯორჯაძე, მიხეილ წერეთელი, ნოე ჟორდანია და სხვანი.

დამოუკიდებლობის იდეისა და ეროვნული თვითშეგნების გასაღრმავებლათ დაარსდენ პოლიტიკური პარტიები, ყოველდღიური პრესა, სახალხო უნივერსიტეტი თეატრი.

საქართველოს ეკლესიასაც აღმოუჩდენ მნათობნი და ჭირისუფალნი: სულმნათი ეპისკ. გაბრიელი,

დეკ. დავ. ღამბაშიძე, რუსის მთავრობისაგან დევნილი მღვდელმთავრები — კირიონი, ლეონიდი.

1914 წ. დაწყებულმა უდიდესმა ომმა მთელი მსოფლიო შეარყია. საქართველო ამ ომში თვისდა უნებურად ჩაერია, როგორც რუსეთის ნაწილი. ქართველობა მედგრად იბრძოდა შორეული გერმანეთის, ავსტრო-უნგრეთის, ბულგარეთის და მეზობელი ოსმალეთის საზღვრებზე. ამ ომში საქართველომ დიდი მსხვერპლი გაიღო, მაგრამ ამ ომმავე ჩვენს ქვეყანას დიდ ბედნიერებაც მოუტანა: რომანოვების საგვარეულო წაილეკა, ტახტი დაიმხო, რუსეთი დაიშალა და საქართველოს პოლიტიკური თავისუფლების მზეც ამობრწყინდა. დიდ მამულიშვილთა დიდი ოცნება განხორციელდა და „ბაზალეთის ტბის ძირას ოქროს აკვანში მწოლარე ყმაწვილი“ საქართველოს მშვენიერი თავისუფლების სახით მოგვევლინა.

საქართველოს ეკლესიამ რუსთა სინოდის მონობისაგან 1917 წლ. 12 მარტს გაითავისუფლა თავი. ამ დღეს მცხეთის საპატრიარქო ტაძარში ერისა და სამღვდელოების თანადასწრებით გამოცხადდა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალურ უფლებათა აღდგენის აკტი, რაიცა მეორე დღესვე ეცნობა უკანასკნელ რუს ეგზარხოსს პლატონს. იმავე წლის

17 სეკტემბერს თფილისში შემდგარმა საქართველოს საეკლესიო კრებამ კათალიკოს-პატრიარქად ამოირჩია **ეპისკ. კირიონი.** ამავე დროს აღგენილ იქმნა კათედრები თფილელ, ქუთათელ და ჭყონდიდელ მიტროპოლიტებისა.

1917 წ. 22 ნოემბერს თფილისში შესდგა საქართველოს ეროვნული ყრილობა, რომელზედაც არჩეულ იქმნა **საქართველოს ერვნული საბჭო.**

ამას ზედ მოჰყვა უფრო დიდი და მრავალმნიშვნელოვანი აკტი სრულიად **საქრთველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებისა — 1918 წ. მაისის 26.** ეს აკტი ერთხმად მიღებულ და დადასტურებულ იქმნა **სრულიად საქართველოს დამფუძვნებელი კრების მიერ 1919 წ.**
12 მარტს.

საქართველოხს დამოუკიდებლობა

საქართველოს დამფუძნებელი კრება, — არჩეული პირდაპირი, თანასწორი, საყოველთაო: ფარული და პროპორციონალური საარჩევნო სისტემით ორივე სქესის მოქალაქეთა მიერ, — თავის პირველსავე სხდომაზე, 1919 წ. მარტის 12 ს. ქვეყნისა და ისტორიის წინაშე აღიარებს, რომ ის სავსებით იღებს და ადასტურებს საქართველოს ეროვნულ საბჭოს მიერ 1918 წ. მაისის 26-ს. ნაშუადღევის 5 ს. და 10 წ. თფილისში გამოცხადებულს საქართველოს დამოუკიდებლობის შემდეგ აკტს:

საქართველოს დამოუკიდებლობის აკტი

„მრავალ საუკუნეთა განმავლობაში საქართველო არსებობდა როგორც დამოუკიდებელი და თავისუფალი სახელმწიფო.

„მეთვრამეტე, საუკუნის დასასრულს ყოველი მხრით მტრისგან შევიწროებული საქართველო თავისი ნებით შეუერთდა რუსეთს იმ პირობით, რომ რუსეთი ვალდებული იყო საქართველო გარეშე მტრისგან დაეცვა.

„რუსეთის დიდი რევოლიუციის მსვლელობამ რუსეთში ისეთი შინაგანი წყობილება შეჰქმნა, რომ

მთელი საომარი ფრონტი სრულიად დაიშალა და რუსის ჯარმაც დასტოვა ამიერკავკასია.

„დარჩენ რა თვისი ძალღონის ამარად, საქართველომ და მასთან ერთად ამიერკავკასიამ თვით იდვეს თავს საკუთარი საქმეების გაძღოლა და პატრონობა და შესაფერი ორგანოებიც შექმნეს; მაგრამ გარეშე ძალთა ზედგავლენით ამიერკავკასიის ერთა შემაერთებელი კავშირი დაირღვა და მით ამიერკავკასიის პოლიტიკური მთლიანობაც დაიშალა.

„ქართველი ერის დღევანდელი მდგომარეობა აუცილებლათ მოითხოვს, რომ საქართველომ საკუთარი სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია შეჰქმნას, მისი საშუალებით გარეშე ძალის მიერ დაპყრობისაგან თავი გადაირჩინოს და დამოუკიდებელი განვითარების მტკიცე საფუძველი ააგოს.

„ამისდა თანახმად საქართველოს ეროვნული საბჭო, 1917 წლის, ნოემბრის 22-ს არჩეული საქართველოს ეროვნული ყრილობის მიერ, დღეს აცხადებს:

1) ამიერიდან საქართველოს ხალხი სუვერენულ უფლებათა მატარებელია და საქართველო სრულუფლებოვანი დამოუკიდებელი სახელმწიფოა.

2) დამოუკიდებელ საქართველოს პოლიტიკური ფორმა — დემოკრატიული რესპუილიკაა.

3) საერთაშორისო ომიანობაში საქართველო მუდმივი ნეიტრალური სახელმწიფოა.

4) საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას სურს საერთაშორისო ურთიერთობის ყველა წევრთან კეთილმეზობლური განწყობილება დაამყაროს, განსაკუთრებით მოსაზღვრე სახელმწიფოებთან და ერებთან.

5) საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა თავის საზღვრებში თანასწორად უზრუნველჰყოფს ყველა მოქალაქის სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებებს განურჩევლად ეროვნებისა, სარწმუნოებისა, სოციალური მდგომარეობისა და სქესისა.

6) საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა განვითარების თავისუფალ ასპარეზს გაუხსნის მის ტერიტორიაზე მოსახლე ყველა ერს.

7) დამფუძნებელი კრების შეკრებამდე მთელის საქართველოს მართვა-გამგეობის საქმეს უძღვება ეროვნული საბჭო, რომელიც შევსებულ იქნება ეროვნულ უცირესობათა წარმომადგენლებით და დროებითი მთავრობა პასუხისმგებელია საბჭოს წინაშე.

ამ აკტით საქართველოში დამყარდა დემოკრატიული, ხალხოსნური რესპუბლიკა, რომლის პირველი მთავრობის თავმჯდომარეთ და სახელმწიფოს უმაღლეს წარმომადგენელად არჩეულ იქმნა ბ. ნოე ნიკ. ჟორდანია.

ჩვენი სამშობლო თავისი ისტორიული დამოუ კიდებლობის გზაზე კვლავ შედგა და „ქართლის ცხოვრების“ დროებით შეწყვეტილი ფურცლების წერას კვლავ განაგრძობს.

უმთავრესი წყაროები:

ალ. ცაგარლის: „დრამოტები“
პლ. იოსელიანის: „გიორგი XII“
ალ. ცაგარლის: „статьи по грузинскому церковному вопросу“
ზ. ავალიშვილის „присоединеніе грузіи“,
„რუსეთის დამყარება საქართველოში",
მოსე ჯანაშვილის: „საქართველოს დედა ქალაქი თფილისი“,
ალ. ფრონელის: „მთიულეთისა“ და „კახეთის აჯანყება
დავ. ბატონიშვილის: „ისტორიული წერილები“,
ბოროზდინის: „закавказскія воспоминанія“,
პოლ. კარბელაშვილის: „საქართველოს ეკლესიის იერარქია“.

შეცთომის ვასწორება: 64 გვერდზე დაბეჭდილია: **„დავითი გარდაიცვალა 1841 წ.“** უნდა იყოს **„1819 წ.“**